

კანონისმიერი და დელიქტური პაღდეგულეებე

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2026, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2026, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2026, №3

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2026, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საქიჯელი

1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

1.1 საზიარო უფლებები

საზიარო საგნის მართვა 4

საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით 12

1.2 უსაფუძვლო გამდიდრება

ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები 30; 40

ზიანის ანაზღაურების წინაპირობა 46

2. დელიქტური ვალდებულებანი

დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება 62

გათხრითი სამუშაოების წარმოებისას

მიყენებული ზიანის ანაზღაურება 73

სარჩოს გაანგარიშება 90

სოლიდარული პასუხისმგებლობა

მიყენებული ზიანისთვის 101

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის

შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება 130

სამედიცინო დანესებულების მიერ

მიყენებული ზიანის ანაზღაურება 139

1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

1.1 საზიარო უფლებები საზიარო საგნის მართვა

ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1777-2019

20 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: საზიარო უფლებების გაუქმება ქონების რეალიზაციის
გზით

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. რ. ა-ემ (შემდგომ – მოსარჩელე, აპელანტი) სარჩელი აღძრა სასა-
მართლოში ი. მ-ისა (შემდგომ – პირველი მოპასუხე, პირველი კასატო-
რი) და ნ. მ-ის (შემდგომ – მეორე მოპასუხე, მეორე კასატორი, ასევე
ერთობლივად მოპასუხეები, კასატორები) მიმართ და მოითხოვა აუქ-
ციონზე რეალიზაციის გზით ხელვაჩაურში, სოფელ ... მდებარე უძრავ
ქონებაზე (ს/კ ...) საზიარო უფლებების გაუქმება და რეალიზაციის შედე-
გად ამონაგები თანხის საზიარო საგნის მონაწილეთა შორის განაწილე-
ბა ქონების რეალიზაციის დროისათვის საჯარო რეესტრში რეგისტრი-
რებული წილების შესაბამისად.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის მტკიცებით, მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებუ-
ლი 203.92 კვ.მ შენობა-ნაგებობა რეგისტრირებულია მხარეთა თანასა-
კუთრებად, თუმცა თანამესაკუთრეებს ერთმანეთთან არ აქვთ კარგი
ურთიერთობა, ისინი არ არიან ნათესავები, რაც გამორიცხავს მათი ერ-
თად ცხოვრების შესაძლებლობას.

3. საზიარო საგანი – საცხოვრებელი სახლი ერთიანი კონსტრუქციის
ნაგებობაა. შესაბამისად, მოსარჩელის კუთვნილი ნაწილის რეალურად
გამოყოფა ნატურით გაყოფის გზით, ღირებულების შემცირების გარე-
შე შეუძლებელია. შესაბამისად, საზიარო უფლება უნდა გაუქმდეს სა-
ზიარო საგნის აუქციონზე რეალიზაციის გზით.

მოპასუხეების პოზიცია:

4. მოპასუხეებმა სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მიწის ნაკვეთი მათი მამაპაპისეული ქონებაა, საიდანაც ქონების ნაწილი მოსარჩელემ 2015 წლის 23 მარტს, ო. მ-ის წინააღმდეგ გამართულ იძულებით აუქციონზე 1150 ლარად შეიძინა.

5. მოსარჩელის მიერ სადავო ქონების იძულებით აუქციონზე შეძენამდე, შენობა-ნაგებობა მიწისძვრის შედეგად მიღებული დაზიანებისაგან საცხოვრებლად უვარგისი გახდა, ხოლო შემდგომ მთლიანად დაიშალა, რის გამოც იმავე ნაკვეთზე, სხვა ადგილას პირველმა მოპასუხემ ახალი სახლი ააშენა, რომელიც აუქციონის პერიოდშიც შენდებოდა. ამდენად, ახალი სახლი არის პირველი მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრება, არ წარმოადგენს საზიარო ქონებას და მისი აუქციონზე რეალიზაციის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

6. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აპელანტის მოთხოვნა:

7. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; სადავო უძრავ ქონებაზე საზიარო უფლება გაუქმდა ამ ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით და ამონაგები თანხა, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილების შესაბამისად, თანამესაკუთრებებზე განაწილდა.

9. პალატამ არ გაიზიარა, ახალი სახლის აშენების გამო ამ ნივთზე პირველი მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრების არსებობის თაობაზე მოპასუხის მსჯელობა და მიუთითა, რომ საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი იყო, მოპასუხეს კი კანონით გათვალისწინებული მტკიცებულება – საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დადასტურდებოდა სადავო მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაზე თავისი ინდივიდუალური საკუთრების უფლება, არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ახლად აშენებული 157.36 კვ მეტრი საჯარო რეესტრში

დაურეგისტრირებელი სადავო საცხოვრებელი სახლი, როგორც მინის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი, სადავო მინის ნაკვეთის მესაკუთრეთა თანასაკუთრებაა, სადაც თითოეული წილი 1/3-ია.

10. ქონების რეალიზაციის გზით საზიარო უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნაზე პალატამ განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული, №... საკადასტრო კოდის უძრავი ქონებიდან – მინის ნაკვეთიდან და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლიდან, რ. ა-ის 1/3 წილის ნატურით გამოყოფა ღირებულების შემცირების გარეშე, კერძოდ, გამოყოფილი ინდივიდუალური საგნის (ნაწილის) ფუნქციური (ღირებულებითი) თვისების შენარჩუნების გზით, ტექნიკურად შეუძლებელია, ანუ საზიარო უფლების სადავო საგანი ნატურით გაყოფადი არ არის. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეშიარ მოიპოვება, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ დაძლია თავისი წილი მტკიცების ტვირთი, რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ის) 961.1 და 964-ე მუხლის თანახმად, ქონების რეალიზაციის გზით საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე მისი მოთხოვნის საფუძვლიანობას ადასტურებდა.

კასატორის მოთხოვნა:

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

12. კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 957-ე-958-ე მუხლები, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საზიარო უძრავი ქონება ერთი ოჯახის წევრების მამაპაპისეულ სახელთმფლობელობას წარმოადგენდა, რომელიც 2012 წლის 23 დეკემბერს მინისძვრის შედეგად დაზიანდა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა. სააღსრულებო ბიუროს მიერ სახლის დაყადაღების შემდეგ – 2013 წლის მაისიდან 2015 წლის მარტამდე, საცხოვრებელი სახლი მთლიანად განადგურდა, ხოლო ნასახლარი იმდროინდელი თანამესაკუთრების, ანუ ოჯახის წევრების ერთობლივი შეთანხმებით, სსკ-ის 957-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, პირველ კასატორს გადაეცა სარგებლობით, რომელმაც, ვიდრე მოსარჩელე აუქციონზე წილის შექენით გახდებოდა მინის ნაკვეთის თანამესაკუთრე, ახალი საცხოვრებელი სახლი ააშენა. თანაზიარ ქონებაზე წინა თანამესაკუთრის მიერ მიღებული შეთანხმება საზიარო საგნის მართვასა და სარგებლობასთან დაკავშირებით კი ვრცელდება მის უფლებამონაცვლეზეც. შესაბამისად, მოსარჩელეს, უფლება არ ჰქონდა, პირველი მოპასუხისათვის უარი ეთქვა თანხმობის გაცემაზე სახლის ამ უკანასკნელის საკუთრებაში რეგის-

ტრაციასთან დაკავშირებით.

13. პირველმა მოპასუხემ თანაზიარ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლი თანამესაკუთრებთან შეთანხმებით ააშენა. სახლის აშენების შემდეგ, ვიდრე პირველი მოპასუხე სახლს საჯარო რეესტრში დაარეგისტრირებდა, ერთი-ერთი თანამესაკუთრე შეიცვალა და მოსარჩელე გახდა საზიარო საგნის ახალი თანამესაკუთრე, რომელიც თავის უფლებას ბოროტად იყენებს და პირველ მოპასუხეს არ სთანხმდება, აშენებული საცხოვრებელი სახლი საკუთრებად დაირეგისტრიროს საჯარო რეესტრში.

14. კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომლის თანახმად, საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფით შეუძლებელია. მათი განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული დასკვნა მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნას დააფუძნა, რომელიც არ ასახავს რეალობას, არასრულყოფილი და წინააღმდეგობრივია. სასამართლომ ისე გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო (შემდეგში – სსსკ) 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ გამოიკვლია.

15. კასატორების მითითებით, ექსპერტიზის დასკვნა წინააღმდეგობრივია, ვინაიდან, ერთ შემთხვევაში, ექსპერტი აღნიშნავს, რომ გასამიჯნი მიწის ნაკვეთის საზღვრის გასწვრივ სამანქანე გზაა, ხოლო, მეორე შემთხვევაში – ამ გზას კავშირი გასამიჯნე უძრავ ქონებასთან არ აქვს. კასატორების მტკიცებით, რეალურად ვითარება განსხვავებულია, კერძოდ, სადავო მიწის ნაკვეთს მეზობელი მიწის ნაკვეთისგან ყოფს სამანქანე გზა, რომელიც გასამიჯნე მიწის ნაკვეთს ერთიანად ეკვრის და მიწის ნაკვეთის ყველა ნაწილი თანაბრად არის დაკავშირებული ამ გზასთან, რაც ნათლად ჩანს ექსპერტიზის დასკვნაზე დართული ფოტომასალითა და ნახაზებით. შესაბამისად, არასწორია სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომლის თანახმად, გამიჯვნის შემთხვევაში 1/3 მიწის ნაკვეთის ღირებულება შემცირდება საჯარო გზასთან კავშირის არარსებობის გამო.

16. კასატორები საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ მათ სურვილზე, რომ საქმე მორიგებით დაესრულებინათ, კერძოდ, მოსარჩელისათვის თანხის გადახდის სანაცვლოდ თანასაკუთრებაში მისი წილი შეესყიდათ. საკასაციო სასამართლომ მხარეთა მორიგების მიზნით 2022 წლის 21 ივლისს საქმეზე სხდომა ჩაატა. მიუხედავად მონინააღმდეგე მხარის მიერ მორიგების მზაობისა, კასატორებმა თავიანთივე შეთავაზებულ პირობებზეც კი უარი თქვეს და კატეგორიულად გამორიცხეს მორიგება ნებისმიერი პირობით.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივა-

რი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

18. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. მოსარჩელის მოთხოვნა სადავო უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმებაა მისი გაყიდვით. საზიარო უფლება, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, განეკუთვნება კანონისმიერ ვალდებულებათა ურთიერთობების კატეგორიას. სსკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამდენად, საზიარო უფლების მონილეებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 961-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც, თითოეულ მონილეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობას, საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (963-ე მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის გაყიდვის გზით (964-ე მუხლი). ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია. სსკ-ის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

20. სსკ-ის 961.1 მუხლის დისპოზიციით განსაზღვრულია საზიარო უფლების მქონე პირის უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით, ხოლო, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია – საზიარო საგნის რეალიზაციით (სსკ-ის 964-ე მუხლი). საზიარო უფლების გაუქმებისათვის ამ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ ნების გამოვლენა საკმარის

სია. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე – მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სსკ-ის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირებაც ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა (სუსგ: №ას-67-65-2014, 31 ივლისი, 2014 წელი; №ას-1653-1550-2012, 15 აპრილი, 2013 წელი; №ას-1089-1020-2012, 8 ოქტომბერი, 2012 წელი.).

21. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული 03.04.2017 წლის, ისე – სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული 01.08.2019 წლის ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნების თანახმად დგინდება, რომ სადავო უძრავი ქონებიდან 1/3 წილის ნატურით გამოყოფა ღირებულების შემცირების გარეშე, კერძოდ, გამოყოფილი ინდივიდუალური საგნის (ნაწილის) ფუნქციური (ღირებულებითი) თვისების შენარჩუნების გზით, ტექნიკურად შეუძლებელია. პალატა მიიჩნევს, კასატორთა პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლოს ექსპერტიზის დასკვნები არ უნდა გაეზიარებინა, დაუსაბუთებელია. ამ დასკვნების საწინააღმდეგოდ მოპასუხეებს, საკუთარი ახსნა-განმარტების გარდა, რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ. სსკ-ის 172-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე არ არის შებოჭილი ექსპერტის დასკვნით. დასკვნა ფასდება მისი შინაარსისა და დამაჯერებლობის კუთხით. პალატა მიიჩნევს, რომ დასკვნები დამაჯერებელია, რამდენადაც მასში ასახულია ის გზები და მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ექსპერტმა გამოიტანა შესაბამისი დასკვნა. ამასთან, მითითებულია საფუძვლები და წინაპირობები, რომელსაც ეყრდნობა ექსპერტი. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები შესრულებულია ყველა წესის დაცვით. ექსპერტიზის დასკვნებთან დაკავშირებით, კასატორებმა ვერ მიუთითეს ვერცერთ იმ გარემოებაზე, რაც დასკვნის სისწორესა და სანდოობაში სასამართლოს ეჭვის შეტანის სა-

ფუძველს გაუჩენდა. პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული (მდრ. სუსგ №ას-279-264-17, 21 აპრილი, 2017 წელი). ამდენად, კასატორთა პრეტენზია, რომ სასამართლოს ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნები არ უნდა გაეზიარებინა, ყოვლად უსაფუძვლოა.

22. კასატორები მიიჩნევენ, რომ საზიარო მინის ნაკვეთზე მდებარე საზიარო საკუთრებაშივე არსებული შენობა დაინგრა და მის ნაცვლად ახალი შენობა პირველმა მოპასუხემ ააშენა, რის გამოც ახალაშენებულ შენობაზე პირველი მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრების უფლება ვრცელდება.

23. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორთა ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და მიუთითებს, განსახილველ შემთხვევაში, სადავო მინის ნაკვეთზე მოსარჩელისა და მოპასუხეთა თანასაკუთრება დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. ამასთან, სადავო შენობა პირველი მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრირებული არ არის. პალატა მიუთითებს სსკ-ის 150-ე მუხლზე (ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მინის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობანაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მინასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს), რომლის თანახმად, ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის იურიდიული ბედი მთლიანადაა დაკავშირებული მთავარ ნივთთან და, როგორც წესი, იგი არ შეიძლება, იყოს ცალკე უფლების ობიექტი, მასზე დამოუკიდებელი სანივთო უფლება არ წარმოიშობა. არსებითი შემადგენელი ნაწილი განიკარგება მთავარ ნივთთან ერთად და ეს არაა დამოკიდებული ურთიერთობის მონაწილეთა ნებაზე (მდრ. სუსგ: №ას-1081-1110-2011, 10 ნოემბერი, 2011 წელი; №ას-500-476-2013, 21 ოქტომბერი, 2013 წელი). შესაბამისად, სსკ-ის 171-ე მუხლიდან (ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც) გამომდინარე მოქმედებს კანონისმიერი პრეზუმფცია, რომ მინის თანამესაკუთრები სადავო შენობის თანამესაკუთრებიც არიან.

24. კასატორთა პრეტენზია იმასაც უკავშირდება, რომ თანაზიარ ქონებაზე თანამესაკუთრეთა მიერ მიღებული იყო გადაწყვეტილება საზიარო საგნის მართვასა და სარგებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ვრცელდება მის უფლებამონაცვლეზეც – მოსარჩელეზეც. შესაბამისად, ამ უკანასკნელს უფლება არ ჰქონდა, პირველი მოპასუხისათვის უარი ეთქვა სადავო სახლის საკუთრებაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

25. პალატა, პირველ რიგში, მიუთითებს, რომ სსკ-ის 957.2 მუხლით გათვალისწინებული მოწილეთა მიერ სარგებლობის სპეციალური წესის დადგენა, მოცემულ შემთხვევაში, მართვისა და სარგებლობისათვის პირველი მოპასუხისათვის გადაცემა, არ გულისხმობს საზიარო საგნის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადასვლას. შესაბამისად, მოსაზრება, რომ მოსარჩელე ვალდებული იყო, თანხმობა მიეცა პირველი მოპასუხისათვის სადავო სახლი საკუთრებად დაერეგისტრირებინა, არასწორია. რაც შეეხება საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესის უფლებამონაცვლეზე გადასვლას (სსკ-ის 958-ე მუხლი), პალატა მიუთითებს, რომ საერთო საკუთრების შემთხვევებში, თუ მართვის ან სარგებლობის წესი უფლებამონაცვლეთა მიმართ უნდა მოქმედებდეს, მაშინ იგი წილის დატვირთვის სახით რეესტრში უნდა გაფორმდეს, წინააღმდეგი შემთხვევისას კი – ეს წესი სამართალმემკვიდრეზე უშუალოდ არ ვრცელდება. ამასთან, ამ უკანასკნელი წესიდან გამონაკლისია, კერძოდ, ის არ გავრცელდება მოწილეების ვალდებულებითსამართლებრივ ვალდებულებაზე, რომელიც ითვალისწინებს მიღებული წესის შენარჩუნებისთვის ზრუნვას (შდრ. იხ. თამარ ზარანდია, შედარებითი სამართლის ქართულ-გრემანული ჟურნალი, 7/2022, „საზიარო საგნის მართვა და განკარგვა“ გვ. 24-25). შესაბამისად, რაკი მოწილეთა მიერ განსაზღვრული მართვის ან სარგებლობის წესი რეგისტრირებული არ იყო, ის მოსარჩელის მიმართ არ მოქმედებს.

26. ასეც რომ არ იყოს, როგორც უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე სსკ-ის 957-ე-958-ე მუხლებთან მიმართებით განმარტა, თანასაკუთრებით სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმება, რომლითაც მესაკუთრეს სამუდამოდ ეზღუდება საკუთრებით სარგებლობა, ბათილია, რადგან ის აუქმებს საკუთრების სუბსტანციას და უსამართლოდ ზღუდავს მესაკუთრის ინტერესებს (შდრ. სუსგ №ას-1205-1150-2013, 11 ივნისი, 2015 წელი). ამდენად, კასატორთა პრეტენზია, რომ მოსარჩელის მიერ სადავო უძრავი ქონების შესაბამისი წილის შექენამდე მოწილეები შეთანხმებული იყვნენ სადავო საცხოვრებელი სახლით მხოლოდ პირველი მოპასუხის მიერ სარგებლობის შესახებ, დაუსაბუთებელია და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის.

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ:

ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. მ-ისა და ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზიარო უფლების გაუქმება საზნის გაყიდვით

**გადანყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1303-2021

23 ივლისი 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ლ. ქოჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ა. ძაბუნძიძე,
თ. ძიმისტარაშვილი**

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება უძრავი ნივთების რეალიზაციის გზით

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. რ. მ-მა და ხ. მ-მა (შემდგომში მოხსენიებულნი, როგორც „მოსარ-

ჩელები“ , „კასატორები“) სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ი. შ-ძის, შ. ძ-ძისა (შემდგომში მოხსენიებულნი, როგორც „I მოპასუხები“, „აპელანტები“) და კ. მ-ის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „II მოპასუხე“) მიმართ, მხარეების თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, მდებარე: ქ. თბილისში, ... (ყოფ. ...) ქ. №22/16, ს/კ ..., აუქციონზე რეალიზაციის გზით საზიარო უფლების გაუქმებისა და ამონაგები თანხის თანამესაკუთრებს შორის წილთა პროპორციულად გაყოფის მოთხოვნით (სასარჩელო მოთხოვნა და ზუსტდა 28.01.2021 წლის სასამართლო სხდომაზე).

სარჩელის საფუძვლები:

2.1. მოსარჩელების, ი. შ-ძის, შ. ძ-ძის და კ. მ-ის თანასაკუთრებაშია უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №22/16, ს/კ ... საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მესაკუთრეები ფლობენ არათანაბარ ფართებს, ერთმანეთის გვერდი-გვერდ. მათ შორის წარმოშობილია უთანხმოება ქონების გამოყოფასთან დაკავშირებით, ვინაიდან თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა ვერ ხერხდება ისე, რომ ყოველ მესაკუთრეს შეხვდეს საკუთარი წილის შესაბამისი ფართობი. ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით გადაჭრით დასტურდება, რომ ქონების გამიჯვნა ყველა თანამესაკუთრეს შორის შეუძლებელია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარეს საზიარო უფლების გაუქმების საშუალებად მიიჩნია ქონების აუქციონზე რეალიზაცია.

მოპასუხეების პოზიცია:

3.1 მოპასუხეებმა ი. შ-ძემ და შ. ძ-ძემ, როგორც თავდაპირველი, ისე დაზუსტებული შესაგებლით, სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მათთვის გაუგებარია დავის წამოწყების მოტივაცია, რადგან წლების განმავლობაში ურთიერთშეთანხმებით ეწეოდნენ ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას, ერთმანეთისთვის ზიანის მიყენების გარეშე და მათთვის უცნობია, რა უთანხმოებაზე საუბრობს მოსარჩელე მხარე, მიუთითებს რა, რომ მათ შორის ვერ ხერხდება ფართების გამოყოფა.

3.2 ყველა თანამესაკუთრის ფართი იდენტიფიცირებულია, ისინი გამიჯნულია, იზოლირებულია და მათში მოხვედრა, სარგებლობა, ფლობა და განკარგვა შესაძლებელია ერთმანეთის თანხმობის გარეშე, დამოუკიდებლად.

3.3. მოსარჩელების მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით მოპასუხე მხარე აღნიშნავს, რომ დასკვნაში არ არის მითითებული, თუ რა სამშენებლო სამუშაოებია განსახორციელებელი, რაც გამოიწვევს სამშენებლო ნორმების დარღვევას.

3.3. სადავო მინის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს სამშენებლოდ გამოყენების მინიმალურ პარამეტრებს, კერძოდ, სიგანის პარამეტრს და კ-

1 კოეფიციენტისთვის დადგენილ პარამეტრს, რის გამოც ნაკვეთი ავტომატურად იძენს იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ნივთის სტატუსს, რომლის ნებისმიერი სახით განვითარება საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, რაზედაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით უარია ნათქვამი. ეს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება ყველა მესაკუთრისთვის თანაბარ პრობლემას წარმოადგენს, რადგან უძრავი ნივთის რეალიზება მოხდება უკიდურესად დაბალ ფასად. ფაქტობრივად გამოორიცხულია, ინფორმირებული არჩევანის პირობებში ვინმემ შეიძინოს ისეთი ქონება, რომელიც თავისი კონფიგურაციით შეუსაბამო უძრავი ობიექტის სტატუსის მატარებელია. აღნიშნული გავლენას იქონიებს შეფასებაზე, ამდენად მოსარჩევეების მიერ შემოთავაზებული გზა არც მათ ინტერესშია და, არც მოპასუხე მხარის.

3.4. საცხოვრებელ ფართებს, რომლებზეც მხარეებს საკუთრების უფლება მოპოვებული აქვთ კანონის შესაბამისად, ფლობენ საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტებით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით და მხარეებს არავინ ზღუდავს, ფლობდნენ მათ. ყველა რეგისტრირებული მესაკუთრის კუთვნილი ფართი ინდივიდუალურად განსაზღვრული და ერთმანეთისგან გამიჯნული საცხოვრებელი ფართებია, შესაბამისად, მასზე ვრცელდება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის იძულებით გაყიდვას არ ითვალისწინებს ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაშიც კი. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დასახელებული კანონით და არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლით, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მიწის ნაკვეთის იძულებით გაყიდვის შესახებ ეწინააღმდეგება კანონს.

4. მოპასუხე კ. მ-ს შესაგებელი არ წარუდგენია და არც სასამართლო სხდომებზე გამოცხადებულა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით რ. მ-ის და ხ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რ. მ-ს, ხ. მ-ს, ი. შ-ძეს, შ. ძ-ძესა და კ. მ-ს შორის საზიარო უფლება უძრავ ნივთზე, მდებარე ქ. თბილისში, ... (ყოფ. ...) ქ. №22/16, ს/კ ..., უძრავი ნივთის აუქციონის წესით რეალიზაციის გზით და დადგინდა ამონაგები თანხის ნივთის თანამესაკუთრებს შორის განაწილება, მათი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილების პროპორციულად.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასა-

ჩივრეს ი. შ-ძემ და შ. ძ-ძემ, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით:

7.1. ი. შ-ძისა და შ. ძ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

7.2. ნაწილობრივ, კერძოდ, ი. შ-ძისა და შ. ძ-ძის ნაწილში, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება;

7.3. რ. მ-ისა და ხ. მ-ის სარჩელი ი. შ-ძისა და შ. ძ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

8. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8.1. უძრავ ნივთის, მდებარე ქ. თბილისში, ... (ყოფ. ...) ქ. №22/16, მიწის ნაკვეთის და ზუსტებული ფართობი 525 კვ.მ. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 229.34 კვ.მ., საცხოვრებელი ფართი 154.42 კვ.მ. ს/კ ..., მესაკუთრეები არიან: ი. შ-ძე (პ/ნ ...), შ. ძ-ძე (პ/ნ ...), კ. მ-ი (პ/ნ ...), რ. მ-ი (პ/ნ ...) და ხ. მ-ი (პ/ნ ...).

ითიოეულ მათგანის საკუთრების უფლება განსაზღვრულია სხვადასხვა წილობრივი მონაცემით, კერძოდ:

ი. შ-ძის საკუთრებაშია №1, №3, №4 შენობა-ნაგებობებში I სართულზე – საერთო ფართი 75.23 კვ.მ; №5-დან 16.7 კვ.მ.; №7 საერთო ფართი 1.60 კვ.მ.; №2 და №6 შენობა-ნაგებობებში: I სართულზე – საერთო ფართი 32.50 კვ.მ.;

შ. ძ-ძის საკუთრებაშია I სართულის 19/154 ნაწილი;

კ. მ-ის საკუთრებაშია შენობა-ნაგებობა №3-ის II სართულზე ფართი 13.73 კვ.მ.; №6-ის I სართულის ნაწილი ფართით 32.88 კვ.მ., II სართული ფართით 64.23 კვ.მ., II სართულზე აივანი 22.72 კვ.მ.;

ხ. მ-ის და რ. მ-ის საკუთრებაშია შენობა-ნაგებობები: №1-ის II სართული ფართით 64.21 კვ.მ.; №3-ის II სართულზე ფართი 22.62 კვ.მ.; №4 ფართით 8.23 კვ.მ.; №5-დან 6.83 კვ.მ.; №8 ფართით 2 კვ.მ.; №9 ფართით 37.96 კვ.მ..

8.2. ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულია, რომ ქ. თბილისში, ... (ყოფ. ...) ქ. №22/16-ში მდებარე შენობების თავისებური განლაგების და მხარეთა კუთვნილი ოთახებისა და სათავსოების ურთიერთგანლაგების, ასევე განაშენიანებისგან თავისუფალი (ცარიელი) მიწის ნაკვეთის სიმცირის გამო შეუძლებელია აღნიშნული უძრავი ქონების სრული

იზოლირებით გამიჯვნა, წილების შესაბამისად, ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, ისე, რომ არ დაირღვეს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები.

9. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სააპელაციო პალატამ შემდეგი სამართლებრივი შეფასება მისცა:

9.1. ვინაიდან მოსარჩელები საზიარო უფლების გაუქმებას ითხოვენ, მათი მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საზიარო საგანი არსებობდა, რაც საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დადასტურდა. მოცემულ შემთხვევაში, ერთ მიწის ნაკვეთზე მოთავსებულია ოთხი ფაქტობრივად გამიჯნული ფართი/ბინა, რომლის გამიჯვნაც, ასევე, საჯარო რეესტრის ამონაწერშია ასახული. ამავე ამონაწერით მიწა მესაკუთრეების თანასაკუთრებას წარმოადგენს.

9.2. ფართების „de facto“ გამიჯვნისა და ამ გამიჯვნის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დადგენილად მიჩნევის შედეგად პალატამ გამოიკვია სადავო საგანზე საზიარო უფლების არსებობა და სადავო ფართები ინდივიდუალური საკუთრების ობიექტებად დააკვალიფიცირა. საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელების (მონინალმდებე მხარე) საკუთრების უფლება ვრცელდება მხოლოდ სადავო საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, ხოლო აპელანტების საკუთრების უფლება კი მხოლოდ პირველ სართულზე და მათ ერთმანეთში დავა არ აქვთ, რადგან მათი განმარტებით, მათივე ფართები ათეული წლებია ფაქტობრივადც გამიჯნულია. აღნიშნული ვითარება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისაგან (საცხოვრებელი კორპუსისგან) მარტოდენ იმით განსხვავდება, რომ მრავალბინიან კორპუსში თითოეულ ფართს დამოუკიდებელი საკადასტრო კოდი აქვს მინიჭებული. მოცემულ შემთხვევაში კი ყველა საცხოვრებელი ფართი ერთი საკადასტრო კოდის ქვეშ არის მოქცეული, თუმცა საკადასტრო კოდის მინიჭება მარტოდენ იურიდიული ფიქციაა მაშინ, როდესაც აღნიშნული კოდის მინიჭების გარეშე მესაკუთრეებს ერთ შენობაში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები, თავისი დამოუკიდებელი შესასვლელებითა და დამხმარე ფართებით ფაქტობრივად გამოყოფილი და ინდივიდუალიზებული აქვთ. ასეთ ვითარებაში სახეზეა ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები, ხოლო მიწაზე თანასაკუთრების რეჟიმი ფართზე არსებული წილობრივი მონაცემის პროპორციულია.

9.3. მარტოდენ მიწის ნაკვეთის გაუმიჯნაობა თითოეული ინდივიდუალური ფართის მესაკუთრეს არ აძლევს მთლიანი ქონების რეალიზაციის მოთხოვნის უფლებას, რადგან აღნიშნული უფლება ქონების საზიარო ბუნებიდან გამომდინარეობს. მოცემულ შემთხვევაში კი, შე-

ნობა-ნაგებობა ფაქტობრივად გამიჯნულია და საკუთრების ობიექტიც ფაქტობრივად ნილობრივად დაყოფილია, შესაბამისად, საკუთრების ობიექტის გამიჯნული ნაწილის მესაკუთრის მიერ სხვა გამიჯნული ნაწილების რეალიზაციის მოთხოვნა დაუშვებელია, რადგან აღნიშნული ობიექტი, მარტოდენ ცალკეული საკადასტრო კოდების არარსებობის გამო, საზიარო საგნად არ უნდა იქნეს მიჩნეული და მთელი ქონება რეალიზაციას არ უნდა დაექვემდებაროს.

9.4. ამრიგად, სააპელაციო პალატამ მიიჩია, რომ წინამდებარე დავაში საზიარო უფლების დანაწესების გამოყენება დაუშვებელი იყო, ვინაიდან მინის ნაკვეთზე თანასაკუთრებას აფუძნებდა მასზე მრავალბინიანი სახლის არსებობა, რაც საზიარო უფლებისგან განსხვავებული მონესრიგების საგანს წარმოადგენს და ქონების აუქციონზე რეალიზაციის უფლებას არ წარმოშობს.

10. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

10.1. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა მრავალბინიან სახლში თანასაკუთრების მომწესრიგებელი ნორმები, ვინაიდან ექსპერტიზის კატეგორიული დასკვნით მტკიცდება, რომ ქონება არის საზიარო და მოდავე მხარეები არიან ქონების მესაკუთრეები; არასწორია სასამართლოს დასკვნა საცხოვრებელი ფართების გამიჯვნის და თანასაკუთრების უფლების მარტოდენ მინის ნაკვეთზე არსებობის შესახებ. სასამართლო არასწორად უთითებს, რომ მესაკუთრეები ფლობენ ინდივიდუალურ საკუთრებას, რომელიც თითქოს გამიჯნულია ერთმანეთისგან და ინდივიდუალურ ბინებად არის აღრიცხული საჯარო რეესტრში, აღნიშნული დასკვნა საქმეში უდავო მტკიცებულებას – საჯარო რეესტრის ამონაწერსაც კი ეწინააღმდეგება, რომელშიც მითითებულია როგორც ნილობრივი მონაცემები, ისე საერთო ფართები სხვადასხვა სართულზე; ყველა მესაკუთრის ქონებას აქვს ერთი სველი წერტილი, რომლითაც ყველა სარგებლობს, საერთოა აივანი და ერთმანეთთან შესასვლელი და დამხმარე ფართებიც კი.

10.2. სასამართლომ არასწორად განმარტა, თითქოს მოპასუხეთა ფართები მდებარეობს მხოლოდ პირველ სართულზე, ხოლო მოსარჩელებისა მეორეზე; აღნიშნულის სანაწინააღმდეგოდ, კასატორი განმარტავს, რომ მოსარჩელეთა კუთვნილი ფართები მდებარეობს როგორც პირველ სართულზე, ისე ეზოშიც, ასევე პირველ და მეორე სართულზე ცხოვრობს კ. მ-ი, რომელსაც მეორე სართულთან ერთად, ეკუთვნის პირველი სართულის 32.88 კვ.მ ფართი, ხოლო შ. ძ-ძეს რეგისტრირებული აქვს პირველი სართულის 19/154 ნაწილი (საერთო ქონების მენი-

ლვა), აქედანაც კი ცხადია, რომ ქონება არის საზიარო.

10.3. მესაკუთრეს შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი იმ სახით, რა სახითაც იგი რეგისტრირებულია, შესაბამისად, არასწორია სასამართლოს მოსაზრება, რომ ვინაიდან მხარეებს ფართები სხვადასხვა დროს აქვთ შეძენილი, ესე იგი, ისინი გამიჯნულიც არის.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2022 წლის 31 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად და დადგინდა მისი განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

12. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმეზე მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

13.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404.1 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

13.2. ამავე კოდექსის 396.1 მუხლი „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება.

13.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.1 მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პრო-

ცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

14. საკასაციო პალატის განსჯით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა დასადგენად რელევანტური მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევის წესი, რამაც საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობა, სახელდობრ:

15.1. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამ გარემოებების დაამტკიცება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

15.2. სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი „affirmanti, non negati, incumbit probatio“ – „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“. ამ დებულებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, ვინ რა უნდა ამტკიცოს.

15.3. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ. №ას-833-833-2018, 16.11.2018წ.; №ას-867-834-2016, 22.11.2018წ.).

16.1. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რის მიღწევასაც ემსახურებოდა წარმოდგენილი სარჩელი, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის ნაწილი, 963-ე და 964-ე მუხლის პირველი ნაწილი.

16.2. აუქციონზე რეალიზაციის გზით საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნისას მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებს განეკუთვნება: 1. საზიარო უფლების არსებობა; 2. საგნის დაყოფის შეუძლებლობა მათი ფუნქციური ღირებულების შენარჩუნების გზით (იხ. სუსგ. №ას-1111-2019 31.01.2020წ.).

16.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. უძრავ ნივთზე საკუთრების საჯარო ბუნებიდან გამომდინარე, მასზე საზიარო უფლების არსებობა უნდა დასტურდებოდეს ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

16.4. სადავო უძრავი ნივთის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ უძრავი ნივთის, მდებარე ქ. თბილისში, ... (ყოფ. ...) ქ. №22/16, მიწის ნაკვეთის და ზუსტებული ფართობი 525 კვ.მ. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 229.34 კვ.მ., საცხოვრებელი ფართი 154.42 კვ.მ. ს/კ ..., მესაკუთრეები არიან: ი. შ-ძე, შ. ძ-ძე, კ. მ-ი, რ. მ-ი და ხ. მ-ი, კერძოდ:

ი. შ-ძის საკუთრებაშია №1, №3, №4 შენობა-ნაგებობებში: I სართულზე – საერთო ფართი 75.23 კვ.მ; №5-დან 16.7 კვ.მ.; №7 საერთო ფართი 1.60 კვ.მ.; №2 და №6 შენობა-ნაგებობებში: I სართულზე – საერთო ფართი 32.50 კვ.მ.;

შ. ძ-ძის საკუთრებაშია I სართულის 19/154 ნაწილი;

კ. მ-ის საკუთრებაშია შენობა-ნაგებობა №3-ის II სართულზე ფართი 13.73 კვ.მ.; №6-ის I სართულის ნაწილი ფართით 32.88 კვ.მ., II სართული ფართით 64.23 კვ.მ., II სართულზე აივანი 22.72 კვ.მ.;

ხ. მ-ის და რ. მ-ის საკუთრებაშია შენობა-ნაგებობი: №1-ის II სართული ფართით 64.21 კვ.მ.; №3-ის II სართულზე ფართი 22.62 კვ.მ.; №4 ფართით 8.23 კვ.მ.; №5-დან 6.83 კვ.მ.; №8 ფართით 2 კვ.მ.; №9 ფართით 37.96 კვ.მ..

16.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312.1 მუხლის შესაბამისად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამრიგად, სასამართლო სადავო უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს სწორედ ზემოაღნიშნული მონაცემებით.

17.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირ-

თა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

17.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო. ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ.

17.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლი ადგენს, რომ თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

17.4. წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება ნივთზე საზიარო უფლების არსებობა, სახელდობრ, შ. ძ-ძის საკუთრებაშია უძრავი ქონების 19/154 ნაწილი პირველ სართულზე; წილადი საკუთრების მოცულობის განსაზღვრის მიუხედავად, ამონაწერი არ შეიცავს რაიმე მითითებას, თუ პირველი სართულის რომელ კონკრეტულ ნაწილში მდებარეობს დასახელებული 19/154 ნაწილი; თუკი დანარჩენი თანამესაკუთრების ფართების იდენტიფიცირების მიზნებისათვის, ამონაწერი შეიცავს შენობა-ნაგებობის ნომრებზე მითითებას, შ. ძ-ძის შემთხვევაში წილის ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი მონაცემები არც ამონაწერში და არც მოპასუხეების მიერ წარმოდგენილ შიდა აზომვით ნახაზებში განსაზღვრული არ არის. პალატის განსჯით, მართოდენ ეს გარემოებაც კი, ცალკე აღებული, საკმარისია დასკვნისათვის, რომ ... საკადასტრო კოდის ქვეშ რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე არსებობს საზიარო საკუთრების უფლება.

17.5. რაც შეეხება დანარჩენ თანამესაკუთრეთა საკუთრებად აღრიცხული ფართების ადგილმდებარეობას, საკასაციო პალატა შენიშნავს, რომ მათი იდენტიფიცირების მიზნით თავდაპირველ შესაგებელზე დართულია შენობა №1/2, №3/2 და №4/1, №2/1, №6/2, №5/1, 7/1, №2/1, №9/1-ის 1-ლი სართულისა და მე-2 სართულის შიდა აზომვითი ნახაზები, თუმცა არცერთი ნახაზი დამონმეზული არ არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბეჭდით (განსხვავებით საკადასტრო გეგმისაგან), შესაბამისად, ის გარემოება, რომ ი. შ-ძეს, ხ. და რ. მ-ებსა და კ. მ-ს შორის ცალკეული შენობებში ფართები სწორედ ამ აზომვით ნახაზებზე დაფუძნებით არის განაწილებული, საქმის მასალებით არ მტკიცდება. ამასთან, წარმოდგენილი აზომვითი ნახაზები საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემსაც რომ წარმოადგენდეს, მათზე მონიშნუ-

ლია მხოლოდ ი. შ-ძის, რ. და ხ. მ-ებისა და კ. მ-ის რეგისტრირებული ფართები, შესაბამისად, აღნიშნული აზომვითი ნახაზებიც ვერ სცემს პასუხს შეკითხვას – თუკი საზიარო უფლების საგანი მხარეთა შორის ნატურით არის გამიჯნული, მაშინ სად მდებარეობს შ. ძ-ძის კუთვნილი ფართი და რატომ არ არის იგი მონიშნული პირველი სართულის გეგმაზე. ამრიგად, წარმოდგენილი ნახაზები არ გამოდგება დასკვნისათვის, რომ ერთი მხრივ, შ. ძ-ძეს, მეორე მხრივ, ი. შ-ძეს, მესამე მხრივ, რ. და ხ. მ-ებსა და მეოთხე მხრივ, კ. მ-ს შორის, საზიარო უფლება ნატურით გამიჯვნის გზით „de facto“ გაუქმებულია, რის შედეგადაც წარმოშობილია ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები.

17.6. ნატურით გამიჯვნის ფაქტობრივი გარემოების არარსებობაზე მეტყველებს საქმეში დაცული ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №5007077819 დასკვნა, რომლის სარეზოლუციო ნაწილი („ქ. თბილისში, ... (ყოფ. ...) ქ. №22/16-ში მდებარე შენობების თავისებური განლაგების და მხარეთა კუთვნილი ოთახებისა და სათავსოების ურთიერთგანლაგების, ასევე განაშენიანებისგან თავისუფალი (ცარიელი) მიწის ნაკვეთის სიმცირის გამო შეუძლებელია აღნიშნული უძრავი ქონების სრული იზოლირებით გამიჯვნა, წილების შესაბამისად, ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, ისე, რომ არ დაირღვეს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები“) საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ორ გარემოებაზე მიუთითებს – 1. თანამესაკუთრეთა შორის ფართები, წილების შესაბამისად, სრული იზოლირებით გამიჯნული არ არის; 2. ქონების ფუნქციური დანიშნულების შეუმცირებლად და სამშენებლო კანონმდებლობის დაურღვევლად ამგვარი განაწილება მომავალშიც შეუძლებელია.

სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დასკვნის კვლევით ნაწილს, რომელშიც მითითებულია, რომ აღნიშნულ დასკვნამდე ექსპერტი მივიდა საკვლევი ქონების არამართო დოკუმენტური შესწავლის, არამედ ადგილზე დათვალიერების გზითაც.

18.1. საკასაციო სასამართლო შენიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ხსენებული ექსპერტიზის დასკვნა არ გაიზიარა, თუმცა არც მისი გაუზიარებლობის მოტივები დაუსაბუთებია. ამრიგად, პალატა აუცილებლად მიიჩნევს, ყურადღება მიაპყროს ექსპერტიზის დასკვნის, როგორც მტკიცებულების, მნიშვნელობასა და მისი გაქარწყლების წესზე.

18.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 161-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს

საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება; მხარეებს შეუძლიათ სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება. ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს სასამართლოში საქმის აღძვრის ან საქმის მომზადების სტადიაზე. სარჩელის (შესაგებლის) წარდგენისას მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ვადა ექსპერტის დასკვნის წარმოსადგენად.

18.3. სსსკ 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში.

18.4. სსკ-ის 102-ე-105-ე, 172-ე მუხლების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როდესაც საქმეშია ერთი მხარის მტკიცების საგანში შემავალი გარემოების დადასტურების მიზნით სპეციალური ცოდნის მქონე პირის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, ამავე დასკვნით დადგენილი გარემოებების უარყოფისა და გაქარწყლების საშუალებად მეორე მხარის მხოლოდ ზეპირსიტყვიერი განმარტება ვერ გამოდგება.

18.5. საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკის თანახმად, „ერთი მხარის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებითი მნიშვნელობის შეფასება დამოკიდებულია მეორე მხარის კვალიფიციურ შედავებაზე. ცხადია, აქ მხოლოდ მონინალმდევე მხარის ზეპირსიტყვიერი, ექსპერტიზის დასკვნის საწინააღმდეგო მოსაზრება არ იგულისხმება. ამდენად, ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის გაქარწყლების ვალდებულება, მტკიცებულებათა შეფასების ეტაპზე უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონეა. კერძო დავებზე წარმატების მისაღწევად კი, მხარეებმა ჯეროვნად უნდა განკარგონ თავიანთი საპროცესო უფლებები, რაც დავის ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებისა და მათი რელევანტური მტკიცებულებებით დამტკიცების ტვირთის რეალიზებაში მდგომარეობს. ამ უფლებით თანაბრად სარგებლობს როგორც მოსარჩელე (სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება), ასევე, მოპასუხე (სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების გაქარწყლება)“ (იხ.: სუსგ. №ას-671-2023, 12.09.2023წ.; ილონა გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, გვ: 117-121)

18.6. მოპასუხეს, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, შეეძლო, სასამართლოსათვის შეეთავაზებინა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მოსარჩელის მიერ წარდგენილ დასკვნას ეჭვქვეშ დაა-

ყენებდა (იხ. სუსგ. №ას-501-2024 28.06.2024წ.), სასამართლოს კი და-
არწმუნებდა, რომ თანასაკუთრებაში არსებული ქონება ფაქტობრივი
მოცემულობით ნატურით უკვე გამიჯნულია ან ქონების ნატურით გა-
მიჯვნის შესაძლებლობა არსებობს. კასატორის მიერ წარმოდგენილ ექ-
სპერტიზის დასკვნას მოპასუხე მხარემ დაუპირისპირა მარტოოდენ სა-
კუთარი ახსნა-განმარტება. დასკვნის საპირწონე ვერცერთი კონკრე-
ტული მტკიცებულება, რაც დადასტურებდა მოპასუხეთა პოზიციის
მართებულობას საზიარო საგნის ნატურით გამიჯვნის გზით თანასა-
კუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადას-
ვლის შესახებ, საქმის მასალებში დაცული არ ყოფილა, შესაბამისად,
სააპელაციო სასამართლოს მხარეთა კუთვნილი ფართების ინდივიდუ-
ალური საკუთრების ობიექტებად განხილვისა და დავის გადასაწყვე-
ტად „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის“ შესახებ საქართველოს კანო-
ნის გამოყენების საფუძველი არ გააჩნდა.

19. ამასთან, დადგენილად რომც იქნეს მიჩნეული მოპასუხეთა მტკი-
ცება ქონების ფაქტობრივად გაყოფის თაობაზე, აღნიშნული გარემოე-
ბა საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნას მაინც ვერ დააბრკოლებს,
რამდენადაც უდავოა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით უძრავი
ქონება მხარეთა საზიარო საკუთრების საგანს წარმოადგენს. საზიარო
უფლების რეგისტრაციის განმავლობაში, ნებისმიერი ფაქტობრივი გა-
ყოფა სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლით განსაზღვრული საზიარო
საგნით სარგებლობის წესზე შეთანხმებას წარმოადგენს, ხოლო ამგვარ-
ი შეთანხმება ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს თანამესაკუთრის
მოთხოვნაზე, მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება (იხ. სუსგ. №ას-
583-2019 31.01.2020წ.)

20. ამრიგად, საკასაციო პალატის განსჯით, სააპელაციო სასამარ-
თლოს დასკვნა საზიარო უფლების არარსებობის მოტივით სარჩელის
დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მოკლებულია ფაქტობრივ
და სამართლებრივ საფუძველიანობას. სადავო უძრავ ნივთზე საზიარო
უფლების არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხრიდან დაძ-
ლეულია ერთი მხრივ, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და მეორე მხრივ,
შეუდავებელი ექსპერტიზის დასკვნით.

21.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი
ნაწილის თანახმად, თითოეულ მონილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მო-
ითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება.

21.2. ამავე კოდექსის 963-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო უფლება
უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება
დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე,
თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით.

21.3. სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს,

რომ თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით. მიწის ნაკვეთის შემთხვევაში გამოიყენება აუქციონზე უძრავი ქონების იძულებით გაყიდვის წესები. თუ დაუშვებელია საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მონილებებს შორის.

22.1. თანასაკუთრების რეჟიმში არსებული ნივთის მესაკუთრე, ერთპიროვნულ მესაკუთრესთან შედარებით, ნივთის ფლობის, სარგებლობისა თუ განკარგვის უფლების გამოყენებისას ყოველთვის შეზღუდულია სხვა თანამესაკუთრის ნებითა და ინტერესებით, შესაბამისად, იგი ვერ ახორციელებს ნივთზე იმ მასშტაბის ფაქტობრივ თუ სამართლებრივ ბატონობას, როგორც ეს საკუთრების ბუნებითი შინაარსიდან გამომდინარეობს. სწორედ ამიტომ, თითოეულ თანამესაკუთრეს ნებისმიერ დროს შეუძლია საზიარო უფლების გაუქმების გზით მიაღწიოს თანამესაკუთრის სამართლებრივი ბოჭვიდან გასვლას. გასათვალისწინებელია, რომ თანამესაკუთრის პირად კავშირს ნივთთან კანონმდებელი იმგვარ ანგარიშგასაწევ ფაქტორად განიხილავს, რომელიც საზიარო უფლების გაუქმების მექანიზმებს შორის გარკვეულ იერარქიულ მიმართებას აწესებს, კერძოდ, პირველ რიგში, მონმდება ნივთის ნატურით გაყოფის შესაძლებლობა, ხოლო თუ აღნიშნული ვერ მიიღწევა ღირებულების შეუმცირებლად, მხოლოდ ამის შემდეგ დგება დღის წესრიგში საზიარო საგნის გაყიდვისა და ამონაგების გაყოფის შესაძლებლობა. ამრიგად, საზიარო უფლების გაუქმება წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნას, რომლის დისპოზიციური უფლებამოსილება – შეარჩიოს საზიარო უფლების გაუქმების კონკრეტული საშუალება, შეზღუდულია მატერიალური კანონმდებლობით (იხ. სუსგ. №ას-1148-1094-2014 19.03.2015წ.).

22.2. საკასაციო პალატას არაერთხელ განუმარტავს, რომ სსკ 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქცი-

ური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე (მრავალთა შორის იხ. სუსგ. №ას-67-65-2014, 31.07.2014წ.; №ას-1653-1550-2012, 15.04.2013წ.; №ას-1089-1020-2012, 08.10.2012წ.; №ას-932-875-2012, 17.09.2012წ.; №ას-1665-1562-2012, 04.02.2013წ.)

22.3. ამდენად, დაუშვებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, თუ შეუძლებელია ყველა თანამესაკუთრის საკუთრების უფლების ღირებულების შენარჩუნება საკუთარი იდეალური წილის შესაბამისად. მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის იდეალური წილის იმგვარი გამოყოფა, რომლითაც დაცულია ამ უკანასკნელის საზიარო საგნის გაყოფამდე არსებული მდგომარეობა (ღირებულება), საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის კონტექსტში ლეგიტიმურს არ ხდის, თუ დაცული და შენარჩუნებული არ არის სხვა თანამესაკუთრეთა იდეალური წილის მდგომარეობა (ღირებულება) (იხ. სუსგ. №ას-1977-2018, 22.03.2019წ.; №ას-1080-1000-2017, 27.10.2017წ.).

22.4. საქმეში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ ექსპერტს ქ. თბილისში, ... (ყოფ. ...) ქ. №22/16-ში მდებარე (1) შენობების თავისებური განლაგების და (2) მხარეთა კუთვნილი ოთახებისა და სათავსოების ურთიერთგანლაგების, ასევე (3) განაშენიანებისგან თავისუფალი (ცარიელი) მიწის ნაკვეთის სიმცირის გამო შეუძლებლად მიაჩნია აღნიშნული უძრავი ქონების სრული იზოლირებით გამოიჯვნა, წილების შესაბამისად, ფუნქციური ღირებულების შემცირების გარეშე, ისე, რომ არ დაირღვეს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები.

22.5. ექსპერტიზის კატეგორიული დასკვნა ერთმნიშვნელოვნად მოწმობს თანამესაკუთრეთა შორის სადავო ქონების ნატურით გამოიჯვნის შეუძლებლობას, რაც საპირწონე მტკიცებულების არარსებობის პირობებში საკასაციო პალატასაც დადგინდლ ფაქტობრივ გარემოებად მიაჩნია. საზიარო უფლების ნატურით გაუქმების შეუძლებლობა კი განაპირობებს საზიარო საგნის აუქციონზე რეალიზაციისა და ამონაგები თანხის თანამესაკუთრეთა შორის განაწილებას, საზიარო უფლებაში მათი წილების კვალობაზე.

23. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლო-

ში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საქირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლო ხარჯები:

24.1. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

24.2. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

24.3. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მაგისტრ. მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობის ნახევარს.

24.4. სსსკ 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა, დავის საგნის ფასი განისაზღვრება 4000 ლარით. ამავე კოდექსის მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაგისტრ. მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს.

24.5. რ. და ხ. მ-ების სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილია 120 ლარი; ვინაიდან წინამდებარე სარჩელი მაგისტრ. მოსამართლის განსჯად საქმეს წარმოად-

გენდა, სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენდა 60 ლარს, შესაბამისად, სხვაობა ფაქტობრივად გადახდილსა და გადასახდელ სახელმწიფო ბაჟს შორის, რაც შეადგენს 60 ლარს, წარმოადგენს ზედმეტად გადახდილს, რაც მოსარჩელებს უკან უნდა დაუბრუნდება; ამასთან, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა, სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ჯამში 210 ლარის ოდენობით, მოსარჩელების სასარგებლოდ გადასახდელად მოპასუხეებს ეკისრებათ.

25.1. საკასაციო პალატა შენიშნავს, რომ ჯერ კიდევ სასარჩელო წარმოების ეტაპზე მოსარჩელე შუამდგომლობდა მოპასუხეებისთვის წარმომადგენლის დახმარებისთვის განეული ხარჯის – 2000 ლარის გადასახდელად დაკისრებას.

25.2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელებსა და მის რწმუნებულს შორის ურთიერთობის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს დავალების ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი). საქმის მასალებში განთავსებულია კასატორების მიერ ადვოკატ ზ. ბ-ძე გაცემული რწმუნებულებები.

25.3. ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის მეორე მხარისათვის დაკისრების საკითხის გადანყვევების წესი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლში. ნორმის პირველი ნაწილის დანაწესით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვევებაც, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4%-ისა.

25.4. ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს, გონივრულების კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს დავის საგნის ღირებულების არაუმეტეს 4%-ს, რომლის ფარგლებშიც ხდება წარმომადგენლის ხარჯების ოდენობის სასამართლოსმიერი განსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები განახორციელა ადვოკატმა, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე პროცესის მონაწილე რომელმა მხარემ გასწია იგი და სხვ. (იხ. სუსგ. №ა-818-784-2016, 02.11.2016წ.) განეული საადვოკატო ხარჯის დაკისრებისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქმის სირთულით, სასამართლო სხდომებში მონაწილეობისათვის დახარჯული დროის, წარმოდგენილი მოსაზრებებისა თუ მტკიცებულებების სიმრავლით და სხვა ამგვარი გარემოებებით, რაც მეორე მხარისათვის დასაკისრებელი საადვოკატო ხარჯის გონივ-

რულობას განაპირობებს (იხ. სუსგ. №ას-1125-2019, 31.10.2019წ.).

25.5. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან... ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). ამდენად, სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება.

25.6. საქმის სირთულისა და მოსარჩელეთა ადვოკატის მიერ განეული საპროცესო ძალისხმევის გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ საადვოკატო ხარჯის გაღების მამტკიცებელი დოკუმენტის საქმეში არარსებობის პირობებშიც კი, დავის საგნის 4%-ის – 160 ლარის – ოდენობით წარმომადგენლის დახმარებისთვის გაღებული ხარჯის მოპასუხეებზე გადასახდელად დაკისრება გონივრული და სამართლიანია.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით,

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. რ. მ-ის და ხ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 სექტემბრის №2ბ/1741-21 გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. რ. მ-ის და ხ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
4. გაუქმდეს რ. მ-ს, ხ. მ-ს, ი. შ-ძეს, შ. ძ-ძესა და კ. მ-ს შორის საზიარო უფლება უძრავ ნივთზე, რომლის მისამართია: ქ. თბილისი, ... (ყოფ. ...) ქ. №22/16, ს/კ ..., უძრავი ნივთის აუქციონის წესით რეალიზაციის გზით და ამონაგები თანხა განაწილდეს ნივთის თანამესაკუთრეებს შორის, მათი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილების პროპორციულად.

5. ი. შ-ძეს, შ. ძ-ძეს და კ. მ-ს დაეკისროთ რ. მ-ის და ხ. მ-ის სასარგებლოდ 160 (ასასამოცი) ლარის ანაზღაურება, პირველი ინსტანციით საქმის განხილვის ეტაპზე იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის სანაცვლოდ.

6. ი. შ-ძეს, შ. ძ-ძეს და კ. მ-ს დაეკისროთ 210 (ორასათი) ლარის გადახდა რ. მ-ის და ხ. მ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელთა მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

7. რ. მ-ს და ხ. მ-ს დაუბრუნდეთ პირველი ინსტანციის სასამართლოში ზ. ბ-ძის (პ/ნ ...) მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 120 ლარიდან (საგადახდო დავალება № 0, გადახდის თარიღი: 14.11.2019წ, ს.ს. „თიბისი ბანკი“) ზედმეტად გადახდილი 60 ლარი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

1.2 უსაფუძვლო გამდიდრება ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძველზე

გადანყვებითლება საქართველოს სახელმწიფო

№ას-792-2020

29 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემიძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე მიღებული თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (შემდგომ – დამსაქმებელი, სამინისტრო, მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ნ-ძის (შემდგომ – დასაქმებული, მოპასუხე, აპელანტი) მიმართ და მოითხოვა მოპასუხი-

სათვის 13 571.43 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძვლები:

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით – მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, ბათილად იქნა ცნობილი დასაქმებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამინისტროს 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება და სამინისტროს დაევალა დასაქმებულის თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ბრძანების გამოცემა, 2017 წლის 3 იანვრიდან მის სამსახურში აღდგენამდე შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასისა და დანამატის, ასევე, საადვოკატო მომსახურების ხარჯის, 1000 ლარის, ანაზღაურება. სამინისტრომ დასაქმებულს აუნაზღაურა განაცდური, კომპენსაცია (რეზერვში ჩარიცხვის გათვალისწინებით) და საადვოკატო მომსახურება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის გამოკლებით, 57 678.10 ლარი.

3. დასაქმებულმა 2018 წლის 9 ოქტომბერს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტის იმგვარად განმარტების მოთხოვნით, რომ მისთვის განაცდური ანაზღაურებულიყო 2017 წლის 3 იანვრიდან სამსახურში აღდგენამდე შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასისა და დანამატის ყოველთვიური ოდენობით, შესაბამისი პერიოდების მიხედვით ანაზღაურების ოდენობის ცვლილების გათვალისწინებით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა სასამართლოს შესაბამისი განმარტების ჩამოყალიბებით. განჩინება სამინისტრომ კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მაგრამ, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ-ის) 418-ე მუხლიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებდა გასაჩივრებული განჩინების მოქმედებას, სამინისტრომ დასაქმებულს დამატებით აუნაზღაურა 13 571.43 ლარი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 თებერვლის განჩინებით სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინება და განმცხადე-

ბელს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებიან სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტის განმარტებაზე. მოპასუხემ თანხის დაბრუნების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა არ შეასრულა.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, მართალია, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინების განმარტება, თუმცა ეს არ შეიძლება განხილული ყოფილიყო იმგვარად, რომ მოპასუხეს დაევალა 13 571.43 ლარის უკან დაბრუნება. სააპელაციო სასამართლოს განმარტების გარეშეც ზიანის ანაზღაურება მოიაზრებს შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის ცვლილების ანაზღაურებასაც.

5. მოპასუხე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებაზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლის მიხედვითაც ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. „საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის სრული ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის (თუნდაც კანონმდებლის მიერ) მიერ წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას.“ მოპასუხის მტკიცებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, მიყენებული ზარალი სრულად აანაზღაუროს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეს 13 571.43 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის სახით, 407.01 ლარის, გადახდის ვალდებულება დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება; სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა; სამინისტროს დაეკის-

რა მოპასუხის მიერ სააპელაციო საჩივარზე ბაჟის სახით გადახდილი 542 ლარის ანაზღაურება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შეიცვალა უზრუნველყოფის საგანი და სამინისტროს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხეს აეკრძალა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

9. სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს მოპასუხისათვის 13 571, 43 ლარის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემის დადასტურება წარმოადგენდა. ვინაიდან კანონიერ ძალაში შესულია სააპელაციო პალატის 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება არამართლზომიერად იქნა მიჩნეული და სახელმწიფოს მისთვის ზარალის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრა, ასევე, როდესაც საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფო ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება გარანტირებულია, მხოლოდ იმაზე მითითება, რომ საკასაციო პალატის მიერ გაუქმდა სააპელაციო პალატის განჩინება გადაწყვეტილების იმგვარად განმარტების თაობაზე, რომ მასში გაზრდილი თანამდებობრივი სარგოს მიღების უფლება მოიაზრება, უსაფუძვლო წესით თანხის გამოთხოვის ერთადერთი წინაპირობა ვერ გახდებოდა. აღნიშნული დასკვნა, უნინარესად, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობისა („საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“), ემყარება იმ გარემოებას, რომ სსსკ-ის 262-ე მუხლი გადაწყვეტილების განმარტების უფლებას მხოლოდ იმ სასამართლოს აძლევს, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო. ყოველივე ხსენებულის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩინა, რომ მოსარჩელემ დაკისრებული მტკიცების ტვირთი ვერ დასძლია, რაც სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივსამართლებრივ საფუძვლებს ქმნიდა.

კასატორის მოთხოვნა:

10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

11. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაზე, რომელიც საბოლოოა და კანონიერ ძალაშია შესული და მისი დასაბუთება არ მიიჩნია სამინისტროს მოთხოვნის სათანადო და საკმარის სამართლებრივ საფუძვლად.

12. ამასთან, უზენაესი სასამართლოს განჩინებიდან, რომლითაც

მხარეს უარი ეთქვა გადაწყვეტილების განმარტებაზე, ცალსახად იკითხება, რომ დასაქმებულისათვის ანაზღაურებული თანხა სრულად მოიცავდა სასამართლოს მიერ დადგენილ ოდენობას და გადაწყვეტილების მცდარი განმარტების შედეგად მისთვის დამატებით ანაზღაურებული 13 571.43 ლარი ერთმნიშვნელოვნად სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იყო ანაზღაურებული.

13. ცალსახად ხაზგასასმელია, რომ დასაქმებულისათვის დამატებითი ანაზღაურების საფუძველი იყო არა კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს 21.09.2017 წლის გადაწყვეტილება, როგორც ამას სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიიჩნევს, არამედ ამ გადაწყვეტილების განმარტების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 12.11.2018 წლის განჩინება, რომელიც უზენაესი სასამართლოს განჩინებით გაუქმებულია. ამდენად, გაუქმდა რა ის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც დასაქმებულისათვის დამატებითი ანაზღაურების საფუძველი გახდა, თანხა გახდა უსაფუძვლოდ მიღებული. სწორედ აღნიშნულზე უნდა ემსჯელა სააპელაციო სასამართლოს და არა იმაზე, უფლებამოსილი იყო თუ არა საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინებით გაუქმებინა განმარტება.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო პალატამ შეინანვლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველები, შეამონმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის – 13 571.43 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (პირს,

რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და 979.1 მუხლი (უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით).

17. შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი ან ამგვარი საფუძველი, ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა, ან შემდგომ შეწყდა. შესრულების უკან მოთხოვნისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: ერთი პირის მიერ მეორისათვის სამართლებრივი სიკეთის შესრულების საფუძველზე გადაცემა; მეორე პირის მიერ შესრულების საფუძველზე სამართლებრივი სიკეთის შექმნა; შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა. შესაბამისად, კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; სამართლებრივ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა.

18. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 სექტემბრის №3ბ/1556-17 გადაწყვეტილებით დასაქმებულის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 1 ივნისის №3/285-17 გადაწყვეტილება გაუქმდა, დასაქმებულის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, დასაქმებულის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2016 წლის 30 დეკემბრის №471/კ ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი და სამინისტროს დასაქმებულის თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ბრძანების გამოცემა დაევალა; მოპასუხეს 2017 წლის 3 იანვრიდან, დასაქმებულის სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასისა და დანამატის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრა.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად დასაქმებულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან

57 678.10 ლარი აუნაზღაურდა.

20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინებით დასაქმებულის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა. მითითებული განჩინების საფუძველზე დასაქმებულს დამატებით 13 571.43 ლარი აუნაზღაურდა.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 თებერვლის განჩინებით – სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინება გაუქმდა და დასაქმებულს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის განმარტებაზე უარი ეთქვა.

22. მოსარჩელე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რაკი უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განჩინება, რომლის საფუძველზეც დასაქმებულს 13 571.43 ლარი აუნაზღაურდა, შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს და მან თანხა, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული, უნდა დააბრუნოს.

23. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 თებერვლის განჩინებით საფუძველი გამოეცალა მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის 13 571.43 ლარის ანაზღაურებას. განჩინებით გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის მიზეზად განმარტებულია: „სამსახურში აღდგენის ფაქტი წარმოშობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის უფლებებში აღდგენას. იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისაკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა არ ითვალისწინებს სამომავლო უფლების აღდგენას. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ანაზღაუროს განაცდური ხელფასი გათავისუფლებიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ანუ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემამდე ნიშნავს იმას, რომ განაცდური ხელფასის ოდენობის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ის საშუალო ანაზღაურება, რომელსაც მოხელე იღებდა გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე, განაცდური ხელფასი უნდა ანაზღაურდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად ცნობილი აქ-

ტის გამოცემამდე არსებული ანაზღაურების შესაბამისად. გაზრდილი ხელფასი მოხელეს დაენიშნებოდა სასამართლოს გადანვეტილების აღსასრულებლად გამოცემული აქტით სამსახურში დანიშვნის შემდეგ... სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის საფუძველზე ისე გაზარდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანვეტილებით სამინისტროსათვის დაკისრებული ანაზღაურებელი თანხის ოდენობა, რომ არც დასაქმებულის განცხადებაზე დართული მტკიცებულებებით და გასაჩივრებული განჩინებით არ დასტურდება რა ოდენობის ზიანის თანხა დაეკისრა მოპასუხეს დამატებით ასაზღაურებლად და საერთოდ არ დგინდება, არსებობს თუ არა სამინისტროს ვალდებულება დამატებით რაიმე თანხის გადახდის შესახებ“. ამასთან, განჩინებაში მითითებულია ისიც, რომ: „მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს კანონიერ ძალაში შესული გადანვეტილების ბუნდოვანებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 სექტემბრის გადანვეტილების მე-6 პუნქტი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად აღსრულებულია და არ შეიძლება გახდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის გამოყენებით, სარეზოლუციო ნაწილის განმარტების, განვრცობის საფუძველზე დამატებით აღსრულების საგანი (იხ. სუს საქმე №ბს-630-602(კს-08) 10.09.2008წ. განჩინება; საქმე №ბს-603-581(კ-13) 08.05.14წ. განჩინება)“. განჩინებიდან ცალსახად დგინდება უზენაესი სასამართლოს დასკვნა, რომ დასაქმებულსათვის დამატებით 13571.43 ლარის ანაზღაურების წინაპირობა არ არსებობდა.

24. რაკი უზენაესმა სასამართლომ მითითებულ საკითხზე კერძო საჩივრის ფარგლებში ერთხელ უკვე იმსჯელა, მოცემული დავის ფარგლებში სასამართლო კანონიერ ძალაში შესულ გადანვეტილებას (განჩინებას) ვერ გადასინჯავს და მხარეთა შორის დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობას განსხვავებულად ვერ შეაფასებს სსსკ-ის 266-ე (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადანვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი) მუხლიდან გამომდინარე. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანვეტილების (განჩინების) შედეგი შეუქცევადია. ასეთი მიდგომა ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელებისას მიღებული სასამართლო აქტის სავალდებულო ძალის, ასევე, ამ აქტისადმი სანდოობის პრინციპის შენარჩუნებას და, რაც მთავარია, განსაზღვრულობის პრინციპს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადანვეტილების განსაკუთრებულია ორ-

მხრივად სავალდებულო აკრძალვაა და იგი, როგორც საქმეში მონაწილე პირებს, სასამართლოსაც ეხება.

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ ვლინდება სსკ-ის სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წინაპირობები, რის გამოც არსებობს მოპასუხისათვის 13 571.43 ლარის დაკისრების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

26. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი დაკმაყოფილდეს.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, დაეკისრება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. განსახილველ შემთხვევაში, რაკი მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწი-

ფო ბაჟის გადახდისგან და, ამასთან, მისი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, მოპასუხეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელისა (სსსკ-ის მუხლი 39.3 ა.ბ) და საკასაციო საჩივრისათვის (სსსკ-ის მუხლი 39.3 გ.ბ) გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის – 1 085.71 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. გ. წ-ძეს დაეკისროს 13 571.43 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
5. გ. წ-ძეს დაეკისროს 1 085.71 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
6. გ. წ-ძის მიერ სააპელაციო საჩივრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 542 ლარი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
7. ძალაში დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შეიცვალა უზრუნველყოფის საგანი და სამინისტროს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გ. წ-ძეს (პ/წ ...) აეკრძალა თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, რომლის რეკვიზიტებია: ქ. თბილისი, ..., ფართი (მშენებარე) 59.60 კვ.მ, ბინა №40, საკადასტრო კოდი: ...;
8. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირობითი კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სასამართლო

№ას-179-2024

8 მაისი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. უბილავა

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც კანონიერ ძალაში შესული განაჩენი) ნ. ვ-ა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე) ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 362.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

2. კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგინდა შემდეგი:

2.1. 2008 წლის 23 და 28 ივლისს მ. ვ-ას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე) ძმისშვილმა გ. ვ-ამ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესამე მოპასუხე ან მსესხებელი) სს „თ. ბ-თან“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე ან ბანკი) საბანკო კრედიტის ხელშეკრულება გააფორმა, რომლის საფუძველზე გაცემული – 15 000 ლარი სამ ეტაპად და შემდეგი მიზნობრიობით უნდა წარმართულიყო: კერძოდ, პირველი ტრანში – 6 000 ლარი შპს „მ. თ. კ-ში“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი რიგის იპოთეკარი) მეორე მოპასუხის სესხის დასაფარად, მეორე – 6 000 ლარი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფ-ში“ სესხის დასაფარად, ხოლო მესამე – 3 000 ლარი საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

2.2. სესხის მისაღებად მესამე მოპასუხეს გარანტიად უძრავი ქონება სჭირდებოდა, რის გამოც მეორე მოპასუხემ გადააღება დოკუმენტი, კერძოდ, მივიდა თბილისში, ... მდებარე ბანკის ფილიალში და 2008 წლის 23

ივლისის თავდებობის განცხადებაზე და ხელშეკრულებაზე მოსარჩელის სახელით შეასრულა ხელმოწერა, სადაც აღნიშნული იყო რომ მოსარჩელე პასუხისმგებელია მესამე მოპასუხის მიერ 2008 წლის 23 ივლისის გაფორმებული ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაცემული ნებისმიერი დამატებითი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. დოკუმენტი მხარემ ბანკში გამოიყენა.

2.3. მეორე მოპასუხემ 2008 წლის 25 ივლისის იპოთეკის ხელშეკრულებაზეც გააყალბა მოსარჩელის ხელმოწერა, რომელიც 2008 წლის 23 ივლისის შეთანხმების დანართია.

2.4. 2008 წლის 25 ივლისს ბანკსა და მოსარჩელეს შორის, მეორე მოპასუხის ყალბი ხელმოწერის საფუძველზე (მესაკუთრის ნამდვილი ნების არარსებობის პირობებში) გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულების საგანი მოსარჩელის კუთვნილი „მთელი უძრავი ქონება“ მდებარე თბილისში, ..., 28 კვ. ბინა ს/კ-ით №... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც უძრავი ნივთი ან იპოთეკის საგანი).

2.5. ქონების ბანკის სასარგებლოდ მეორე რიგის იპოთეკით დატვირთვის თაობაზე მოსარჩელემ 2010 წელს, იპოთეკის საგნის აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანისას შეიტყო.

3. იპოთეკის საგანი – 25 000 ლარად შეფასდა, ხოლო რეალიზდა – 23 500 ლარად.

4. უძრავი ნივთი საქმეში არსებული იპოთეკის ხელშეკრულებით მოპასუხე ბანკის სასარგებლოდ მეორე რიგის იპოთეკით დატვირთვამდე, სს „მ.თ.კ-ში“ უკვე დატვირთული იყო იპოთეკით მეორე მოპასუხის სესხის უზრუნველსაყოფად, იპოთეკა უფლებამოსილი პირის/მოსარჩელის ნების საფუძველზე გაფორმდა.

5. იპოთეკის საგანი იძულებით აუქციონზე სხვა კრედიტორის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გასხვისდა, ამონაგები თანხიდან ბანკიდან/პირველი მოპასუხისგან აღებული სესხის მხოლოდ ნაწილი – 2764.96 ლარი დაიფარა.

6. ზემოლნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

7. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და აღნიშნა, რომ მეორე მოპასუხემ მოსარჩელის პირადობის მოწმობის წარდგენითა და ხელმოწერის გაყალბებით ბანკის თანამშრომელი შეცდომაში შეიყვანა. ამასთან, იპოთეკის ხელშეკრულება მარეგისტრირებელმა ორგანომ დაარეგისტრირა.

7.1. მეორე მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ნაწილობრივ ცნო, სადავოდ გახადა მხოლოდ გაყალბებული თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელის კუთვნილი ქონების აუქციონზე რეალიზაციის ფაქტი და აღნიშნა, რომ ქონება აუქ-

ციონზე იძულებით რეალიზდა შპს შპს „მ.თ.კ-ის“ მოთხოვნით და განაჩენით დადგენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა – 2764.96 ლარია.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მეორე და მესამე მოპასუხეებს – 2764.96 ლარის გადახდა დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ; პირველი მოპასუხის მიმართ მოთხოვნა უარყოფილ იქნა; სასარჩელო მოთხოვნა – 22 235.04 ლარის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ – 25 000 ლარის სოლიდარულად გადახდა დაეკისრათ.

11. გადაწყვეტილება პირველმა მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ ზიანი ბანკის თანამშრომლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია, კანონს და საქმეში დაცულ მტკიცებულებებს ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, მოსარჩელის კუთვნილი ბინის რეალიზაცია პირველი რიგის იპოთეკარის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით მოხდა და კასატორის მიერ მიღებული თანხა დაკისრებულზე გაცილებით ნაკლებს შეადგენს.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 27 თებერვლის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი პირველი მოპასუხის მიმართ ნაწილობრივ, ხოლო დანარჩენი მოპასუხეების მიმართ სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები

სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, პირველი მოპასუხის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, ნაწილობრივ დასაბუთებულია.

14. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლები. თუმცა, პირველი მოპასუხის/კასატორის მიმართ მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების წარუმატებლობას ზემოაღნიშნული ნორმების ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილობრივ არ არსებობა განაპირობებს.

15. კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობაზე, კერძოდ, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე. განსხვავებით სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან, რომელიც წარმოიშობა პირის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობიდან, დელიქტური ვალდებულება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება და მისი წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი შედეგსა და ქმედებას შორის. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, პირს (ზიანის მიმყენებელს) უნდა დაეკისროს, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურება.

16. განსახილველ შემთხვევაში, დადასტურებულია, რომ მოპასუხე ბანკის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ვერ მოახდინა პირის იდენტიფიცირება და მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ არაუფლებამოსილი პირის/მეორე მოპასუხის მიერ განიკარგა უძრავი ქონება/დაიტივირთა მეორე რიგის იპოთეკით, თუმცა ბანკის ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება არა არის უაშუალოდ იმ მოცულობის ზიანის გამომწვევი, რომელიც სასარჩელო მოთხოვნაშია ჩამოყალიბებული, სახელდობრ:

16.1. დადგენილია, რომ უძრავი ნივთი კანონსაწინააღმდეგო იპოთეკის ხელშეკრულებით ბანკის სასარგებლოდ მეორე რიგის იპოთეკით დატვირთვამდე სს „მ.თ.კ-ში“ უკვე დატვირთული იყო იპოთეკით მეორე მოპასუხის სესხის უზრუნველსაყოფად და ეს იპოთეკა უფლებამოსილი პირის/მოსარჩელის ნების საფუძველზე გაფორმდა.

ასევე დადგენილია, რომ იპოთეკის საგანი იძულებით აუქციონზე სხვა კრედიტორების წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გასხვისდა და ამონაგები თანხიდან ბანკიდან/პირველი მოპასუხისგან აღებული სესხის მხოლოდ ნაწილი – 2764.96 ლარი დაიფარა.

17. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში დაცული მტკიცებულებებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ბანკის მხრიდან ნივთის მესაკუთრე პირის იდენტიფიცირებისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაყალბების აღკვეთის მიუხედავად, პირველი რიგის იპოთეკით უზრუნველყოფილი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, უძრავი ნივთი იძულებით აუქციონზე მაინც გასხვისდებოდა. ამდენად პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთის აუქციონზე რეალიზაცია ბანკის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად არ არის გამოწვეული, რაც პირველი მოპასუხის დელიქტურ პასუხისმგებლობას გამორიცხავს, თუმცა, ბანკის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) გამომდინარეობს.

18. დადგენილია, რომ ბანკმა იპოთეკის ხელშეკრულება არაუფლებამოსილ პირთან/მეორე მოპასუხესთან გააფორმა და მესაკუთრეს/მოსარჩელეს აღნიშნულის თაობაზე ნება არ გამოუვლენია, შესაბამისად, აღნიშნული ვერ გახდება იპოთეკის ხელშეკრულების დადებულად ცნობის საფუძველი, მისი ბათილი ხასიათის გამო (სსკ-ის 54-ე და 59-ე მუხლები). ამდენად, საქმის გარემოებები ცხადყოფს რა სსკ-ის 976.1 მუხლის გამოყენების თანმხვედრი წინაპირობების არსებობას, პალატა მიიჩნევს, რომ პირველი მოპასუხის განკარგვის სფეროში, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოქცეული თანხის – 2764.96 ლარის მოსარჩელისთვის დაბრუნება მხარეთა შორის სამოქალაქოსამართლებრივი ნონასწორობის აღდგენას უზრუნველყოფს.

19. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა და-

ეკისროთ – 25 000 ლარის გადახდა (ნ. ვ-ას და გ. ვ-ას სააპელაციო სასამართლოს მიერ 25 000 ლარის დაკისრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ), საიდანაც სს თ. ბ-ის პასუხისმგებლობა – 2 764.96 ლარით უნდა განისაზღვროს.

21. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხეებისთვის 25 000 ლარის დაკისრებას, ე.ი. დავის საგნის (სარჩელის) ფასია 25 000 ლარი. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით მოპასუხეებს აღნიშნული თანხა სრულად დაეკისრათ საიდანაც, სს თ. ბ-ის პასუხისმგებლობა განისაზღვრა – 2 764.96 ლარით, რაც დავის საგნის მთლიანი ღირებულების 11,05 პროცენტს შეადგენს და შესაბამისად სს თ. ბ-ს სახელმწიფო ბაჟიც სათანადო პროპორციით უნდა გადახდეს.

სს თ. ბ-მა საკასაციო საჩივრის ფარგლებში – 1250 ლარი გადაიხდა და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებით იგი მთლიანი თანხის 88,5 პროცენტის გადახდისგან გათავისუფლდა, აქედან გამომდინარე მოსარჩელე მხარეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1 111,87 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო

ლექო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3 და 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „თ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ვ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. სს „თ. ბ-ს“, ნ. ვ-ასა და გ. ვ-ას, მ. ვ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ – 25 000 ლარის გადახდა, საიდანაც სს „თ. ბ-ის“ პასუხისმგებლობა განისაზღვროს – 2 764.96 ლარით;
5. სს „თ. ბ-ს“, ნ. ვ-ასა და გ. ვ-ას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის – 1750 ლარის ანაზღაურება, საიდანაც სს „თ. ბ-ის“ პასუხისმგებლობა განისაზღვროს – 110.5 ლარით;
6. მ. ვ-ს სს „თ. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1111.87 ლარის ანაზღაურება;
7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზ ი ა ნ ი ს ა ნ ა ზ ლ ა უ რ ე ბ ი ს წ ი ნ ა პ ი რ ო ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ას-1838-2018

5 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლონა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მიქაუტაძე,
რ. ნადარაია**

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ვ. ხ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩე-

ლე“, „გამყიდველი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ყ-ნის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „მყიდველი“) მიმართ და მოითხოვა 09.06.2011 წელს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 400 000 აშშ დოლარისა და 09.06.2011 წლიდან 400 000 აშშ დოლარის გადახდამდე ყოველთვიურად 5000 აშშ დოლარის დაკისრება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.07.2015 წლის გადაწყვეტილებით – სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.12.2015 წლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 02.08.2016 წლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.12.2015 განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ: მოსარჩელის ინტერესი მოპასუხისათვის 09.06.2011 წლის ხელშეკრულების ბათილობიდან გამომდინარე, 400 000 აშშ დოლარისა და 09.06.2011 წლიდან 400 000 აშშ დოლარის გადახდამდე ყოველთვიურად 5000 აშშ დოლარის დაკისრებაა. სააპელაციო სასამართლოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა განესაზღვრა ამ მოთხოვნების მატერიალურსამართლებრივი საფუძვლები და მისი ფაქტობრივი დასაბუთებულობა ამის შემდეგ შეემოწმებინა. იგულისხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 979-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 981-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამძღვრები. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადაწყვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობით

გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები არ განსაზღვრულა, რაც საფუძვლად შეიძლება დასდებოდა გადაწყვეტილების გამოტანას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.10.2018 წლის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.07.2015 წლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

6.1. 09.06.2011 წელს მოსარჩელესა (გამყიდველი) და მოპასუხეს (მყიდველი) შორის სანოტარო წესით გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით უძრავ ქონებაზე, მდებარე თბილისში, ... საშუალო სკოლასა და შ-ს ქუჩას შორის, კომერციულ საოფისე ფართზე №3 (მშენებარე) 90.60 კვ.მ (შემდეგში „სადავო უძრავი ნივთი“). ნასყიდობის ღირებულება განისაზღვრა 78 000 აშშ დოლარით.

6.2. წინამდებარე დავაში მოსარჩელე ითხოვს 09.06.2011 წლის გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ სადავო უძრავი ქონების ღირებულების – 400 000 აშშ დოლარისა და 09.06.2011 წლიდან 400 000 აშშ დოლარის გადახდამდე, ყოველთვიურად 5000 აშშ დოლარის დაკისრებას. მოსარჩელის განმარტებით, გამყიდველის მიერ გამოხატული ნება იყო ნაკლის მქონე, კერძოდ, მას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა.

6.3. მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება სსკ-ის 50-ე, 58-ე, 976-ე, 979-ე და 981-ე მუხლებს.

6.4. სსკ-ის 58-ე მუხლი აწესრიგებს გარიგების ბათილობის საკითხს პირის ქმედუუნარობის ან ფსიქიკური აშლილობის გამო: ბათილია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ნების გამოვლენა. ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს. ბათილია ნების გამოვლენა სულით ავადმყოფის მიერ, როცა ეს არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული (2015 წლის 20 მარტის კანონის ამოქმედებამდე არსებული რედაქციით). ამდენად, კანონი ერთნაირ სამართლებრივ შედეგს – გარიგების ბათილობას უკავშირებს ქმედუუნაროდ ცნობილი და ფსიქიკურად დაავადებული იმ პირის მიერ ნების გამოვლენას, რომელსაც არ შესწევს უნარი რეალურად აღიქვას ვითარება. პალატას მიაჩნია, რომ სადავო ნასყიდობის ხელ-

შეკრულების გაფორმების მომენტი სათვის გამყიდველს – მოსარჩელეს არ ჰქონდა რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარი, არ შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის, რაც 09.06.2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველია, სახელდობრ:

6.4.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 31.12.2013 წლის გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 09.06.2011 წლით დათარიღებულ უძრავი ქონების ნასყიდობის სამ ხელშეკრულებაზე, გრაფაში: „გამყიდველი“ – არსებული ხელმოწერები შესრულებულია მოსარჩელის მიერ. შპს „ფ.ჯ. და ნ.პ.ც-ის“ 24.05.2013 წლის ექსპერტიზის დასკვნის №58-ის თანახმად, მოსარჩელეს 16.06.2011 წლიდან აღენიშნებოდა მოტორული აღგზნება და ვერბალური აგრესიის ეპიზოდები. 07.12.2011 წელს ამბულატორულად მიმართეს შპს „ნ.ჰ-ს“, ხოლო 12.12.2011 წელს მიენიჭა მკვეთრად გამოხატული შშმ სტატუსი საერთო დაავადებით – უვადოდ. პრევენციის ცენტრის დასკვნის თანახმად, დაავადების სპეციფიკიდან და დინამიკიდან გამომდინარე, 09.06.2011 წელს მოსარჩელეს არ შეეძლო, ანგარიში გაენია და ეხელმძღვანელა თავისი ქმედებებისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.04.2014 წლის გადაწყვეტილებით მოსარჩელე აღიარებულ იქნა ქმედუუნაროდ.

6.4.2. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 102-ე, 105-ე, 162-ე მუხლებზე და განმარტა, რომ ექსპერტიზის დასკვნა შეფასებაა სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის მიერ მოკვლეული საკითხის ირგვლივ. ექსპერტის დასკვნის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: გამოსაკვლევად მიწოდებულ მასალას, მის კვლევით ნაწილს, რადგან სწორედ კვლევითი ნაწილის შედეგი აისახება საბოლოო დასკვნაში. შპს „ფ.ჯ. და ნ.პ.ც-ის“ 24.05.2013 წლის ექსპერტიზის დასკვნის №58-ის თანახმად მოსარჩელეს 16.06.2011 წლიდან აღენიშნებოდა მოტორული აღგზნება და ვერბალური აგრესიის ეპიზოდები, იგი დაავადებულია ქრონიკული ფსიქიური დაავადებით Ds: ინტოქსიკაციის დროს განვითარებული დემენცია F-02.8. დაავადების სპეციფიკიდან და დინამიკიდან გამომდინარე, 09.06.2011 წელს მოსარჩელეს არ შეეძლო, ანგარიში გაენია და ეხელმძღვანელა საკუთარი ქმედებებისათვის. აღნიშნულის შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, არსებობდა სსკ-ის 58-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის წინაპირობები.

6.5. მიუხედავად გარიგების ბათილობისა, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ არსებობს სარჩელის და კმაყოფილების მატრიალურ-სამართლებრივი წინაპირობები, რადგან, მოსარჩელის ინტერესს, ანუ

გარიგების ბათილობიდან გამომდინარე აღიარებითი სარჩელის ნამდვილ იურიდიულ ინტერესს, მოპასუხისათვის 400 000 აშშ დოლარისა და 09.06.2011 წლიდან 400 000 აშშ დოლარის გადახდამდე ყოველთვიურად 5000 აშშ დოლარის დაკისრება წარმოადგენს, რომლის მატერიალურსამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილი და ამავე კოდექსის 981-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

6.6. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ მას ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი თანხა არ მიუღია, ხოლო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 400 000 აშშ დოლარია. პალატამ მიუთითა სსკ-ის 106-ე მუხლზე (მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს; ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), ამავე კოდექსის 266-ე მუხლზე (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი) და განმარტა, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.11.2012 წლისა და 16.04.2013 წლის გადაწყვეტილებების მხარეები წინამდებარე დავის მხარეები არიან და ამ გადაწყვეტილებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მოცემულ დავაზე პრეიუდიციულ, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად უნდა იქნეს მიჩნეული. თბილისის საქალაქო სასამართლოს 19.11.2012 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა უძრავი ქონების უკან გამოსყიდვისათვის 78 000 აშშ დოლარის გადახდის საფუძველით 09.06.2011 წლის ხელშეკრულების ნასყიდობის საგნის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე გამყიდველის სარჩელი. მოსარჩელე ამ საქმეზე განმარტავდა, რომ მან 78 000 აშშ დოლარი გადასცა მოპასუხეს უძრავი ქონების გამოსყიდვის მიზნით. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილია მხარეებს შორის სანოტარო წესის დაცვით 19.11.2012 წლის ხელშეკრულების დადებისა და მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის ღირებულების, 78 000 აშშ დოლარის, გადახდის ფაქტი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.04.2013 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ასევე არ დაკმაყოფილდა გამყიდვე-

ლის სარჩელი 09.06.2011 წლის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. ამ შემთხვევაში, მოსარჩელე გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლად მიუთითებდა მის თვალთმაქცურობაზე. გადანყვეტილებაში ასახულ ფაქტებში, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ, მითითებულია მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის ღირებულების 78 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებებით დადგენილია ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურსამართლებრივი უფლებები და ვალდებულებები (ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, აქედან გამომდინარე, მხარეთა შორის მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა და მყიდველის მიერ მისი შესრულება – ნასყიდობის საფასურის გადახდა). მოცემულ დავაზე ისინი წარმოადგენენ პრეიუდიციულ ფაქტებს, შესაბამისად, პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ 09.06.2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის სრულად გადახდილია ნასყიდობის საგნის ღირებულება – 78 000 აშშ დოლარი.

6.7. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა, რომ უძრავი ქონების ღირებულება 400 000 აშშ დოლარია, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

6.8. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 976-ე მუხლი პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და განმარტა, რომ შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი, ან ამგვარი საფუძველი ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოიშობილა ან შეწყდა (გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძველით). შესრულების კონდიქციისას, ისევე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის მახასიათებელი მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებაა, კანონისმიერი ამ ვალდებულების მთავარი მიზანი იმ ქონებრივი ბალანსის აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვითომ კრედიტორის გამდიდრება. კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება, ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; სიკეთეთა გადანაცვლების უსაფუძვლობა. მითითებულთაგან ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა, მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამორიცხავს, ამასთანავე, როგორც მატერიალური ისე საპროცესო ნორმის თანახმად, მტკიცების სა-

განში შემავალი გარემოებების დადასტურების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს (სუსგ №ას-344-329-2016). პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება მყიდველის გამდიდრების ფაქტი, რაც მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობის საფუძვლად და წინაპირობად მიიჩნევა.

6.9. სასამართლოს განმარტებით, შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე, კრედიტორის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება რომ იყოს, უპირველესად, უნდა შემოწმდეს, რამდენად შესაძლებელია ამ ნივთის დაბრუნება (სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლი) და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგაა დასაშვები, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო (სსკ-ის 979.2 მუხლი). სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლების გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების ბათილობის გამო უკან უნდა დააბრუნონ ის, რაც მათ ამ ხელშეკრულებით მიიღეს, მაგრამ ერთერთ მხარეს არ შეუძლია დაბრუნება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების გამო, მაშინ მას არ ეკისრება უკან დაბრუნების მოვალეობა, თუ ეს გამომდინარეობს სამართლის იმ ნორმის არსიდან, რომლის საფუძველზედაც ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება მოპასუხის გამდიდრება, რადგან არ დგინდება ქონების ღირებულების (400 000 დოლარის) ფაქტობრივი გარემოება, ხოლო 78 000 აშშ დოლარის ნასყიდობის საფასურის გადახდის ვალდებულება სრულად შესრულებულია მყიდველის მიერ.

6.10. პალატა განმარტავს, რომ ქონებრივი წონასწორობის აღდგენისათვის საკმარისი არაა მხოლოდ შედეგის – სხვისი ქონების შეძენის, „მოხვეჭის“ ფაქტის არსებობა. ისეთ პირობებში, როდესაც მიღებულ ქონებაზე სამართლებრივი ხარვეზის შესახებ პირს წინასწარ აქვს ინფორმაცია, ან ეს ხარვეზი მიმღებისთვის ცნობილი არ არის მისივე უხეში გაუფრთხილებლობის გამო, შესაძლებელია, დადგეს ამ უკანასკნელის მიმართ ზიანის ანაზღაურების საკითხი. აღნიშნულ მსჯელობას განაპირობებს სსკ-ის 981-ე მუხლის პირველი ნაწილი (თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყო, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებ-

ლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე). აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების შემდეგ წინაპირობებს: ქონების მიმღებმა წინასწარ ან თავისივე უხეში გაუფრთხილებლობით, უნდა იცოდეს უფლების ხარვეზის არსებობა გადაცემულ ქონებაზე. მხოლოდ ამ გარემოებათა შემთხვევაში დგება მიმღების ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ანუ ქონების გადასვლა არაუფლებამოსილი მიმღების ხელში განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით უნდა ხდებოდეს. შედეგად, ასეთ შემთხვევაში უფლების აღდგენის გზა გამათანაბრებელი სამართლიანობის პრინციპი – ის, რაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშეა შექმნილი, უნდა დაბრუნდეს. მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება, რომ მყიდველმა იცოდა ან, უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა, რაც გამორიცხავს მისთვის თანხის დაკისრების ვალდებულებას.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ და მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. წინამდებარე დავაში სარჩელის საგანია: 09.06.2011 წელს მოსარჩელესა (გამყიდველი) და მოპასუხეს (მყიდველი) შორის სანოტარო წესით გაფორმებული სადავო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების (გამოსყიდვის უფლებით) ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ გამყიდველს ხელშეკრულების დადების მომენტში არ ჰქონდა რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარი, არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის; ნივთის დაბრუნების შეუძლებლობის გამო მოპასუხისთვის 400 000 აშშ დოლარისა და 09.06.2011 წლიდან 400 000 აშშ დოლარის გადახდამდე ყოველთვიურად 5000 აშშ დოლარის დაკისრება. სწორედ ეს მოთხოვნა განიხილეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა, რაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაც მოწმდება წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით. რაც შეხება საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ სარჩელის საგნის ნაწილობრივ ტრანსფორმაციის თაობაზე შუამდგომლობას,

პალატა მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლო შეზღუდულია, იმ-სჯელოს შეცვლილ მოთხოვნაზე. საკასაციო პალატის ეს შეზღუდული უფლებამოსილება განპირობებულია სსსკ-ის 406-ე-407-ე მუხლებით, კერძოდ, სსსკ-ის 406-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია, ხოლო სსსკ-ის 407.1 მუხლით კი დადგენილია საკასაციო სასამართლოს ქცევის იმგვარი წესი, რომლის მიხედვითაც სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. ამდენად, ზემოთ მოხმობილი მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ შეცვლილ მოთხოვნაზე ვერ იმსჯელებს (სუსგ №ას-372-353-2015, 03.06.2015წ.; შდრ. სუსგ. №ას-61-2019, 23.09.2021წ.).

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.11.2012 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გამყიდველის (ანუ წინამდებარე დავის მოსარჩელის) სარჩელი მყიდველის (ანუ წინამდებარე დავის მოპასუხის) მიმართ 09.06.2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნასყიდობის საგნის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით. გამყიდველი სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებდა იმ გარემოებას, რომ მან უძრავი ნივთის უკან გამოსყიდვისთვის მყიდველს გადაუხადა 78 000 აშშ დოლარი. გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 09.06.2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის ფასი, გამყიდველს კი მისი გამოსყიდვის მიზნით თანხა არ დაუბრუნებია.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 16.04.2013 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გამყიდველის (ანუ წინამდებარე დავის მოსარჩელის) სარჩელი მყიდველის (ანუ წინამდებარე დავის მოპასუხის) მიმართ 09.06.2011 წლის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. ამ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავო გარიგების ბათილობის საფუძველად მიუთითებდა გარიგების თვალთმაქცურობაზე და განმარტავდა, რომ მოპასუხისაგან თანხა მიიღო სესხის სახით, რაც არ იქნა გაზიარებული.

12. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე დავასთან მიმართებით პრეიუდიციული მნიშვნელობა მიანიჭა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.11.2012 წლის და 16.04.2013 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადგენილ შედეგის განმაპირობებელ გარემოებას, რომ მყიდველის მიერ 09.06.2011 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი (78 000 აშშ დოლარი) გადახდილია (მყიდველის ვალდებულება შესრულებულია), რასაც არ ეთანხმება კასატორი. საკასაციო პალატა განმარტავს,

რომ სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნა, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა ორმხრივ ვალდებულო აკრძალვას გულისხმობს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი და დადასტურებული ფაქტების სხვაგვარად შეფასებას უკრძალავს სასამართლოს, ხოლო საქმეში მონაწილე პირებს – ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებთან და სამართლებრივ ურთიერთობებთან შედავებას, თუ სხვა საქმეში იგივე პირები ან მათი უფლებამონაცვლეები მონაწილეობენ. სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს აქვთ პრეიუდიციული მნიშვნელობა და ისინი აღარ უნდა დამტკიცდეს ხელახლა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ. იგივე მხარეებში იგულისხმებიან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულ საქმეში მონაწილე პირები, მიუხედავად იმისა, რა სტატუსით მონაწილეობენ ისინი სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, მაგალითად, ახალ დავაში მოსარჩელე შეიძლება მოპასუხე იყოს ან პირიქით. მთავარია, რომ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე სუბიექტები მონაწილეობდნენ (იხ. პ. ქათამაძე, სსსკ-ის კომენტარი (რჩეული მუხლები), თბილისი, 2020, მუხ. 266, გვ. 994). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ფაქტის პრეიუდიციულობის შემონღმებისას საჭიროა, შეფასდეს არა მხოლოდ ფორმალურ-პროცესუალური წინაპირობები (არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის სუბიექტებიც სხვა სამოქალაქო საქმეში იღებენ მონაწილეობას), არამედ, მნიშვნელობა ენიჭება ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს – კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები უნდა ამართლებდეს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ანუ განსაზღვრავდეს მხარის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები შეუდავებელი ფაქტებია და სასამართლო არ არის უფლებამოსილი, სხვა დავაში გაითვალისწინოს ამ ფაქტების წინააღმდეგ წარდგენილი შედავება, ამას მოწმობს სსსკ-ის 266-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლეებს არ

შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (სუსგ №ას-547-510-2017, 04.05.2018წ.). მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.11.2012 წლის და 16.04.2013 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამტკიცებულად მიჩნეულ შედეგის განმაპირობებელ ფაქტობრივ გარემოებებს წინამდებარე დავის მიმართ გააჩნიათ პრეიუდიციული ძალა (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) (მდრ. სუსგ №ას-563-538-2016, 23.09.2016წ., პუნ. 19.3). შესაბამისად, სასამართლომ მართებულად მიიჩნია დადასტურებულად მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის, 78 000 აშშ დოლარის, გადახდის ფაქტი.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაადგინა და საკასაციო საჩივრით შედავებული არ არის, რომ:

13.1. 09.06.2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მოსარჩელეს არ ჰქონდა რეალური ვითარების სწორად აღქმის უნარი, არ შეეძლო, გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის;

13.2. ნასყიდობის საგნის უკან დაბრუნება შეუძლებელია (ნივთი არ წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას).

14. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რომ:

14.1. სადავო უძრავი ნივთის ღირებულება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისას არ აღემატება მყიდველის მიერ გადახდილ თანხას (მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ სადავო უძრავი ნივთის ღირებულებაა 400 000 აშშ დოლარი);

14.2. მყიდველი ნასყიდობის საგნით ან მისი ღირებულებით არ გამ-
დიდრებულა;

14.3. არ დადგინდა, რომ 09.06.2011 წლის ხელშეკრულების სანოტა-
რო წესით გაფორმებისას მყიდველმა იცოდა ან უხეში გაუფრთხილებ-
ლობის გამო, მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვე-
ზის არსებობა.

15. მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ გარი-
გების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის დაუბრუნებლობის საფუძ-
ვლით თანხის მოთხოვნის საკითხის გადაწყვეტისას, ბათილობის სა-
ფუძვლის არსებობასთან ერთად უნდა არსებობდეს სსკ-ის 180-ე მუხ-
ლით გათვალისწინებული მოთხოვნის ნამდვილი იურიდიული ინტერე-
სი. განსახილველ შემთხვევაში, გარიგების ბათილად ცნობის ნამდვილი
იურიდიული ინტერესი სწორედ მოპასუხისთვის თანხის დაკისრებაა,
რაც მოცემული სარჩელის ფარგლებში ობიექტურად ვერ მიიღწევა და
გარიგების ბათილობის საფუძვლის (სსკ-ის 58-ე მუხლის მე-3 ნაწილი)
არსებობის მიუხედავად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების წი-
ნაპირობები.

16. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ
შეამოწმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განსაზღვრუ-
ლი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების ფაქტობრივი წინაპირო-
ბები და ისე მიიღო გადაწყვეტილება.

17. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს
ქცევის შემდეგ წესს: პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესას-
რულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს
(მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათი-
ლობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შენ-
ყდა შემდგომში. სსკ-ის 976-ე მუხლი ეხება შესრულების კონდიქციის
გამოყენების მთავარ შემთხვევას, კერძოდ, შესრულების უკუმოთხოვ-
ნას, რომელიც განხორციელდა ვალდებულების შესასრულებლად
(*solvendi causa*). იგი მოიცავს როგორც შემთხვევებს, რომელშიც შემ-
სრულებელი (*ძირითადად შეცდომით*) ახდენს ფაქტობრივად არარსე-
ბული ვალდებულების შესრულებას, ასევე – ბათილი ან არშემდგარი
ხელშეკრულებების უკუქცევის შემთხვევებს (ჰაინრიხ შნიტგერი/ლია
შატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,
მუხლი 976, ველი 24, იხ: eccc.tsu.ge). პალატა მიუთითებს, რომ კონდიქ-
ციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პი-
რის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული
უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არ-
სებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ
გარემოებას თუ, რის შედეგად წარმოიშვა უსაფუძვლო გამდიდრების

ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძველით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძველის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე (სუსგ №ას-360-342-2015, 3.06.2015წ.; სუსგ №ას-1352-2021, 18.03.2022წ.). უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას (შდრ: სუსგ №ას-390-390-2018, 15.05.2018წ.).

18. შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი ან ამგვარი საფუძველი, ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა ან შემდგომ შეწყდა. შესრულების უკან მოთხოვნისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: ერთი პირის მიერ მეორისათვის სამართლებრივი სიკეთის შესრულების საფუძველზე გადაცემა; მეორე პირის მიერ შესრულების საფუძველზე სამართლებრივი სიკეთის შექმნა; შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძველის არარსებობა. შესაბამისად, კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; სამართლებრივ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა (შდრ. სუსგ №ას-415-398-2016, 23.08.2017წ.). მითითებულთაგან ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა, მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამორიცხავს, ამასთანავე, როგორც მატერიალური (სსკ-ის

976-ე მუხლი), ისე საპროცესო (სსკ-ის 102-ე მუხლი) ნორმის თანახმად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს (სუსგ №ას-344-329-2016, 22.04.2016წ.).

19. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე, გამდიდრების კრედიტორის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება შეიძლება იყოს, უპირველესად, უნდა შემონმდეს რამდენადაა შესაძლებელია ამ ნივთის დაბრუნება (სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლი) და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგაა დასაშვები, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო (სსკ-ის 979.2 მუხლი) (სუსგ №ას-344-329-2016, 22.04.2016წ.). სსკ-ის 979-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით.

20. მოთხოვნის უფლების მოცულობა გამომდინარეობს სსკ-ის 979-ე-981-ე მუხლებიდან. ამასთან, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მოთხოვნა, რომელიც სსკ-ის 976-ე მუხლის წინაპირობების მიხედვით არსებობს, სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 (გამდიდრების გაქარწყლება, განმდიდრება) და მე-4 (ბათილი ორმხრივი ხელშეკრულების უკუქცევა) ნაწილების წესების მიხედვით მაინც გამოირიცხოს (ჰაინრიხ შნიტგერი/ლია შატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 976, ველი 24, იხ: www.tsu.ge). სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დალუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლების გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა.

21. გამდიდრების ნიშნების არარსებობის შემთხვევაში უკან დაბრუნების მოთხოვნა, სსკ-ის 976-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში, გამოირიცხება სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მიმღები არც მიღებული ნივთის და არც ამ ნივთის შესაბამისი სარგებლისა თუ ღირებულების საფუძველზე არ გამდიდრებულა. ამ რეგულირების მიზანია, უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, უკან დაბრუნების ვალდებულება არ გასცდეს ფაქტობრივი გამდიდრების ფარგლებს. კეთილსინდისიერებისა და თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, ამგვარი მიდგომა გამართლებულია (იხ. სოფიო ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2016წ., გვ. 170, 171). პალატა აქვე აღ-

ნიშნავს, რომ სსკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პრინციპი, რომლის შესაბამისადაც უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირს აქვს გამდიდრების აღარარსებობის (განმდიდრების) შესახებ შესაგებების ნაყენების შესაძლებლობა, რაც მას ათავისუფლებს ანაზღაურების ვალდებულებისგან, მნიშვნელოვან გამოწვევებს შეიცავს. შესაგებელი არ მოქმედებს არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში (ჰაინრიხ შნიტგერი/ლია შატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თავი მესამე, უსაფუძვლო გამდიდრება, შესავალი, ველი 20, იხ: eccc.tsu.ge). სსკ-ის 981-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე. ასევე, თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლოის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს. ამდენად, ნორმა აწესრიგებს ხელშეკრულების მონაწილეების უფლებებსა და ვალდებულებებს მიმღების არაკეთილსინდისიერებისას (ან როდესაც გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში). მიმღების პასუხისმგებლობა კანონის მიხედვით მკაცრდება, ვინაიდან მან იცის ან უნდა ივარაუდოს, რომ მას მოუწევს მიღებული ნივთის დაბრუნება (ჰაინრიხ შნიტგერი/ლია შატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 981, „ზოგადი განმარტება“ იხ: eccc.tsu.ge).

22. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ: მყიდველი ნაცყიდობის საგნით ან მისი ღირებულებით არ გამდიდრებულია; ამასთან, არ დადასტურდა სსკ-ის 981-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, რომ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა. შესაბამისად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისთვის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა. სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა სარჩელი.

23. რაც შეეხება საქმეზე მტკიცებულებების დართვის, მტკიცებუ-

ლებების გამოთხოვის და ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე კასატორის შუამდგომლობას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ფაქტების მითითების და საჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად განერილ პროცედურას. საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, კანონმდებლობით ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის. სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი. მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორს (შდრ. სუსგ №ას-211-2020, 21.07.2020წ.; სუსგ №ას-48-2020, 17.09.2020წ.).

24. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

25. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.10.2018 წლის გადაწყვეტილება.
3. ვ. ხ-ის შუამდგომლობები საქმეზე მტკიცებულებების დართვის, მტკიცებულებების გამოთხოვის და ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს. მტკიცებულებები დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორს.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დელიქტური ვალდებულება

დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სასაბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ

№ას-1237-2023 29 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: **ლ. მიქაბერიძე**
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება (პირველი სარჩელი), ზიანის ანაზღაურება (მეორე სარჩელი)

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „გ-ომ“ (შემდგომ – გამყიდველი, პირველი მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა შპს „ლ-ასა“ (შემდგომ – მყიდველი, მეორე მოსარჩელე) და დ. გ-ას (შემდგომ – დირექტორი) მიმართ დამატებითი ღირებულების გადასახადის 9 765 ევროსა და 365.72 ლარის დაკისრების მოთხოვნით. შპს „ლ-ამ“ და დ. გ-ამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „გ-ოს“ მიმართ ზიანის – 17 917.95 ლარისა და 4 161.6 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

2. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 თებერვლის საოქმო განჩინებით, შპს „გ-ოს“ სარჩელის გამო, მოპასუხე შპს „ლ-ასა“ და დ. გ-ას მიმართ დამატებითი ღირებულების გადასახადის დაკისრების თაობაზე №2/155-017 სამოქალაქო საქმე გაუერთიანდა, შპს „ლ-ას“ სარჩელის გამო, შპს „გ-ოს“ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ ამავე სასამართლოს წარმოებაში არსებულ სამოქალაქო №2/940-2018 საქმეს, მიენიჭა №2/155-2017 და მისი განხილვა გაგრძელდა ერთ წარმოებად.

შპს „გ-ოს“ სარჩელის საფუძვლები

3. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ტრაქტორის, სპეცტექნიკისა და სათადარიგო ნაწილების დარჩენილი საფასურის დაკისრების თაობაზე გამყიდველის სარჩელი, რომელიც სასარჩელო მოთხოვნაში მითითებული იყო დამატებითი ღირებულების თანხის გარეშე.

შესაბამისად, მოსარჩელე წინამდებარე სარჩელით მოითხოვს სწორედ დღგ-ს დაკისრებას მოპასუხისათვის შემდეგ გარემოებათა გამო: 2012 წლის 5 მაისის ხელშეკრულების დადებისას, რომლის თანახმადაც მყიდველმა გამყიდველისაგან შეიძინა ტრაქტორი, სპეცტექნიკა და სათადარიგო ნაწილები, მხარეთა აზრით, ისინი არ იყვნენ ვალდებული, გადაეხადათ დღგ შემოსავლების სამსახურისთვის, რადგან ორივე მხარე სოფლის მეურნეობის პირველად პროდუქციას აწარმოებდა, რომელიც გათავისუფლებული იყო დამატებითი ღირებულების გადახდისაგან. აღნიშნულის გამო, მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის საფასურზე დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. 2013 წლის 28 თებერვალს მხარეები დამატებით შეთანხმდნენ, თუ მყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება და ნასყიდობის საგნების ღირებულება დასაბეგრი ექნებოდათ დღგით, მაშინ ორივე მხარე უფლებამოსილი იქნებოდა, დაეანგარიშებინათ და დაემატებინათ შეთანხმებული ნასყიდობის საფასურზე და შესრულებული სამუშაოების ღირებულებაზე ფასების ჩამონათვალის მიხედვით დღგ და მოეთხოვა თითოეულ მხარეს მეორე მხარისგან. 2014 წლის 9 მარტის გამყიდველის მიერ წარმოდგენილ ანგარიშსწორების დოკუმენტში შესრულებული სამუშაოების ღირებულებაზე დამატებულია დღგ, რაც გამყიდველმა ცნო ზემოაღნიშნული ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, მოსარჩელეც უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა შეთანხმებული ნასყიდობის საფასურზე დამატებითი დღგ.

მოპასუხის შესაგებელი

4. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ დღგ-ს მოითხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან, მყიდველმა 2012 წლის 5 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის საფასური გადაიხადა სრულად, რადგან მასში შედიოდა დღგ-ც. ნასყიდობის სრულად გადახდა დადასტურებულია ფოთის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2016 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებითაც.

შპს „ლ-ასა“ და დ. გ-ას სარჩელის საფუძველი

5. ნასყიდობის საგნის ღირებულება მოსარჩელემ სრულად აანაზღაურა 2015 წლის 21 დეკემბერს. 2015 წლის 30 დეკემბერს მოითხოვა მოპასუხისაგან ანგარიშგაქტურა, რაზეც უსაფუძვლოდ მიიღო უარი. სწორედ ამან აიძულა მყიდველი, მიემართა სასამართლოსთვის და ემტკიცებინა, რომ ნასყიდობის ფასი სრულად ჰქონდა ანაზღაურებული, რაც დადგინდა კიდევ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

6. მოსარჩელეც და მოპასუხეც რეგისტრირებული არიან დღგ-ს გადამხდელებად, ამიტომ მყიდველზე ნასყიდობის საფასურის სრულად

გადახდის დაკისრების თაობაზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის განჩინება ძალაში შევიდა 2015 წლის 3 აგვისტოს) ამ უკანასკნელს წარმოეშვა დაკისრებული თანხის გადახდის ვალდებულება მოპასუხეს კი – მყიდველისათვის დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარდგენის ვალდებულება, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მყიდველის უფლებას, ჩათვალოს დღგ ან ბიუჯეტიდან თანხა დაიბრუნოს. დღგ შეადგენს 17 917.95 ლარს ($117\ 462.09 : 1.18 = 99\ 544.14$ ლარი დღგ-ს გარეშე).

7. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია მოსარჩელის მიერ ნასყიდობის თანხის სრულად გადახდის ფაქტი და, შესაბამისად, მოპასუხის მიერ ანგარიშფაქტურის გამოწერის ვალდებულება, ის არ აპირებს ამ ვალდებულების შესრულებას სრულიად აბსურდული არგუმენტით, რომ ანგარიშფაქტურას ვერ გამოწერს ორ სუბიექტზე ერთდროულად, რადგან მეორე მყიდველი, როგორც ფიზიკური პირი, არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად. სინამდვილეში, ვითარება ასეთია: გამყიდველმა 2014 წელს სარჩელი აღძრა მხოლოდ კომპანიის წინააღმდეგ და მხოლოდ ამ უკანასკნელმა აანაზღაურა ნასყიდობის საფასური. ამასთან, დირექტორმა თავისი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ სრულად დაუთმო კომპანიას. ეს უკანასკნელი კი, რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად და მის სახელზე ანგარიშფაქტურის გამოწერა სრულად შეესაბამება საგადასახადო კანონმდებლობას. მოპასუხემ არ გამოწერა ანგარიშფაქტურა და ზიანი მიაყენა მოსარჩელეს.

8. ამასთან, მოსარჩელეს შეეძლო დღგ-ს თანხის დაბრუნება ბიუჯეტიდან და ვადიან ანაზღაურებში მისი განთავსებით სარგებლის მიღება, რაც ვერ მიიღო მოპასუხის ბრალით. შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს დამატებით 4 161.6 ლარის ანაზღაურებაც.

მოპასუხის შესაგებელი

9. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელეს ზიანი არ მისდგომია, მას დღგ-ს თანხა ვერც ჩათვლებოდა და ვერც დაიბრუნებდა, რადგან დღგ-ს ანგარიშფაქტურის გაწერისა და შემოსავლების სამსახურისგან მისი ჩათვლის მოთხოვნა აქვს არა ნასყიდობის საფასურის გადამხდელ პირს, არამედ მხოლოდ იმას, ვინც ფაქტობრივად ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისას, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე, შემოსავლების სამსახურში დღგ-ს გადამხდელად არის რეგისტრირებული.

10. დირექტორს, როგორც ფიზიკურ პირს, რომელიც დღგ-ს გადამხდელად არ არის რეგისტრირებული, არ გააჩნდა დღგ-ს თანხის ჩათვლის მოთხოვნა შემოსავლების სამსახურის მიმართ, რის გამოც დირექტორმა 31.10.2016 წელს 05.05.2012 წლის ხელშეკრულებიდან გა-

მომდინარე უფლებები და მოთხოვნები დაუთმო კომპანიას. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეს არ წარმოეშვა დღგ-ს თანხის ჩათვლის ან ანაზღაურების მოთხოვნა, რადგან ხელშეკრულების გაფორმებისას მხარე იყო ფიზიკური პირი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

11. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით გამყიდველის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მყიდველთა სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით: გამყიდველის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მყიდველის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების მე-2 და მე-4 პუნქტი მყიდველის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა; გამყიდველს დაეკისრა 17 917,95 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 4161,6 ლარის გადახდა მყიდველის სასარგებლოდ; სახელმწიფო ბაჟის – 663,5 ლარისა და ადვოკატის მომსახურების – 1000 ლარის გადახდა.

14. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2014 წლის 1-ელი აგვისტოს გადაწყვეტილებით, დავის საგანი იყო 05.05.2012 წელს მხარეთა შორის დადებული ნასყიდობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით ნაკისრი, როგორც ძირითადი ვალდებულების შესრულება – თანხის გადახდა, ისე ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის (პროცენტის) ანაზღაურება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მყიდველს დაეკისრა ნასყიდობის საფასურის – 117 462,09 ლარის გადახდა. ამ თანხიდან გამოიქვითა მყიდველის მიერ მოპასუხისთვის შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება 32 156,29 ლარი და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულმა ნასყიდობის თანხამ შეადგინა 85 305,80 ლარი, რაც მყიდველმა სრულად აანაზღაურა. იქიდან გამომდინარე, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოსა და 2016 წლის 30 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამტკიცებულად მიჩნეული შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები წინამდებარე და-

ვის მიმართ პრეიუდიციული ძალისაა. პალატამ გაიზიარა გასაჩივრებულ-
ლი განჩინების დასკვნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის (შემდგომ – სსსკ-ის) 266-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელე
მათ სადავოდ ველარ გახდის. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ არ
გაიზიარა გამყიდველის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები.

15. რაც შეეხება მყიდველის სარჩელს, იგი მიუთითებს, რომ მოპა-
სუხის მიერ ანგარიშფაქტურის გამოუწერლობით პირად ბარათზე ვერ
აისახა დღგ და მან ვერ შეძლო ბიუჯეტში გადახდილი თანხის ჩათვლის
ან უკან დაბრუნების უფლების რეალიზაცია, რაც კანონით უპირობოდ
ჰქონდა მინიჭებული. ეს უფლება მან ვერ განახორციელა მოპასუხის
ბრალეული ქმედების (უმოქმედობის) გამო, რითაც მიადგა ზიანი დღგ-
ს – 17917,95 ლარის ოდენობით. ამის სანინალმდევოდ მონინალმდე-
გე მხარე მიუთითებს, რომ მან უარი თქვა დღგ-ს ანგარიშფაქტურის
განერაზე, ვინაიდან ნასყიდობის საფასური ჯერ კიდევ არ გადაეხა-
დათ სრულყოფილად და გადასახდელი იყო დღგ. ეს განმარტება არ გა-
იზიარა სააპელაციო პალატამ, რადგან, როგორც აღინიშნა, ფოთის სა-
ქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესუ-
ლი გადანყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ შეასრულა თან-
ხის გადახდის ვალდებულება და სრულად გადაიხადა ნასყიდობის საგ-
ნის საფასური. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა არც
ნასყიდობის ფასში დღგ-ს თანხის გაუთვალისწინებლობის შესახებ
მტკიცება, რადგან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით
(დანართი) განსაზღვრულია მოძრავი ნივთების ფასი და ხელშეკრულე-
ბა არ შეიცავს დღგ-ს თანხის დამატებით გადახდის ვალდებულებს
თაობაზე მითითებას.

16. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დამატებითი ღირებუ-
ლების გადასახადით დაბეგვრის სუბიექტია ფიზიკური ან იურიდიული
პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას და შესაბამი-
სი საგადასახადო კანონმდებლობით წარმოადგენს გადასახადის გადამ-
ხდელს. დადგენილია, როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი ხელშეკ-
რულების დადების მომენტისთვის რეგისტრირებული იყვნენ დღგ-ს გა-
დამხდელებად, გამყიდველის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის
გამონერაზე უარის თქმის გამო, მყიდველმა ვერ წარადგინა ანგარიშ-
ფაქტურა საგადასახადო ორგანოში დეკლარაციასთან ერთად. ვინაი-
დან მხარეთა შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა და
ორივე მხარემ იცოდა, იყვნენ დღგ-ის გადამხდელები, პალატამ გაიზი-
არა მყიდველის მოსაზრება, რომ წინასწარ სავარაუდო იყო ის ქონებ-
რივი ზიანი, რაც შეიძლებოდა მისდგომოდა მოპასუხის მიერ დღგ-ის
ანგარიშფაქტურის გამოუწერლობის შემთხვევაში, რომლის გამონერის
კანონისმიერი ვალდებულება წარმოეშვა გამყიდველს მყიდველის მი-

ერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების გადახდის შემდეგ მისთვის მოთხოვნის წაყენების მომენტიდან.

17. როგორც წარმოდგენილი სარჩელით ირკვევა, მოსარჩელე ითხოვს მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის – 4 161.6 ლარის ანაზღაურებას იმ საფუძველით, რომ შეეძლო დღგ-ს თანხის დაბრუნება ბიუჯეტიდან და ვადიან ანაბარზე მისი განთავსებით სარგებლის მიღება, რაც მოპასუხის ბრალით ვერ მიიღო. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი, რომლის ფლობაც უპირობოდ იძლევა შემოსავლის მიღების პრეზუმფციას. ამდენად, გამყიდველმა ვალდებულების დარღვევით, სავარაუდო შემოსავალი დააკარგვინა მყიდველს. 2018 წლის 1 აგვისტოს ბანკის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, 01.10.2015-დან 01.08.2018-მდე იურიდიული პირებისათვის დეპოზიტზე მოქმედებდა 8,2%. ვინაიდან 2015 წლის ოქტომბრიდან, ანგარიშვაქტურების განერის დროიდან, 2018 წლის ივლისის ჩათვლით გადანყვეტილების აღსრულებამდე (34 თვის განმავლობაში) ვადიან ანაბარზე დღგ-ს – 17917,95 ლარის განთავსების შემთხვევაში მყიდველი მიიღებდა საპროცენტო სარგებელს – 4161,6 ლარს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვლინდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ის) 411-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა, რაც ამ ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებისა და მყიდველის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდა.

18. ზემოაღნიშნული გადანყვეტილება გამყიდველმა საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, თავისი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო მყიდველის სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძველები:

19. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსსკ-ის 106-ე მუხლი „ბ“ ქვეპუნქტი და 266-ე მუხლი. მართალია, მხარეთა შორის არსებობდა დავა, თუმცა გამყიდველმა 2014 წლის სარჩელით მოითხოვა მხოლოდ ნასყიდობის საფასურის დაკისრება დღგ-ს გარეშე, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ამით უარი თქვა დღგ-ს თანხის დაკისრებაზე. ამდენად, წინამდებარე სარჩელის ეს მოთხოვნა არ არის იგივე სასარჩელო მოთხოვნა, რაც ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 აგვისტოს გადანყვეტილებით დაკმაყოფილდა. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ მიიჩნია სასამართლომ, რომ გამყიდველს აღარ ჰქონდა დღგ-ს დაკისრების მოთხოვნის უფლება.

20. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მყიდველმა დაადასტურა თავისი მოთხოვნის საფუძველიანობა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით აღნიშნული არ დასტურდება. სააპე-

ლაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმად დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული დასაბეგრი პირის მიერ სხვა დასაბეგრი პირისათვის საქონლის მიწოდების ან მომსახურების განევის შემთხვევაში, გამოიწერება ანგარიშფაქტურა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ გამყიდველს უნდა გამოეწერა ანგარიშფაქტურა და არ გამოეწერა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 41-ე და 173-ე მუხლებიც. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განმარტა და დაადგინა, რომ მყიდველს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, თუ რას შეადგენს მისი ბრუნვა საანგარიშო პერიოდში და აღემატება თუ არა დღგ-ს ჩასათვლელი თანხა დღგ-ს დასარიცხს. სასამართლომ არც ის გაითვალისწინა, რომ ფიზიკური პირი – დირექტორი იყო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, რომლის მიმართაც არ უნდა გამოეწერილიყო ანგარიშფაქტურა და მან შეგნებულად დაუთმო მოთხოვნა კომპანიას, რათა ამ უკანასკნელს მოეთხოვა დღგ-ს ჩათვლა. ეს კი მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეები არაკეთილსინდისიერი ქმედებებით ცდილობენ, დააზარალონ გამყიდველი. ამით მათ სურთ, შეცდომა დააშვებინონ სასამართლოს, თითქოს, განიცადეს ზიანი ანგარიშფაქტურის გამოუწერლობით.

21. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მყიდველის საქმიანობის საგანს არ წარმოადგენს ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშებზე განთავსება და ამით სარგებლის მიღება. მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდა ტექნიკის შესყიდვაზე. შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის გამყიდველს არ შეიძლებოდა ევარაუდა, რომ მის მიერ ანგარიშფაქტურის გამოუწერლობის შემთხვევაში მყიდველი დღგ-ს თანხის საბანკო ანაბარზე განუთავსებლობით პროცენტს დაკარგავდა.

22. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 8.3 მუხლი. გამყიდველმა შეასრულა შეთანხმება და ცნო შემცირებული ნასყიდობის საფასური. აღიარა და ცნო მყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაანგარიშებული და საფასურზე დამატებული დღგ, რომლის გადახდის აუცილებლობა გამყიდველს დაუდგა და ეს თანხა გაქვითვის გზით მყიდველის წინაშე ჩათვალა. მყიდველმა კი, ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება, არც ნასყიდობის საფასური არ გადაიხადა ნებაყოფლობით და არც შეთანხმებული დღგ. უფრო მეტიც, მოითხოვა ვითომდა მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 14 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად კასატორისათვის მიუღებელი შემოსავლის – 4161.6 ლარის მონინააღმდე-

გე მხარის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი მიუღებელი შემოსავლის – 4161.6 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით, მოპასუხისათვის 4161.6 ლარის დაკისრების თაობაზე სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

25. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

26. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გამყიდველს დაეკისრა ზიანის – 17 917,95 ლარის გადახდა სსკ-ის 992-ე და 408.1 მუხლების საფუძველზე. აღნიშნულ ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 14 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული. სასამართლოს განსჯით, მოპასუხემ არ გამოხერხა ანგარიშფაქტურა, რის გამოც მოსარჩელემ დღგ-ის თანხის ჩათვლა/დაბრუნება ბიუჯეტიდან ვერ მოახერხა, რითაც მიადგა ზიანი – 17 917.95 ლარი. მყიდველი 4161.6 ლარის გამყიდველისათვის დაკისრებას სწორედ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ ზიანს უკავშირებს და ამტკიცებს, რომ ბიუჯეტიდან – 17 917.95 ლარის დაბრუნების შემთხვევაში ამ თანხის ანაბარზე განთავსებით საპროცენტო სარგებელს – 4161.6 ლარს მიიღებდა.

27. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების მოთხოვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით და მიუთითებს სსკ-ის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მი-

უღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში ასახული განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, იგულისხმება მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (lucrum cessans). მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელიც არ იარსებებდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირი გულისხმობს მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის იმ ლოგიკური ბმას, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს (იხ.: სუსგ №ას-459-438-2015, 07.10.2015წ.; №ას-754-2021, 02.12.2021წ.).

28. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია ფულისაგან, როგორც ბრუნვაუნარიანი ობიექტისგან, სარგებლის მიღების რეალური შესაძლებლობის თავისთავად არსებობა, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს მოსარჩელის მტკიცების ტვირთის არაგონივრულად შემცირებას, არამედ იგი პირდაპირპროპორციულად მნიშვნელოვანია მოსამართლის როლისათვის მიუღებელი შემოსავლის განმარტების, არსებობის დასაბუთებისა და ოდენობის განსაზღვრის პროცესში. მხოლოდ მხარეთა მტკიცების ტვირთის პირობებში გახდება შესაძლებელი, რომ მიუღებელი შემოსავალი არარეალურ და აბსტრაქტული შინაარსის მოთხოვნად არ იქცეს და მტკიცებულებები და გარემოებები კომპლექსურად შეფასდეს (მდრ. ჩიტაშვილი ნ. „საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკა-

ში“, თსუ, 2016, გვ. 154).

29. განსახილველ შემთხვევაში, შემოსავლის მიღების ალბათობას მოსარჩელე ასაბუთებდა დღგ-ს თანხის ანაბარზე განთავსების შესაძლებლობით. ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პირობებში, სწორედ კრედიტორის მტკიცების საგანია, რომ ამგვარი შემოსავლის მიღება მისი სამართლებრივი სტატუსის ან ჩვეულებრივი საქმიანობის საგნის გათვალისწინებით, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რაც ამგვარი ქმედების ნეგატიურ შედეგებს სავარაუდოდ აქცევდა მოვალისათვის სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად (იხ.: სუსგ. №ას-964-2018, 01.04.2020წ). ამ ფაქტების მითითების გარეშე, მიუღებელი შემოსავლის მხოლოდ თანხის დაყოვნების მოტივით მოვალისათვის დაკისრება დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. მოცემული დავა ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების არადროული შესრულების გამო გასესხებული თანხის მოცდენით (სარგებლის მიუღებლობა) კრედიტორის მიერ განცდილ ზიანს არ ეხება, მოსარჩელემ ამ ნაწილში ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, თანხის დეპოზიტზე განთავსების მტკიცებულების წარმოდგენით დაედასტურებინა შემოსავლის დაკარგვის რეალურობა. მოსარჩელის საქმიანობის სპეციფიკა და მიმართულება კი არ ქმნის სარჩელით მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის მიღების საფუძვლიან ვარაუდს (იხ.: სუსგ №ას-81-2020, 02.03.2020წ.; №ას-964-2018, 01.04.2020წ.; №ას-1178-1098-2017, 26.03.2019წ.; №ას-771-720-2017, 03.11.2017წ.; №ას-459-438-2015, 07.07.2015წ.).

30. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მიუღებელი შემოსავლის დაკისრების სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა.

31. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას მოპასუხისათვის

4161.6 ლარის დაკისრებაზე.

32. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადანყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 208.08 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 411-ე მუხლებით

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „გ-ოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ოქტომბრის გადანყვეტილება შპს „გ-ოსათვის“ 4161.6 ლარის დაკისრების ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი) და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. შპს „ლ-ას“ სარჩელი შპს „გ-ოსათვის“ 4161.6 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ლ-ას“ შპს „გ-ოს“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 208.08 ლარის ანაზღაურება;
5. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გათხრობის სამუშაოების წარმოებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1581-2022

22 მაისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „ს.ჯ.გ-ის“ სარჩელი შპს „კ.ს-ისა“ და შპს „ა.გ-ოს“ მიმართ სოლიდარულად ზიანის თანხის 91 905,60 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

4. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა

4.1. კასაციის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, ასევე, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც, მართალია, ჰქონდა კატეგორიული ხასიათი, თუმცა იყო დაუსაბუთებელი. გამართლებელია ექსპერტის, რ. გ-ის დასკვნის გაზიარების ფონზე, სხვა ორი ექსპერტის კატეგორიული დასკვნის უგულვებელყოფა. მოწმეების ჩვენებით არ დასტურდება კონკრეტულ ადგილზე კონკრეტულ დროს სხვა სახის ტექნიკის მუშაობის ფაქტი, ასევე სხვა სახის ზემოქმედების გარემოება

მესამე პირის მხრიდან, ამიტომ, ექსპერტიზის დასკვნის კატეგორიული ხასიათი არ უნდა იყოს მისი გაზიარების ერთადერთი საფუძველი, რაც სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა და მის კატეგორიულობას დააფუძნა გარემოებების კვლევა. კასატორისთვის გაუგებარია, 100 მმ. გაზის მილზე 3 სანტიმეტრიანი ნახვრეტის 9 მილიმეტრიანი ლითონის თავის მქონე საგნით გახვევის შესაძლებლობა.

4.2. სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა დ. გ-ის დასკვნა, რომელმაც დაზიანების მექანიზმი შესაბამისად აღწერა, ხოლო კატეგორიულობის მხრივ, მანვე, მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა, რომ „მილზე განვითარებული დაზიანების კონფიგურაციების გათვალისწინებით, ასეთი ციციხვის გამოყენებას უნდა გამოენჯია დაზიანება, რადგან კოვშის ეშვის სიგანე და მასზე არსებული სიხისტის ნიბოების რაოდენობა და კონფიგურაცია შესაბამისობაში მოდის პლასმასის მილზე არსებულ დაზიანებასთან“, ასევე, „მოცემულ შემთხვევაში, გამოსაკვლევად წარმოდგენილ ტრაქტორის კოვშს შესაძლებელია მიეყენებინა ის დაზიანებები აღნიშნულ პლასმასის მილზე, რასაც ფაქტობრივად აქვს ადგილი“. ექსპერტი ასევე მიუთითებს დაზიანების მეთოდზე, რომ „კოვშის უკიდურეს მარცხენა ეშვს შეეძლო ამ დაზიანების განვითარება, რადგან დაზიანების კვლები განვითარებულია 70 გრადუსიანი დახრილი კუთხით, ხოლო კოვშის ქვედა ნაწილი პლასმასის მილის მიმართ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სივრცეში დახრილ მდგომარეობაში იმყოფებოდა დაზიანების განვითარების მომენტში, ამავდროულად კოვშსა და პლასმასის მილს შორის კუთხე შეადგენდა 35-30 გრადუსს, აქედან გამომდინარე, მილის დეფორმაცია გამოიწვია მხოლოდ უკიდურესმა მარჯვენა ეშვმა“. აღნიშნული კვლევის ფონზე, კასატორისთვის გაუგებარია, დამატებით რა სახის მტკიცება უნდა ყოფილიყო წარდგენილი იმისთვის, რომ სასამართლოსთვის დამაჯერებელი ყოფილიყო ის. აღნიშნულის საპირისპიროდ, კასატორი მიუთითებს რ. გ-ძის დასკვნაში არსებულ დასაბუთებაზე, რომლის თანახმად, „მილზე ხვევის კვალი არის 05x30მმ ე.ი სამ სანტიმეტრამდე კოვშის კბილების ზომა არის 85მმ 70 მმ 75მმ75 მმ და 80 მმ. ლითონის რაიმე მყარი დეტალით ლომი ძალაყინი და სხვა, რომლის პირის მაქსიმალური სიფართოა 9 მმ.“. კასატორის მტკიცებით, ასეთი დასკვნით გამომდინარეობს, რომ დაზიანება უნდა ყოფილიყო მიყენებული ერთ სანტიმეტრამდე პირის მქონე ლითონის საგნით, რაც დაუსაბუთებელია, რადგან ძალიან მცირეა აღნიშნული ზომა იმისთვის, რომ 100 მილიმეტრის სისქის პლასტმასის პოლიეთილენის მილი დააზიანოს. ასევე, აღნიშნული დასკვნით გამომდინარეობს, რომ 30 მილიმეტრიანი დაზიანება უნდა გამოენჯია 9 მილიმეტრის სიფართის მქონე ლითონის საგანს, რაც დაუსაბუთებელია. ასევე, პროცესზე დაკითხვისას, ექსპერ-

ტმა დ. გ-მა კატეგორიულად განაცხადა საკუთარი პოზიციის სისწორე, შესაბამისად, სააპელაციო პალატა ვალდებული იყო მისი დასკვნა შეეფასებინა, როგორც კატეგორიული, რომელმაც დაადასტურა, რომ ზემოქმედების კვალის შეფასებით აშკარაა, დაზიანების გამომწვევი მიზეზი არის მასზე ერთგვაროვანი, ერთი და იგივე კონფიგურაციის მქონე საგანი, ე.ი. ექსკავატორის კოვში, რაც განხორციელა შპს „ა. გ-ოს“ კუთვნილმა ტექნიკამ, რადგან იმ პერიოდში იმ ადგილას სხვა ტექნიკას არ უმუშავია.

4.3. სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა ვ. ნ-ასა და გ. ა-ძის ჩვენებებიც, რომლებიც ადასტურებდნენ მიწის სამუშაოების ჩატარებას გაზსადენის დაცვის ზონაში. კასატორის მოსაზრებით, თავად მოპასუხეების უსაფუძვლობა მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაშიც გამომჩნდა, რადგან იმ სამუშაოების შესრულების სპეციფიკა, რაც მათ განხორციელეს, ვერ შესრულდებოდა კონკრეტული ტექნიკის გარეშე. კერძოდ, ჰიდრავლიკური ექსკავატორი სწორედ გამოიყენება მიწიდან ქვა-ლორღის ამოღების და არა მოსწორებითი სამუშაოების ჩატარებისთვის. აღნიშნული დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორის პროფესიული სტანდარტის სახელმძღვანელოს მე-7 გვერდის მე-3 პუნქტში მითითებული წესით, რომ ციცხვით, ანუ კოვშით ხდება მიწის გადათხრა, ხოლო მოსასწორებელი სამუშაოებისთვის გამოიყენება ავტოგრაიდერი. დამატებით, „მძიმე ტექნიკის გამოყენების საფუძვლების შესახებ“ სპეციალური სახელმძღვანელო განსხვავებს ტექნიკის სამუშაოთა სპეციფიკებს. საქმის გარემოებებით დასტურდება, რომ მოწმე გ. ა-ძე წააწყდა ელექტროგადამცემი კაბელს, შესაბამისად, კანონისმიერი პრეზუმფციის თანახმად, წარმოიშობა კანონისმიერი ვარაუდი იმისა, რომ ნაწარმოები სამუშაოები განხორციელდა მიწის სიღრმეში, შესაბამისად სახეზე იყო გათხრითი სამუშაოები, აღმოჩენილი კაბელი მიწის სიღრმეში 80 სმ-ის სიღრმეზე იყო გაყვანილი, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 17 დეკემბრის მთავრობის №340 დადგენილებით, რომლის 44-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზების განთავსებისას დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი ან 1,25 მეტრიანი სიღრმის სტანდარტი. ამ მიმართებითაც, მოპასუხე მხარის ვალდებულებას წარმოადგენდა კანონისმიერი ვარაუდის საპირისპირო მტკიცების ტვირთის დაძლევა, რაც განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე მხარემ ვერ შეძლო. ამასთან, მოწმე გ. ა-ძის განმარტების თანახმად, მან მიწიდან არა თუ კენჭები, არამედ ლოდები ამოიღო, ასევე, აღნიშნულმა მოწმემ განმარტა, რომ მის ტექნიკას არ ჰქონდა სპეცია-

ლური დანა (მოსწორების სამუშაოების განხორციელების ხელსაწყო) და სამუშაოებს ასრულებდა მხოლოდ კოვშით, მაშინ, როდესაც მოსწორებითი სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ გრეიდერის დანით, თავის მხრივ, კოვშით მოსწორებითი სამუშაოების განხორციელება დაუშვებელია და წარმოადგენს კანონდარღვევას.

4.4. კასატორის მითითებით, მონმე გ. ა-ძის ჩვენებიდან ირკვევა, რომ სამუშაოების შესრულებისას ნაანყდა შპს „ე.პ.ჯ-ას“ გადაცემ ხაზს, რომელიც გადის იმავე ტერიტორიაზე, სადაც განთავსებულია გაზსადენი მილი. აღნიშნული მონმე, ერთ შემთხვევაში, აცხადებს, რომ გაზსადენის დაზიანების ფაქტი მისთვის უცნობია, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ამბობს, რომ მას არ დაუზიანებია, აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მონმე გაზსადენის დაზიანების შესაძლებლობას უშვებს. ასევე, დადგენილია, რომ გაზსადენი მილი შენობასთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე კაბელი, ხოლო აღნიშნული მონმე აცხადებს, მან კაბელი აღმოაჩინა, შესაბამისად, ცალსახაა, ის აუცილებლად ნახავდა ასევე გაზსადენ მილსაც. აღნიშნული დასკვნის საფუძველია ისიც, რომ შპს „კ. ს-ის“ მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია კაბელსა და მილს შორის არსებული როგორც მანძილი, ასევე ურთიერთმიმართება და განლაგება. ასევე, საქმეში არსებული ორთოფოტოთი დასტურდება, რომ ხაზოვანი ნაგებობები განლაგებულია პარალელურად, გ. ა-ძის ჩვენებიდან გამომდინარე, ის იდგა ზღვის მხარეს და გადაადგილდებოდა წინ და უკან, ასევე კოვშით იღებდა ქვიშას, შესაბამისად, მოძრაობის ტრაექტორიის გათვალისწინებით, ის მოქმედებდა გაზსადენის დაცვის ზონაში. დამატებით, ვ. ნ-ა ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ სამუშაოს განხორციელებისას შპს „ა. გ-ოს“ ტრაქტორით დაზიანდა გაზსადენი, შესაბამისად, დასტურდება მოპასუხის მიერ მილის დაზიანების ფაქტი. ასევე, დაუსაბუთებელია სასამართლოს მიერ გაზიარებული მოპასუხის მტკიცება, რომ სამუშაოები წარმოებდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების ფარგლებში 3 მეტრის რადიუსით, თუმცა, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ ელექტროხაზი შენობიდან 20 მეტრზეა დაშორებული, ხოლო გაზსადენი – 4 მეტრზე, შესაბამისად, ცალსახაა, რომ გათხრები წარმოებდა გაზსადენის დაცვის ზონაში.

4.5. სააკველაციო პალატამ მიიჩნია, რომ თითქოს მონმე გ. ა-ძის განმარტების საფუძველზე დადგენილია, 2013 წლის 15 მარტს ტრაქტორით მოსწორებით სამუშაოებს აწარმოებდა შპს „კ. ს-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმროს მხარეს ბათუმის მიმართულებით და არა ზღვის მხარეს, არ გადასულა ზღვის ზოლზე და არ უწარმოებია გათხრითი სამუშაოები, მხოლოდ იღებდა იქვე დაყრილ ქვა-ღორღს და ტვირთავდა მანქანაზე. კასატორი აღნიშნულს არ ეთანხმება, რადგან

გ. ა-ძის ჩვენება ეწინააღმდეგება სხვა მოწმის, ვ. ნ-ას ჩვენებას, რომელიც ადასტურებს, რომ გ. ა-ძე გასცდა სამოქმედო ტერიტორიას და გადავიდა იმ ტერიტორიაზე, სადაც იყო გაზის მილი. ამის გარდა, თავად გ. ა-ძეც უთითებს, რომ „მისი სამუშაო ორი ნაწილისგან შედგებოდა და სამუშაოს მეორე ნაწილის შესრულებისას იგი გასცდა შენობის გარე პერიმეტრს და გადაადგილდებოდა ზღვის მხარეს, სადაც კოვშით იღებდა ქვა-ლორლს და დაყრილ ზღვის ქვიშას ტვირთავდა მანქანაზე ...; ... ტრაქტორით იდგა ზღვის მხარეს, ხოლო ტრაქტორის კოვში ჰქონდა და მუშაობდა შენობის მხარეს, ტრაქტორით უკუსვლით გადაადგილდებოდა ზღვის მხარეს, ასევე კოვშით იღებდა მოსასწორებელ ადგილზე ქვა-ლორლს და უცნობია მისთვის მილის დაზიანების ფაქტი, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ აღნიშნული ჩვენება საწინააღმდეგოდ განმარტა და დაადგინა არასწორი ფაქტობრივი გარემოება, რადგან აღნიშნული ჩვენებებით დასტურდება კოვშით გათხრითი სამუშაოების განხორციელების ფაქტი, სასამართლო კი საპირისპიროს ადგენს, რასაც აფუძნებს მხოლოდ ახსნა-განმარტებას.

4.6. კასატორის მტკიცებით, მოწმე გ. ა-ძის ჩვენება, რომ ის წააწყდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ კაბელს, წარმოშობს კანონისმიერ პრეზუმფციას, ვარაუდს, რომ მინის სამუშაოები წარმოებდა სიღრმეში, რაც გათხრითი სამუშაებია, რადგან, როგორც აღინიშნა, ასეთი სახის კაბელების განთავსება მინის სიღრმეში ხდება 80 სანტიმეტრით, აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცების ტვირთი კი ვერ დაძლია მოპასუხე მხარემ, დამატებით, მოპასუხის მიერ წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნაში მითითებულია, რომ როგორც კაბელი, ასევე გაზის მილი განთავსებულია ერთ სიღრმეში, შესაბამისად, სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ „ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ელექტრო კაბელი არ არის იმ სიღრმეზე გაყვანილი, როგორც გაზის მილი“ წარმოადგენს დაუსაბუთებელ მსჯელობას.

4.7. სასამართლოს მსჯელობა, რომ კაბელი შენობიდან 4-5 მეტრში აღმოაჩინეს, დაუდასტურებელია, რადგან ფაქტების კონსტატაციის ოქმით დასტურდება, შენობის გარშემო არანაირი კაბელი არსებობს, რადგან აღნიშნული კონსტატაციის ოქმით დადგინა, როგორც შენობის ირგვლივ, ასევე მის მიმდებარედ არ გადის სს „ე.პ.ჯ-ას“ ელექტროკაბელი. სასამართლომ უგულვებლყო შპს „კ. ს-ის“ მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდება, მინის სამუშაოები მიმდინარეობდა გაზსადენის დაცვის ზონაში, ანუ 15 მეტრში, ასევე, დასტურდება, რომ გაზსადენი უფრო ახლოსაა ზღვასთან, ვიდრე დენის კაბელი, ხოლო გ. ა-ძე მოძრაობდა ზღვის მხარეს, რაც გულისხმობს იმას, რომ მან მოიცვა გაზსადენის განთავსების ტერიტორიაც, შესაბამისად, სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ხორციელდებოდა მოს-

ნორებითი და არა გათხრითი სამუშაოები, დაუსაბუთებელია. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები ეწინააღმდეგება როგორც მოწმე გ. ა-ძის მიერ მიცემულ ჩვენებას (რომ ის იდგა ზღვის მხარეს, ტრაქტორის კოვში ჰქონდა შენობის მხარეს და გადაადგილდებოდა ზღვის მხარეს უკუსვლით, იღებდა ქვალორლს), ასევე ფაქტის კონსტატაციის ოქმს, ვ. წ-ას ჩვენებას, ორთოფოტოს, საქმეში არსებულ ფოტომასალას და ექსპერტიზის დასკვნებს (№004170319; №001556620).

4.8. სასამართლომ დ. გ-ის ჩვენება არ მიიჩნია კატეგორიულად, რითაც არასწორად შეაფასა ის, რადგან პროცესზე მისი დაკითხვისას, კატეგორიულად დაადასტურა მისი საქსპერტო დასკვნის შედეგი და აღნიშნა, რომ თუ დადგინდებოდა, რომ იმ პერიოდში იმ ადგილას მხოლოდ შპს „ა. გ-ოს“ საკუთრებაში არსებული ექსკავატორი მუშაობდა, მაშინ კატეგორიულად იქნებოდა შესაძლებელი იმის თქმა, რომ დაზიანება სწორედ აღნიშნული ექსკავატორის კოვშით მოხდა. ექსპერტის ვარაუდი მხოლოდ იმით იყო გამონვეული, რომ დადასტურებულად არ იყო დადგენილი იმ დროს იმ ადგილას მხოლოდ ერთი ექსკავატორის მუშაობის ფაქტი. მოწმე ვ. წ-ას ჩვენებით დასტურდება, რომ იმ დროს, იმ ადგილას სხვა ექსკავატორი არ მუშაობდა, აღნიშნულზე შედავება არ წარუდგენია არც ერთ მხარეს. ასევე, სასამართლომ არასწორად შეაფასა ექსპერტის, დ. რ-ძის დასკვნა, სადაც კატეგორიულადაა მითითებული ექსკავატორით გაზსადენის დაზიანების არსებობის ფაქტი. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ დაუსაბუთებლად გაიზიარა ექსპერტ რ. გ-ის დასკვნა, რომლის თანახმად, ექსკავატორით გაზსადენის დაზიანების ფაქტი შეუძლებლად მიიჩნია, თუმცა პროცესზე დაკითხვისას დასაშვებად მიიჩნია სხვა მხრიდან ციციხვის ზემოქმედებით მილის დაზიანების შესაძლებლობა.

4.9. სასამართლოს უნდა დაედგინა ტექნიკური რეგლამენტისა და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევის ფაქტები. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ თითქოს შპს „კ. ს-ს“ უფლება ჰქონდა მშენებლობის პროცესში დაგროვებული სამშენებლო ნარჩენები გაეტანა და ამისთვის ცალკე ნებართვა არ მიეღო. კანონმდებლობით დადგენილია, რომ სამშენებლო ნარჩენების გადასწორება არ ხდება, რადგან ის უნდა იქნეს სამშენებლო ნაგავსაყრელზე გაზიდული. მოპასუხე ვალდებული იყო მიემართა გაზის კომპანიისთვის მოსწორებითი სამუშაოების წარმოებისთვის, რაც არ განხორციელებულა. ექსპერტიზის დასკვნით (№005170319) დადგინდა, რომ გაზსადენის დაცვის ზონაში სამუშაოების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ და მხოლოდ წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ, რის შესახებაც უნდა აცნობოს გაზის მიმწოდებელ სანარმოს, რაც არ განხორციე-

ლებულა და რითაც დაირღვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლი.

4. 10. საქმეში არსებული ორთოფოტოთი დასტურდება, რომ შპს „კ.ს-ის“ მიწის ნაკვეთის წითელი ხაზები ემთხვევა შენობის ხაზებს, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი მოქმედება ექსკავატორის მიერ განხორციელებული იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რისთვისაც აუცილებელი იყო შესაბამისი ნებართვა არა მხოლოდ საწარმოდან არამედ მერიის სამსახურიდან და ამ წესების დაუცველობა იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც დადასტურებულია მერიის შესაბამისი წერილით. იმის გათვალისწინებით, რომ დაზიანება მოხდა 2013 წლის მარტში ხოლო მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2013 წლის 24 ივნისს, სასამართლოს მიერ ამ ბრძანების მითითება მოპასუხეთა პოზიციის დასაცავად არარელევანტურია.

5. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 10 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2024 წლის 24 აპრილის განჩინებით, დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

6. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

7. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

8. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს იძლევა გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ

საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები).

9. სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგნის განსაზღვრის დროს უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა მიერ სარჩელისა და შესაგებლის დასაბუთებისათვის მითითებული ფაქტებით, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც კანონის თანახმად არ აქვს მნიშვნელობა ამ მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის სამართლებრივი დასაბუთებისათვის, ე.ი. თუ ეს ფაქტები იურიდიულად ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნას (შესაგებელს) – სასამართლომ არ უნდა შეიტანოს ეს ფაქტები მტკიცების საგანში და არ უნდა მიიღოს მტკიცებულებები მათ დასადასტურებლად.

10. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად დასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა

მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

11. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადანყვეტილების მიღება.

12. სსკ-ის 992-ე მუხლი ითვალისწინებს დელიქტურ პასუხისმგებლობას. დელიქტური პასუხისმგებლობის არსი ისაა, რომ იგი არასახელშეკრულებო ზიანის საფუძველზე წარმოიშობა, განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და დაზარალებულს (კრედიტორს) ვალდებული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამ მუხლის გამოყენების წინაპირობებია შემდეგია: ზიანი; ქმედების მართლწინააღმდეგობა; მიზეზობრივი კავშირი და ბრალი (ე.წ. „გენერალური დელიქტი“). პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (სუსგ №ას-769-737-2016; 20.06.2018წ.; სუსგ №ას-176-163-2015, 04.10.2016; სუსგ №ას-1426-2018, 11.04.2019).

13. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

14. მოცემული საქმის მთავარი სამართლებრივი პრობლემა გამომდინარეობს დელიქტური სამართლიდან, შესაბამისად, იმისთვის, რომ სარჩელი დაკმაყოფილდეს, აუცილებელია დადგინდეს დელიქტური სამართლით გათვალისწინებული ყველა კუმულაციური ნიშნის არსებობა. სწორედ აღნიშნული ნიშნების (ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი) არსებობის დადგენა წარმოადგენს მხარეთა შორის შედავებას, რომელთა დადასტურებაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სა-

კასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და უთითებს შემდეგს:

15. საქმეში წარმოდგენილია ინდ. მენარმე, დამოუკიდებელი ექსპერტი „დ. რ-ძის“ 2013 წლის 29 აგვისტოს დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ შპს „ს.ჯ.გ-ი აჭარის“ კუთვნილ გაზსადენზე, კერძოდ შპს „კ. ს-ის“ კუთვნილი ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მილსადენზე მიყენებული დაზიანება გამოწვეულია 2013 წლის 15 მარტს შპს „კ. ს-ის“ დავალებით და მის სასარგებლოდ შპს „ა. გ-ოს“ კუთვნილი ექსკავატორის მიერ ეზოს გათხრითი და მოსწორებითი სამუშაოების წარმოებისას. დასკვნის თანახმად, შეუძლებელია უშუალოდ იმის დადგენა, კონკრეტულად იქ მომუშავე ტრაქტორმა დააზიანა თუ არა მილი, რადგან ტრაქტორის კოვში წარმოადგენს მეტალს, რომელსაც ვერ დაეცემა ვერანაირი კვალი პოლიეთილენის პლასტმასას დაზიანების შემთხვევაში, თუმცა, რადგან იმ დროსა და ადგილას სხვა სპეციალური ტექნიკა არ მუშაობდა და მუშაობდა მხოლოდ აღნიშნული ტრაქტორი, შესაძლებელია ითქვას, რომ სწორედ ამ უკანასკნელით დაზიანდა მილი, გაზსადენის დაზიანებამ კი შპს „ს.ჯ.გ-ი აჭარას“ გაზის დანაკარგს გამო მიაყენა ზარალი 91 905.6 ლარის დენობით.

16. საქმეში წარმოდგენილია შსს საქსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის 2013 წლის 29 აპრილის ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ მილს აღენიშნება დაზიანება დეფორმაციის, ჭყლეტისა და ხევის სახით, წარმოქმნილი ფიზიკური ძალის ზემოქმედების შედეგად, რომელიც მიყენებულია ლითონის რაიმე მყარი დეტალით, როგორც შესაძლებელია იყოს ლომი, ძალაყინი და სხვა, რომლის პირის მაქსიმალური სიფართოეა 9 მმ. და აღნიშნული დაზიანება არ არის მიყენებული ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ტრაქტორით. ერთმანეთს შედარდა კოვშის კბილანების ზომები და მილზე არსებული დაზიანება, რაც არ ემთხვევა ერთმანეთს.

17. საქმეში წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 6 ივნისის დასკვნა, სადაც ექსპერტი, დ. გ-ი უთითებს, რომ ექსკავატორის კოვშით დაზიანების მიყენების ფაქტის დადგენა შეუძლებელია. ასევე, არ ფიქსირდება კოვშის მოხსნა-დაყენებისთვის ბოლო დროის რაიმე ნაკვალევი. ექსპერტიზა ასკვნის რომ ზოგადი გაგებით შესაძლებელია ასეთი სახის ზიანის დადგომა ტრაქტორის კოვშით.

18. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 19 ივნისის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, რომელსაც დაესვა კითხვები, შესაძლებელი არის თუ არა, შემთხვევის ადგილზე დენის კაბელის და გაზის მილის დაზიანება ტრაქტორით (0,5 კუბი ამწეობის სატვირთოს limher A900B-ს მოდელის სახ.

NL-...) მოსწორებითი სამუშაოების ჩატარებისას თუ გავითვალისწინებთ, რომ გაზის მილი უნდა იყოს მოთავსებული 80 სმ სიღრმეზე მიწაში, დადგინდა: მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩატარებული კვლევების შედეგად და წარმოდგენილი მასალების, ექსკავატორის ტექნიკური მახასიათებლების და გაზის მილის მაგისტრალზე არსებული დაზიანებული უბნის ლოკაციის გათვალისწინებით, შპს „კ.ს-ის“ შენობის უკანა მხარეს (უშუალოდ ბარის წინ) არსებული ადგილის მოსწორებით სამუშაოების წარმოების პროცესში, ბორბლებიანი ექსკავატორი „LIEBHERRA900B“ ტექნიკური თვალსაზრისით ვერ გამოიწვევდა გაზის მაგისტრალის მილის დაზიანებას არსებული სახით (ექსპერტი ბ. ჩ.).

19. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 17 ივნისის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, მიწაში ერთი მეტრის სიღრმეში ჩასვლა ითვლება გათხრით სამუშაოდ, პოლიეთილენის მილზე ექსკავატორის ტექნიკურად გამართული ჩამჩის დაზიანება ვერ მოხდება ზემოქმედების შემთხვევაში, ისეთი რომ საჭირო გახდეს კოვშის გამოცვლა. ელექტროკაბელის (20 კვ. მდე) მიწაში ჩადების სიღრმე უნდა იყოს არანაკლებ 0.7 მ, 35 კვ.მე ძაბვის – მინიმუმ 1. ხოლო ქუჩებსა და მოედნების გადაკვეთაზე აუცილებლად მინიმუმ 1მ. დაუსახლებელ პუნქტებში კაბელის ჩადების მინიმალური სიღრმე I-IV ჯგუფის გრუნტებში მიღებულია 0,8 მ., ხოლო დასახლებულ პუნქტში 0.7 მ. მიწაში გაზსადენის ჩადების სიღრმე არანაკლებ უნდა იყოს 0.8 მ., ასევე, თუ არ გაითვალისწინება სატრანსპორტო მოძრაობა, შესაძლებელია იყოს 0.7 მეტრი.

20. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 5 მარტის დასკვნის თანახმად, გაზის მილიდან შენობის კუთხემდე მანძილი 18 მეტრამდეა, ელექტროკაბელიდან შენობის კუთხემდე – 20,5 მეტრამდე, ხოლო მილებს შორის მანძილი – 4.2 მეტრი.

21. დაკითხულ მონმეთა/ექსპერტთა ჩვენებები:

21.1. დაკითხული გ. ა-ძის განმარტებით, 2013 წლის 15 მარტს ტრაქტორით (limher A900B-ს მოდელის სახ. №...) მას განესაზღვრა ორი სახის დავალება: ერთი მოსწორებითი სამუშაოები, ხოლო მეორე – მიწის ამოღება. ის აღნიშნავს, რომ გასცდა შენობის გარე პერიმეტრს და ზღვის მხარეს იღებდა ტრაქტორის კოვშით დაყრილ ზღვის ქვიშას და ტვირთავდა მანქანაზე, ასევე კოვშით იღებდა ქვა-ლორღს. კოვში მომართული ჰქონდა შენობის მხარეს, ამავდროულად მიწიდან ამოიღო ქვის დიდი ლოდები. დაკითხვის ოქმში, ერთ შემთხვევაში ამბობს, რომ არ იცის დააზიანა თუ არა მილი, ხოლო ბოლოს აცხადებს, რომ მილი მას არ დაუზიანებია. მანვე განმარტა, რომ დავალებული ჰქონდა, როგორც მიწის ამოღებითი, ისე მოსწორებითი სამუშაოების ჩატარება. ტრაქტო-

რით მუშაობისას გასცდა შენობის გარე პერიმეტრს და ზღვის მხარეს მდგომი, კოვშით შენობის მხარეს იღებდა ქვიშას. მან ასევე განმარტა, რომ სამუშაოს შესრულებისას რკინის ბოძები სოფელი გ-ს მხრიდან ჩამოსხმული არ იყო, შემთხვევის ადგილის გაგრძელებაზე იყო რკინის კონსტრუქციით აშენებული შენობა. საქმიანობის პერიოდში მიწაში შეამჩნია ელექტროკაბელი, რის შემდეგაც შეწყვიტა მუშაობა.

21.2. დაკითხული ვ. ნ-ას განმარტებით, ის დასაქმებული იყო შპს „კ. ს-ში“ სამუშაოთა მწარმოებლად, ადასტურებს, რომ მან დაიქირავა შპს „ა. გ-ოს“ ტრაქტორი, ასევე უთითებს, რომ სამუშაოს შესრულება და მილის დაზიანება როგორც დროში, ასევე ადგილმდებარეობრივად ემთხვევა ერთმანეთს, რის საფუძველზეც ჩათვალა, რომ მილის დაზიანება სწორედ აღნიშნულმა ტრაქტორმა გამოიწვია, რადგან იმ დღეს, იმ ადგილას სხვა ტრაქტორს არ უმუშავია.

21.3. დაკითხული ექსპერტი, რ. გ-ძე დაეთანხმა მის მიერ გაცემულ დასკვნას და დამატებით განმარტა, რომ ტრაქტორის კოვშის კბილანასა და მილზე დაზიანებული ადგილის ზომების გათვალისწინებით, შეუძლებელია ითქვას, რომ დაზიანება კოვშის კბილანებმა გამოიწვია, რადგან ეს უკანასკნელი დიდია ვიდრე დაზიანებული ადგილი.

21.4. დაკითხული ექსპერტის, დ. გ-ის მითითებით, მართალია, ის ვერ დაადგენს კონკრეტულმა ტრაქტორმა გამოიწვია თუ არა მილის დაზიანება, თუმცა შესაძლებლად დაუშვა კოვშის კბილანით მილის დაზიანება, რადგან კოვშს აქვს საშუალება სხვადასხვა კუთხით მოძრაობდეს. მისი ვარაუდი გამოთქმულია იმ მიზეზით, რომ არ იცის მხოლოდ კონკრეტულად დავაში არსებული ტრაქტორი მუშაობდა თუ არა იმ ადგილას, თუმცა, კოვშის მიერ მილის დაზიანების ტექნიკური შესაძლებლობა დაადასტურა.

21.5. დაკითხულმა მოწმემ, დ. ლ-მ აღნიშნა, რომ მილს ეტყობოდა როგორც ნახვრეტი, ასევე კოვშის მოდების დამატებითი ორი კვალიც.

22. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო პალატის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის, ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, მტკიცების ტვირთის გადაკისრებაზე და აღნიშნავს შემდეგს: გასაჩივრებული განჩინების 4.8. პუნქტში მითითებულია, რომ გაზიარებულია შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის 2013 წლის 29 აპრილის ტრასოლოგიური ექსპერტიზის (ექსპერტიზ. გ-ე) დასკვნა, ასევე მოწმე გ. ა-ძის ჩვენება, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წელს 15 მარტს, შპს „კ. ს-ის“ დავალებით და მის სასარგებლოდ შპს „A.G“ კუთვნილი ექსკავატორის მიერ არ განხორციელებულა გათხრითი სამუშაოები, არამედ განხორციელდა მოსწორებითი სამუშაოები, ხოლო მათი წარმოებისას შპს „ს.ჯ.გ-ის“ საკუთრებაში არსებული გაზსადენი მილი არ დაუზიანებია. ასევე, სასამარ-

თლომ არ გაიზიარა მონმე დ. გ-ის დასკვნა, რადგან დაშვება ტრაქტორის კოვშის კბილანით მილის დაზიანების შესაძლებლობის შესახებ წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ ვარაუდს და არა მტკიცებას. ამდენად, სააპელაციო პალატამ სამართლებრივი შედეგი დააფუძნა ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული გარემოებების კვლევა არასაკმარისია იმისთვის, რომ დადგინდეს ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უარყოფს სასარჩელო მოთხოვნის წარმატებულობას.

23. საკასაციო პალატა მიუთითებს გ. ა-ძის ჩვენებაზე, რაზეც, მათ შორის, დაფუძნდა სააპელაციო პალატის შედეგი და ხაზს უსვამს, აღნიშნული ჩვენებით მონმე პირდაპირ მიუთითებს, რომ მას ჰქონდა ორი სახის საქმიანობა დავალებული, რაც მოიცავდა მოსწორებით სამუშაოებსაც და მიწის ამოღებასაც. ის აღნიშნავს, რომ გასცდა შენობის გარე პერიმეტრს ზღვის მხარეს, სადაც იღებდა ტრაქტორის კოვშით დაყრილ ზღვის ქვიშას და ტვირთავდა მანქანაზე, ასევე კოვშით იღებდა ქვა-ლორღს. კოვში მომართული ჰქონდა შენობის მხარეს, ამავდროულად მიწიდან ამოიღო ქვის დიდი ლოდები. დაკითხვის ოქმში, ერთ შემთხვევაში ამბობს, რომ არ იცის დააზიანა თუ არა მილი, ხოლო ბოლოს აცხადებს, რომ მილი მას არ დაუზიანებია. ამ გაგებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ ასახავს იმ რეალობას, რაც საფუძველი გახდებოდა ფაქტობრივი გარემოებების ისე დადგენისთვის, რომ თითქოს მონმე მხოლოდ მოსწორებით სამუშაოებს ახორციელებდა, მით უფრო, როდესაც თავად აღირებს ამოთხრითი სამუშაოების არსებობასაც, აქედან გამომდინარე, ამ ნაწილში სააპელაციო პალატის ფაქტობრივი გარემოებების კვლევა შეუსაბამოა, რადგან პალატამ სწორედ აღნიშნული მტკიცებულების საფუძველზე მიიჩნია, რომ მხოლოდ მოსწორებით სამუშაოებს ჰქონდა ადგილი.

24. სააპელაციო პალატა, მართალია, ზემოაღნიშნულ მონმის ჩვენებასთან ერთად, კუმულაციურად იყენებს შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის 2013 წლის 29 აპრილის ტრასოლოგიური ექსპერტიზის (ექსპერტი რ. გ-ე) დასკვნას, რათა შესაბამისი სამართლებრივი შედეგი დადგეს, თუმცა საქმეში არ ჩანს თუ რატომ არ ხდება სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების შეპირისპირება, რის ფონზეც შესაძლებელია სავარაუდოდ განსხვავებული სამართლებრივი შედეგის მიღება. სააპელაციო პალატა არ იზიარებს ექსპერტ დ. გ-ის დასკვნას, რომელშიც, მართალია, მითითებულია, რომ დადგენა შეუძლებელია, კონკრეტულად აღნიშნული ტრაქტორის კოვშემა დააზიანა თუ არა მილი, რადგან კოვშის კბილანას რაიმე სახის კერძო ნიშანი არ გააჩნია, თუმცა ტექნიკურად, პლასტმასის მილის ასეთი სახის დაზიანება კოვ-

შის კბილანით შესაძლებელია. მართალია, უშუალოდ აღნიშნული ტრაქტორით დაზიანების ფაქტი ვერ იქნა დადგენილი, თუმცა თუკი დასაბუთდება, რომ იმ ადგილას იმ დროს მხოლოდ ერთი ტრაქტორი მუშაობდა, შესაძლებელია იმის თქმა, რომ მილის დაზიანება სწორედ აღნიშნული ტრაქტორის კოვშით მოხდა.

25. საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 19 ივნისის ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის თანახმად, შპს „კ. ს-ის“ შენობის უკანა მხარეს (უშუალოდ ბარის წინ) არსებული ადგილის მოსწორებით სამუშაოების წარმოების პროცესში, ბორბლებიანი ექსკავატორი „LIEBHERRA900B“ ტექნიკური თვალსაზრისით ვერ გამოიწვევდა გაზის მაგისტრალის მილის დაზიანებას არსებული სახით (ექსპერტი ბ. ჩ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული დასკვნა მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე ვრცელდება, როდესაც მოსწორებით სამუშაოების განხორციელება სახეზე. დასკვნაში პირდაპირაა მითითებული, რომ მოსწორებითი სამუშაოების განხორციელებისას შეუძლებელი იქნებოდა მილის დაზიანება, თუმცა არაფერია ნათქვამი ამოთხრითი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში იქნებოდა თუ არა იგივე შედეგი სახეზე. აღნიშნულის საპირწონედ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 6 ივნისის დასკვნის თანახმად, ზოგადი გაგებით, სავსებით შესაძლებელი იყო მსგავსი დაზიანება გამოენვია ტრაქტორის კოვშის კბილანას ამოთხრითი საქმიანობისას.

26. დამატებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოწმე ვ. ნ-ას მითითებით, ის დასაქმებული იყო შპს „ს. კ-ში“ სამუშაოთა მწარმოებლად, ადასტურებს, რომ მან დაიქირავა შპს „ა. გ-ოს“ ტრაქტორი, ასევე უთითებს, რომ სამუშაოს შესრულება და მილის დაზიანება როგორც დროში, ასევე ადგილმდებარეობრივად ემთხვევა ერთმანეთს, რის საფუძველზეც ჩათვალა, რომ მილის დაზიანება სწორედ აღნიშნულმა ტრაქტორმა გამოიწვია, რადგან იმ დღეს, იმ ადგილას სხვა ტრაქტორს არ უმუშავია. მოწმის მტკიცებით, მილის გახეთქვა ზუსტად იმ ადგილას მოხდა, სადაც ტრაქტორი ახორციელებდა სამუშაოებს. სწორედ ამიტომ აღმოაჩინეს ელექტროკაბელიც, რადგან ის გაზის მილიდან 4.2 მეტრშია დაშორებული. იგივე მტკიცდება ინდ. მენარმე, დამოუკიდებელი ექსპერტი „დ. რ-ძის“ 2013 წლის 29 აგვისტოს დასკვნით, სადაც მითითებულია, რომ შპს „ს. ჯ. გ. ა-ის“ კუთვნილ გაზსადენზე, კერძოდ შპს „კ. ს-ის“ კუთვნილი ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მილსადენზე მიყენებული დაზიანება გამოწვეულია 2013 წლის 15 მარტს შპს „კ. ს-ის“ დავალებით და მის სასარგებლოდ შპს „ა. გ-ოს“ კუთვნილი ექსკავატორის მიერ ეზოს გათხრითი და მოსწორებითი სამუშაოების წარ-

მოებისას. დასკვნის თანახმად, შეუძლებელია უშუალოდ იმის დადგენა, კონკრეტულად იქ მომუშავე ტრაქტორმა დააზიანა თუ არა მილი, რადგან ტრაქტორის კოვში წარმოადგენს მეტალს, რომელსაც ვერ დაეტყობა ვერანაირი კვალი პოლიეთილენის პლასტმასას დაზიანების შემთხვევაში, თუმცა, რადგან იმ დროსა და ადგილას სხვა სპეციალური ტექნიკა არ მუშაობდა და მუშაობდა მხოლოდ აღნიშნული ტრაქტორი, შესაძლებელია ითქვას, რომ სწორედ ამ უკანასკნელით დაზიანდა მილი.

27. საკასაციო პალატა მიუთითებს დ. გ-აზე, რომ, მართალია, ვერ დგინდება კონკრეტულმა ტრაქტორმა დააზიანა მილი თუ არა, მაგრამ, ზოგადად, ტექნიკურად სავსებით შესაძლებელი იყო კოვშის კბილანით ასეთი სახის დაზიანების მიყენება, ასევე, სახეზეა მოწმეების ჩვენებები, რომელთა თანახმად აღნიშნულ ტერიტორიაზე მხოლოდ შპს „ა. გ-ოს“ ტრაქტორი მუშაობდა და შესაძლებელი იყო მისი ტრაქტორის კოვშით მომხდარიყო დაზიანება, ასევე სახეზეა „დ. რ-ძის“ 2013 წლის 29 აგვისტოს დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ რადგან კოვშის კბილანა მეტალის მატერიაა, ხოლო მილი პოლიეთილენის პლასტმასა, კბილანაზე რაიმე სახის დაზიანების დადგენა შეუძლებელია, რადგან პოლიეთილენი იმდენად რბილია, რომ არ ტოვებს მეტალზე ზემოქმედების კვალს, თუმცა, რადგან იმ დროსა და ვითარებაში იმ ადგილას შპს „ა. გ-ოს“ გარდა არ მუშაობდა რომელიმე სხვა ტექნიკა, შესაძლებელია ითქვას რომ ზიანი მისგან იქნა გამოწვეული. აქედან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულებები საჭიროებს დამატებით კვლევას იმ ფონზე, როდესაც სააპელაციო პალატა თავის გადამწყვეტილებას მხოლოდ რ. გ-ისა და გ. ა-ძის დასკვნასა და ჩვენებას აფუძნებს, აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, აღნიშნულ მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევითა და ურთიერთშეპირისპირებით განსხვავებული სამართლებრივი შედეგი იქნეს მიღებული.

28. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოპასუხე მხარე საქმიანობის დროს არ გასცილებია დასაშვებ მანძილს – სამ მეტრს, თუმცა, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ელექტროგადამცემი ხაზი აღმოაჩინეს შენობიდან 20 მეტრის დაშორებით, გასზადენიდან 4 მეტრზე, მინის სიღრმეში, აქედან გამომდინარე, დასადგენია გათხრები წარმოებდა თუ არა დასაშვები საზღვრების გარეთ.

29. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის იმ დასაბუთებას, რომელიც წარმოშობს კანონისმიერ ვარაუდს. კერძოდ, „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 17 დეკემბრის მთავრობის №340 დადგენილების 44-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ელექტროგადამცემი ხა-

ზების განთავსება ხდება მიწის სიღრმეზე 1 მეტრით, ხოლო ქვიშნარში 1.25 მეტრით. ამ შემთხვევაში, რადგან მოპასუხის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ელექტროკაბელი, ნამდვილად წარმოიშობა იმის ვარაუდი, რომ ასეთ სიღრმეზე მათ მიერ განხორციელდა გათხრითი სამუშაოები, შესაბამისად, მოპასუხის მტკიცების ტვირთი ხდება სანინალმდეგოს დადასტურების ვალდებულება. აღნიშნულ გარემოებას ისიც ამყარებს, რომ იქ მომუშავე ტექნიკას ჰქონდა მხოლოდ კოვში – ამოთხრისთვის აუცილებელი ხელსაწყო და არა დანა, რომელიც მხოლოდ მიწის მოსწორებითი სამუშაოების საქმიანობისას გამოიყენება, რაც ნიშნავს იმას, რომ მოპასუხე მხარე ვერ განახორციელებდა მოსწორებით სამუშაოებს მარტოოდენ კოვშის გამოყენებით და პირიქით, ვერ განახორციელებდა ქვა-ლორლისა და ლოდების ამოღებას კოვშის გარეშე, აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატისთვის დაუსაბუთებელია მსჯელობა, თუ კი სახეზე იყო მხოლოდ მოსწორებითი სამუშაოები, რა ხელსაწყოთი ასრულებდა ამ სამუშაოს მოპასუხე, როდესაც სულ სხვა დანიშნულების ხელსაწყოთი იყო აღჭურვილი სპეციალური ტექნიკა.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იქნება ხელახლა განიხილოს და გამოიკვლიოს ექსპერტიზის ზემოაღნიშნული დასკვნები (ამავე განჩინების მე-13-დან მე-18 თავის ჩათვლით პუნქტები) და მოწმეთა ჩვენებები (ამავე განჩინების მე-19 პუნქტი) რათა დაადგინოს სწორი ფაქტობრივი გარემოებები და ურთიერთკოლიზიური მტკიცებულებებიდან განსაზღვროს ფაქტობრივი გარემოებებით არსებული რეალობა. დადგინდეს კონკრეტულად აღნიშნულმა სპეციალურმა ტექნიკამ გამოიწვია თუ არა ზიანი, ზიანის წარმოშობის მომენტსა და ადგილას მუშაობდა თუ არა კონკრეტულად, მხოლოდ ეს ერთი ტრაქტორი, არღვევდა თუ არა ოპერირების ლიცენზირებად ტერიტორულ შეზღუდვებს, შესაძლებელი იყო თუ არა მოსწორებითი სამუშაოების წარმოება მხოლოდ კოვშის გამოყენებით და პირიქით, სპეციალური დანის გამოყენებით ამოთხრითი საქმიანობა, ახორციელებდა თუ არა ამოთხრით საქმიანობას სპეციალური ტექნიკის ოპერატორი, აღნიშნული საქმიანობა უშუალოდ მილთან მიმდინარეობდა თუ რა, რა დაშორება იყო როგორც მენობასა და მილს, ისე მილსა და ელექტროკაბელს შორის, ასევე მილსა და ელექტროკაბელს შორის. აქედან გამომდინარე, პალატა მიჩნევს, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

31. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭი-

როა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

32. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ს.ჯ.გ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩოს გაანგარიშება

გადაწყვეტილება საქართველოს სსრ-ის

№ა-1305-2020

21 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მიქაუტაძე,
რ. ნადარაია

დავის საგანი: სარჩოს ოდენობის გაზრდა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. რ. შ-იამ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „გ. ტ-მის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „საწარმო“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრიდან – 01.04.2019 წლიდან სარჩოს გაზრდილი ოდენობის, ყოველთვიურად 500 ლარისა და სარჩელის აღძვრამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიუღებელი სარჩოს სახით – 18 000 ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. მოსარჩელე დასაქმებული იყო საწარმოში ელმონტიორის თანამდებობაზე. 31.01.1990 წელს მიღებული საწარმოო ტრავმის გამო, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 03.10.1990 წლის გადაწყვეტილებით დაენიშნა სარჩო. მოპასუხე მას სარჩოს სახით ყოველთვიურად 44.80 ლარს ურიცხავს.

2.2. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოში რამდენჯერმე გაიზარდა ხელფასები, მოსარჩელისთვის დანიშნული სარჩო არ გაზრდილა. ამჟამად, ელმონტიორის კატეგორიის მუშაკის ხელფასის გაზრდილი ოდენობა, როგორც მოსარჩელისთვის არის ცნობილი, შეადგენს 500 ლარს. მოპასუხე უარს აცხადებს გაზრდილი ოდენობით სარჩოს გადახდაზე.

3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ იგი მოსარჩელეს მართლაც ურიცხავს გარკვეული ოდენობით თანხას, თუმცა ეს არ გამომდინარეობს რაიმე ვალდებულებიდან. არ არსებობს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებუ-

ლი ექნებოდა სარჩოს ანაზღაურების ვალდებულება. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 03.10.1990 წლის გადაწყვეტილებით განისაზღვრა სხვა სუბიექტის და არა მოპასუხის ვალდებულება.

3.2. უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში საწარმოში ხელფასები არ გაზრდილა იმ მიზეზის გამო, რომ ფაქტობრივად იგი აღარ ეწევა აქტიურ მიზნობრივ საქმიანობას და დაკავებულია მხოლოდ მიმდინარე ვალდებულებების შესრულებით. საწარმოს 2010 წლიდან არ ჰყავს რაიმე სახის ტექნიკური პერსონალი და მისი სამტატო განრიგი განისაზღვრება 4 სამტატო ერთეულით. მოსარჩელეს არაერთხელ გაეგზავნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საწარმოში ხელფასები არ გაზრდილა და, ამასთან, საერთოდ არ ირიცხება ტექნიკური პერსონალი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.08.2019 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 01.04.2019 წლიდან ყოველთვიურად დაეკისრა სარჩოს სახით 500 ლარის (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) გადახდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელის აღძვრამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიუღებელი სარჩოს სახით 18 000 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

4.1. სამტრედიის რაიონის სასამართლოს 03.10.1990 წლის გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა, 31.01.1990 წელს მოსარჩელის სამუშაო პერიოდში მიყენებული ტრავმა ცნობილი იქნა სამტრედიის რესპუბლიკური მაგისტრატების №5 ტექნიკურ კვანძში მიღებულ საწარმოო ტრავმად.

4.2. მოსარჩელეს მინიჭებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი მნიშვნელოვნად.

4.3. საწარმოდან მოსარჩელეს ყოველთვიურად ერიცხება 44 ლარიდან 49 ლარამდე.

4.4. საწარმოში გაუქმებულია ელმონტიორის და მსგავსი სახის ტექნიკური პერსონალის პოზიციები. შესადარებელ ობიექტებში – სს „ე. ჰ. ჯ-სა“ და შპს „ს. გ. ნ. კ-ში“ ელმონტიორის თანამდებობაზე დასაქმებული პირების თვიური ანაზღაურება, ერთ შემთხვევაში, განისაზღვრება 1 000 ლარით, მეორე შემთხვევაში კი – 440-დან – 600 ლარამდე.

4.5. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა გამომდინარეობს ზიანის მიყენების შესახებ სამართლებრივი ურთიერთობიდან. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 992-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის წინაშე ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მოპასუხე. ამასთან, სასა-

მართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის შედავების მიუხედავად, ვინაიდან, დელიქტი განხორციელებულია და ვალდებულება მოპასუხეს აღიარებული აქვს, რაც გამოიხატება განვლილ პერიოდზე სარჩოს გადახდით, სასამართლოს შესაფასებელია სარჩოს ოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობა.

4.6. სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 44-ე მუხლზე, სსკ-ის 408-ე, 411-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმების შინაარსი მოსარჩელეს უქმნის სამართლებრივ საფუძველს, მოითხოვოს სარჩოს გადახდევინება გაზრდილი ხელფასის შესაბამისად, რამდენადაც ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების – სანარმოო ტრავმის არარსებობისა და შრომის უნარის შენარჩუნების პირობებში, მოსარჩელე მიიღებდა გაზრდილ ხელფასს. მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობისაა თავად ის გარემოება, რომ მუშაკმა მიიღო სხეულის დაზიანება სანარმოო ტრავმის შედეგად და მას წაერთვა პროფესიული შრომის უნარი საშუალოდ 70%-ით. თავად ის გარემოება, რომ სანარმოო ტრავმის მიღების გამო მოსარჩელემ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ სანარმოო ტრავმის მიუღებლობის შემთხვევაში, მუშაკი განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა გაზრდილ ხელფასს.

4.7. განსახილველ შემთხვევაში, რადგან ამ ეტაპზე სანარმოოში გაუქმებულია შესაბამისი შტატი, სასამართლომ იხელმძღვანელა მოსარჩელის მიერ მითითებული კომპანიებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით. დადგენილია, რომ სს „ე. პ. ჯ-სა“ და შპს „ს. გ. ნ. კ-ში“ ელმონტიორის თანამდებობაზე დასაქმებული პირების თვიური ანაზღაურება, ერთ შემთხვევაში, განისაზღვრება 1 000 ლარით, მეორე შემთხვევაში კი – 440-დან – 600 ლარამდე. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულს სრულად შეესაბამება მოსარჩელის მოთხოვნა გაზრდილი სარჩოს სახით ყოველთვიურად 500 ლარის (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) მიღების თაობაზე და იგი უნდა დაკმაყოფილდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეგიტიმურია და დაკმაყოფილებას ექვემდებარება სასარჩელო მოთხოვნა ბოლო სამი წლის განმავლობაში მიღებულ და მისაღებ სარჩოს შორის სხვაობის – 18 000 ლარის დაკისრების თაობაზეც.

5. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 22.01.2020 წლის განჩინებით – მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ შეფასებებს.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძველი:

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება, ამავე სასამართლოს 22.01.2020 წლის საოქმო განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგს:

7.1. მოპასუხე არ არის მოსარჩელისათვის სარჩოს გადახდაზე ვალდებული პირი. 03.10.1990 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელემ სანარმოო ტრავმა მიიღო სამტრედიის რესპუბლიკური მაგისტრალის №5 ტექნიკურ კვანძში. შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხისთვის სარჩოს გადაანგარიშებული ოდენობით დაკისრების საფუძველი. მოპასუხე წლების მანძილზე სარჩოს იხდოდა შეცდომით.

7.2. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა მოპასუხის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ის ფაქტი, რომ სანარმო ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. სანარმოში წლებია არ ირიცხება ტექნიკური პერსონალი.

7.3. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას მასზე, რომ სარჩო არ უნდა გადაანგარიშდეს სხვა სანარმოში დასაქმებულ პირთა ხელფასის ოდენობის საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.06.2010 წლის განჩინებით, საქმეზე №ას-288-237-2010, სადაც ასევე დადგენილი იყო ფაქტი მასზე, რომ მოსარჩელის თანამდებობა წლების მანძილზე აღარ არსებობდა, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ყოველი სანარმო დასაქმებულთა ანაზღაურებას ადგენს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობების ფარგლებში და დაუშვებელია სანარმოსთვის მუშაკის სასარგებლოდ იმ ოდენობის სარჩოს დაკისრება, რაც სხვა – მეტი ან ნაკლები რესურსების მქონე დანესებულების მიერაა განსაზღვრული.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ

გარემოებათა გამო:

9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგენი სსსკ) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

10. დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

10.1. მოსარჩელე დასაქმებული იყო კავშირგაბმულობის სამტრედიის რესპუბლიკურ მაგისტრალების №5 ტექნიკურ კვანძში ელმონტიორად. სამუშაო მოვალეობის შესრულებისას, 31.01.1990 წელს დასაქმებულმა მიიღო საწარმოო ტრავმა. სამტრედიის რაიონის სასამართლოს 03.10.1990 წლის გადაწყვეტილებით, სამუშაო პერიოდში მიყენებული ტრავმა ცნობილ იქნა საწარმოო ტრავმად.

10.2. მოსარჩელეს წაერთვა პროფესიული შრომის უნარი 70%-ით.

10.3. მოპასუხე მოსარჩელეს წლების განმავლობაში ყოველთვიურად სარჩოს სახით ურიცხავს 49 ლარამდე;

10.4. საწარმოში გაუქმებულია ელმონტიორის და მსგავსი სახის ტექნიკური პერსონალის პოზიციები.

10.5. სხვა საწარმოებში, კერძოდ, სს „ე. პ. ჯ-სა“ და შპს „ს. გ. ნ. კ-აში“ მსგავს სამუშაოზე – ელმონტიორის თანამდებობაზე დასაქმებული პირების თვიური ანაზღაურება, ერთ შემთხვევაში, განისაზღვრება 1000 ლარით, მეორე შემთხვევაში კი – 440-დან – 600 ლარამდე.

11. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის სარჩელის აღძვრიდან ყოველთვიურად გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოსა და სარჩელის აღძვრამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მისაღები და მიუღებელი სარჩოს სხვაობის დაკისრებას სხვა საწარმოში მსგავს პოზიციაზე დასაქმებულ პირთა საშუალო ხელფასის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანია არა სარჩოს დანესება და, შესაბამისად, ამ მოთხოვნის წინაპირობების განხორციელების შემონშება, არამედ უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება.

12. უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნა სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გა-

უფრო ხილვადი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, 408.2 (თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით) და 411-ე (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულია ჯეროვნად რომ შესრულებულიყო) მუხლების დანაწესიდან გამომდინარეობს.

13. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომ იგი არ წარმოადგენს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს. სამტრედიის რაიონის სასამართლოს 03.10.1990 წლის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 31.01.1990 წელს, სამუშაო მოვალეობის შესრულებისას, მოსარჩელემ მიიღო სანარმოო ტრავმა. მოპასუხე მოსარჩელეს წლების მანძილზე ყოველთვიურად ურიცხავს სარჩოს. სსკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილით, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამდენად, შესრულება ვალდებულების არსებობის პრეზუმფციას ქმნის (ქ. მესხიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 361, ველი 8). მოპასუხეს არ მიუთითებია და შესაბამისად, არც დაუდასტურებია მისი გადახდის სხვა სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, თანხის გადახდის ვალდებულება სადავო არასდროს გამხდარა, მაშინაც კი, როცა მოსარჩელე განცხადებებით ითხოვდა მის გადაანგარიშებას. მოპასუხის ყველა პასუხში დადასტურებულია მოსარჩელის მოთხოვნის უფლება სარჩოზე, გადაანგარიშებაზე უარი კი დასაბუთებულია მოსარჩელის შტატის გაუქმებით.

ამრიგად, დელიქტი განხორციელებულია და ვალდებულება მოპასუხეს აღიარებული აქვს, რაც გამოიხატება განვლილ პერიოდზე სარჩოს გადახდით (მდრ. სუსგ №ას-1742-2018, 27.12.2018წ., პუნ. 40; №ას-438-2020, 05.03.2021წ., პუნ. 9.).

14. კასატორი პრეტენზიას აცხადებს მასზეც, რომ სარჩო გადაანგარიშდეს სხვა სანარმოში დასაქმებულ პირთა ხელფასის ოდენობის საფუძველზე (მდრ სუსგ №ას-288-237-2010, 21.06.2010წ.). შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა მოსარჩელისთვის ზიანის ასანაზღაურებლად სარჩოს გადაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები.

15. ამისათვის უნდა განიმარტოს სარჩოს ანაზღაურების მიზანი, რაც დაზარალებულისათვის იმ მატერიალური დანაკლისის შევსებით გამოიხატება, რასაც დაზარალებული მიიღებდა, სარჩოს მიღების საფუძ-

ვლის – დაზიანების ფაქტის არარსებობისას.

16. თავად ის გარემოება, რომ, ჯანმრთელობის დაზიანების გამო მოსარჩელემ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის არარსებობის პირობებში, მუშაკი განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა ხელფასს (მდრ. სუსგ №ას-738-690-2017, 11.07.2017წ., პუნ. 16.3).

17. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება.

შესაბამისად, თუ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ საწარმოში არსებობს თანამდებობა, რომელზეც დაზარალებული მუშაობდა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სწორედ ამ თანამდებობაზე მომუშავე პირთა გაზრდილი ხელფასის ოდენობის საფუძველზე უნდა გადაანგარიშდეს სარჩო. არსებობს ვარაუდი, რომ, თუ მოსარჩელეს არ მიადგებოდა ზიანი, იგი გააგრძელებდა მუშაობას იმ საწარმოში, რომელთანაც იმყოფებოდა შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში.

18. წარმოდგენილი სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად და საკასაციო პრეტენზიაზე პასუხის გასაცემად უნდა განისაზღვროს: დასაშვებია თუ არა სარჩოს გადაანგარიშება სხვა საწარმოში დასაქმებულ პირთა ხელფასის მიხედვით, თუ სარჩოს ანაზღაურებაზე ვალდებულ საწარმოში აღარ არსებობს სარჩოს მიმღები პირის მიერ დაკავებული თანამდებობა?

19. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოვალის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა განვიხილოთ ამავე კოდექსის 412-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით. სსკ-ის 412-ე მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

20. სსკ-ის 408-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, ანაზღაურებადია მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მიზეზშედეგობრივად (კაუზალურად) გამომდინარეობს დამზიანებლის პასუხისმგებლობის წარმომშობი ქმედებიდან. სსკ-ის 412-ე მუხლის დაცვით მიზანს წარმოადგენს საკითხი – იცავს თუ არა დარღვეული (კანონისმიერი ან სახელშეკრულებო) ვალდებულება დაზარალებულს ამ ტიპის ზიანისაგან. დაცვითი მიზანი აქვს როგორც დარღვეულ ამკრძალავ ნორმას, ასევე, სახელშეკრულებო ვალდებულებას. ის, როგორც შერაცხვის კრიტერიუმი, ქართულ კანონში განსხეულებულია 412-ე მუხლში „უშუალო ზიანის“ ხსენებით – ანაზღაურ-

დება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. „უშუალო შედეგი“ გულისხმობს არა ყოფითი, არამედ ნორმატიული გაგებით უშუალოს. მისი შეფასება უნდა მოხდეს ნორმატიული პერსპექტივიდან – იცავს თუ არა კანონისმიერი ან სახელმეკრულებო ვალდებულება დაზარალებულს ამ ზიანისაგან. დელიქტურ სამართალში ზიანის მიზეზშედეგობრიობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია დარღვეული ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულების მიზანი ან დაზიანებული სიკეთის დაცული სფერო. სამართლის ნორმა არ და ვერ უზრუნველყოფს გენერალურ დაცვას ზოგადად ზიანის მომტანი ქმედებისაგან, არამედ იცავს მხოლოდ განსაზღვრული სიკეთეების განსაზღვრული ფორმით დაზიანებისაგან, რაც ყოველი ცალკეული ნორმის განმარტებით უნდა დადგინდეს (Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 310). საეჭვობისას უნდა მოხდეს დაზარალებულის დაცულ ინტერესსა და დამზიანებლის პასუხისმგებლობის შემოსაზღვრის აუცილებლობას შორის ანონდანონა (იხ. გიორგი რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 412, ველი 1, 11, 13).

21. მიუღებელი შემოსავლის საკითხზე მსჯელობისას გადამწყვეტია არა ზიანის სავარაუდოობა დამზიანებლის (ან მესამე პირის) პროსპექტიული პოზიციიდან, არამედ მოვლენათა ალტერნატიული განვითარების რეტროსპექტიული შეფასება (იხ. გიორგი რუსიაშვილი/გიორგი ბათლიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 411, ველი 9). შესაბამისად, ყველა ვარაუდი იმ პირის სასარგებლოდ მოქმედებს, რომელიც იყო დასაქმებული, ჰქონდა შემოსავალი, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, საწარმოო ტრავმის შედეგად, დაუზიანდა ჯანმრთელობა და დაკარგა შრომის უნარი სრულად ან ნაწილობრივ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩო, მისი სოციალური ფუნქციიდან გამომდინარე, არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ იმ შრომის ანაზღაურებაზე დამოკიდებულ თანხად, რასაც დასაქმებული დამქირავებელ საწარმოში იღებდა/მიიღებდა. პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა გულისხმობს ზოგადად ამ პროფესიით საქმიანობის შეუძლებლობას და არა ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის შეუძლებლობას.

შესაბამისად, მოპასუხისთვის, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირისთვის, წინასწარ სავარაუდო უნდა ყოფილიყო გარემოება მასზე, რომ მოსარჩელის სამუშაო პოზიციის/თანამდებობის გაუქმების შემთხვევაში, შრომისუნარიანი (ანუ საწარმოო ტრავმის არმქონე) მოსარჩელე საპენსიო ასაკამდე შეძლებდა მუშაობას სხვა საწარმოში და მიიღებდა შესაბამის ხელფასს, რისი პერსპექტივაც წაერთვა.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩოს ანაზღაურებაზე ვალდებულ სანარმოში სარჩოს მიმღები პირის მიერ დაკავებული თანამდებობის გაუქმება არ წარმოადგენს სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს.

22. ამრიგად, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას სარჩოს მსგავს დანესებულებებში, ანალოგიურ პოზიციაზე დასაქმებულ პირთა საშუალო ხელფასის შესაბამისად განსაზღვრის თაობაზე. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ სარჩოს გაზრდილი ოდენობის განსაზღვრისას სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა შესაძარბელი ობიექტივიდან გამოთხოვილი ინფორმაციით, რადგან მათი საქმიანობის სფერო გარკვეულწილად განსხვავდება მოპასუხის საქმიანობის სფეროსგან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული გარემოება საქმის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში განხილვისას მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები), იგი მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნული საკითხი სადავოდ გახადოს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

23. გადაანგარიშების პერიოდთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილიც იმაზე მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობის დასადგენად მნიშვნელოვანია, შეფასდეს, თუ როდემდეა ვალდებული სანარმო, გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია. ამდენად, შეფასებას საჭიროებს გარემოება, რომელიც პირის დასაქმების პერიოდს უკავშირდება (სუსგ №ას-52-48-2017, 26.10.2018წ; №ას-1742-2018, 27.12.2018წ.).

24. საკასაციო სასამართლოს მიერ მსგავს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით (საქმე №789-746-2015, 22.01.2016წ.) შეიცვალა მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა და დაშვებულ იქნა პრეზუმფცია, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, დასაქმებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა. შესაბამისად, სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული სანარმო, ანაზღაურებინა მისთვის ხელფასი, რომ არ დამდგარიყო სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სუსგ №ას-789-746-2015, 22.01.2016წ; №ას-1216-1141-2015, 03.06.2016წ; №ას-1220-1145-2015, 03.06.2016წ; №ას-1180-1141-2016, 31.03.2017წ; №ას-738-690-2017, 11.07.2017წ; №ას-563-563-2018, 15.06.2018წ; №ას-52-48-2017,

26.10.2018წ). სარჩოს ხანგრძლივობა შემოსავლის დაკარგვის გამო განისაზღვრება ამ შემოსავლის მომტანი საქმიანობის ხანგრძლივობის მიხედვით. ჩვეულებრივ, დაქირავებული მუშაკის შემთხვევაში მისი გადახდის ვალდებულება სრულდება საპენსიო ასაკის მიღწევასთან ერთად (BGH NJW 1995, 3313; BGH NJW-RR 1995, 1272; გიორგი რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2019, მუხლი 408, ველი 34). შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს სარჩელის აღძვრამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიუღებელი სარჩოს სხვაობის – 16387.2 ლარის (საშემოსავლო გადასახადის გარეშე), ასევე, ყოველთვიურად 500 ლარის (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) გადახდა 01.04.2019 წლიდან 25.04.2023 წლამდე, ანუ მოსარჩელის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევამდე.

25. საპენსიო ასაკის მიღწევისას იცვლება პრეზუმფციის შინაარსი და იგი მოქმედებს სანინალმდეგო მნიშვნელობით. ვარაუდის ძირითად, უკვე განიხილება დაზარალებულის მუშაობის პერსპექტივა და ამგვარი, საგამონაკლისო შემთხვევების დადასტურების მოვალეობა დაზარალებულის პროცესუალურ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნულის დადასტურება შესაძლებელია იმ ფარგლებში, რაც გონივრულად არის მოსალოდნელი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. განსახილველ შემთხვევაში, ამ გარემოებებზე მოსარჩელეს არ მიუთითებია (გადაანგარიშებული სარჩოს საპენსიო ასაკის მიღწევამდე დანიშვნის საკითხზე იხ: სუსგ №ას-738-690-2017, 11.07.2017წ., პუნ. 16.4; №ას-563-563-2018, 15.06.2018წ., პუნ. 32-34, 40; №ას-1039-2018, 06.11.2018წ., პუნ.13.6, 21).

26. საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ საწარმოს მიერ აღებული ვალდებულება, მისი ბრალით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 10.3 პუნქტი), მოსარჩელის სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება მოპასუხეს (სუსგ №ას-789-746-2015, 22.01.2016წ., პუნ.36; №ას-1216-1141-2015, 03.06.2016წ., პუნ.28). წინამდებარე გადაწყვეტილებით არ იცვლება აღნიშნული ვალდებულება.

27. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმე-

ზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.01.2020 წლის განჩინება და მიღებულ იქნეს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრება სარჩელის აღძვრამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიუღებელი სარჩოს სხვაობის და ყოველთვიური გადაანგარიშებული სარჩოს გადახდა 01.04.2019 წლიდან 25.04.2023 წლამდე.

28. სსსკ-ის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მართ კერძო საჩივრის შეტანა. კასატორი ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.01.2020 წლის საოქმო განჩინებას, რომლითაც, სსსკ-ის 380.2 მუხლზე დაყრდნობით, არ დაკმაყოფილდა მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების დართვის თაობაზე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნულზე მხარეს სათანადოდ დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული რაიმე საფუძველი არ არსებობს.

29. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, ასევე სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უნდა შეიცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილება. მოპასუხეს სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 655.51 ლარის გადახდა, რომლის გადახდისაგან სარჩელზე განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, ხოლო მოსარჩელემ სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მას უარი ეთქვა, მოპასუხეს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 145.06 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. სს „გ. ტ-მის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.01.2020 წლის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი

გადანყვეტილება.

3. რ. შ-იას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

4. სს „გ. ტ-ს“ რ. შ-იას სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელის აღძვრამდე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მიუღებელი სარჩოს სხვაობის – 16387.2 ლარის (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) გადახდა.

5. სს „გ. ტ-ს“ რ. შ-იას სასარგებლოდ სარჩოს სახით ყოველთვიურად დაეკისროს 500 ლარის (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) გადახდა 2019 წლის 01 აპრილიდან 2023 წლის 25 აპრილამდე.

6. სს „გ. ტ-მის“ მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.01.2020 წლის საოქმო განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

7. სს „გ. ტ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 655.51 ლარის გადახდა.

8. რ. შ-იას სს „გ. ტ-მის“ სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 145.06 ლარის ანაზღაურება.

9. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის

გადანყვეტილება საქართველოს სახელმთ

№ას-1280-2023

30 აპრილი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ძიმისტარაშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 აპრილის გადანყვეტილებით გ. მ-ლის სარჩელი (შემდეგში მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სსიპ „საგანგებო სიტუაციე-

ბის კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ (პირველი მოპასუხე ან სსიპ 112), შპს „თ.ზ.ჰ-ის“ (მეორე მოპასუხე, ჰოსპიტალი ან ცხელების ცენტრი) და შპს „მ.ს.ც-ის“ (მესამე მოპასუხე ან სამედიცინო ცენტრი) მიმართ მატერიალური ზიანის – 1132 ლარის და მორალური ზიანის – 50 000 ლარის მოპასუხეებისთვის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა;

2. სასარჩელო განცხადება ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მოსარჩელეს 2020 წლის 10 ივნისს აღენიშნებოდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ჩივილები: ყელის ტკივილი, ტემპერატურის მატება, საერთო სისუსტე (სარჩელში მითითებულია, რომ გამოვლენილ სიმპტომებს მოსარჩელე საკვებით მონამვლის ფაქტს უკავშირებდა), რის გამოც 2020 წლის 11 ივნისს, სსიპ 112-მა გადაიყვანა შპს მეორე მოპასუხესთან – ჰოსპიტალში. ჰოსპიტალში გადაყვანის შემდეგ მოსარჩელეს ჩაუტარდა კორონა ვირუსის ტესტი (PCR). მას კოვიდ დადასტურებულ ან შესაძლო შემთხვევის მქონე პირებთან კონტაქტი არ ჰქონია. ჩატარებული ტესტის მიხედვით, გამოსაკვლევი ნიმუშის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო, ტესტის შედეგი კი – საეჭვო. 2020 წლის 12 ივნისს ღამის საათებში, მოსარჩელეს აცნობეს, რომ PCR ტესტის შედეგი იყო დადებითი, რის გამოც უნდა გადაეყვანათ სტაციონარში. ჰოსპიტალიდან (მეორე მოპასუხე) სამედიცინო ცენტრში (მესამე მოპასუხე) მოსარჩელის ტრანსპორტირება მოხდა კოვიდ ინფიცირებულ პაციენტთან ერთად, ის საათების განმავლობაში პირდაპირ კონტაქტში იყო ინფიცირებულ პაციენტთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის ინფიცირების ფაქტი არ იყო დადასტურებული.

2.2. სტაციონარში მოთავსების შემდეგ, მოსარჩელის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, მას ჩაუტარდა განმეორებითი ტესტი (PCR). ტესტის პასუხი იყო უარყოფითი, თუმცა, იმის გამო, რომ მისი ტრანსპორტირება და ჰოსპიტალიზაცია მოხდა კორონა ვირუსით ინფიცირებულ პაციენტთან ერთად, აუცილებელი იყო 14-დღიანი იზოლაცია. მოსარჩელე სპეციალური ავტომობილით გადაიყვანეს ერთ-ერთი სასტუმროში, სადაც 26 ივნისის ჩათვლით (14 დღე) იმყოფებოდა კარანტინში. მე-13 დღეს ჩატარებული განმეორებითი ტესტის პასუხი იყო უარყოფითი.

2.3. მოსარჩელის განმარტებით, სამედიცინო დაწესებულებისა და მედპერსონალის არასწორი და დაუდევარი ქმედებების შედეგად ფიზიკური თავისუფლება 15 დღით უკანონოდ შეეზღუდა. ამ პერიოდის განმავლობაში ის იყო მუდმივ სტრესში, როგორც მაქრიანი დიაბეტით ქრონიკულად დაავადებული პირი, ჰქონდა შიში, რომ კოვიდ ინფიცირებულ პაციენტთან ახლო კონტაქტის გამო დაინფიცირდებოდა ჯან-

მრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიში ვირუსით.

2.4. მოსარჩელის განმარტებით, 2020 წლის 10 აპრილიდან იყო თვით-დასაქმებული, ასრულებდა სარემონტო სამუშაოებს. ამ საქმიანობით იყო დაკავებული 2020 წლის 25 ივლისამდე, თუმცა 11 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით ცხელების ცენტრში, სტაციონარსა და კარანტინში ყოფნის გამო ვერ იმუშავა, რის გამოც ვერ მიიღო კუთვნილი ანაზღაურება – 1132 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეთა უკანონო ქმედებების შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

3. მოპასუხეთა წერილობითი შესაგებელი

3.1. პირველმა მოპასუხემ (სსიპ 112-მა) წარდგენილი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და მიუთითა მისი ქმედების მართლზომიერებაზე. მისი განმარტებით, პაციენტის კლინიკაში გადაყვანის შემდეგ მთავრდება გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფუნქცია-მოვალეობები, გარდა, საჭიროების შემთხვევაში, ტრანსპორტირებისა;

3.2. მეორე მოპასუხემ (ჰოსპიტალმა) წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო სასარჩელო მოთხოვნათა უსაფუძვლობაზე და დაუსაბუთებლობაზე მითითებით.

3.3. მესამე მოპასუხემ (სამედიცინო ცენტრმა) წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო მის ქმედებაში დელიქტის შემადგენლობის კომპონენტთა არარსებობაზე მითითებით.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

4.1. მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა:

4.1.1. მოსარჩელეს 2020 წლის 10 ივნისს ჰქონდა ყელის ტკივილი, ტემპერატურის მატება და საერთო სისუსტე. იგივე სიმპტომები ჰქონდა მოსარჩელეს 2020 წლის 11 ივნისს, რის გამოც მან გამოიძახა სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ბრიგადა. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მისვლისას, პაციენტის ტემპერატურა იყო 37 გრადუსი, უჩიოდა ცხელებას, ლებინებას, ფაღარათს, სისუსტეს, რომელიც, მოსარჩელის განცხადებით, დაიწყო ერთი დღით ადრე და უკავშირებდა საკვების მიღებას. 2020 წლის 11 ივნისს სამედიცინო ბრიგადამ მოსარჩელე გადაიყვანა მეორე მოპასუხესთან – ჰოსპიტალში;

4.1.2. მოსარჩელეს მოპასუხე ჰოსპიტალში ჩაუტარდა დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები, მათ შორის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) სადეტექციო გენეტიკური (PCR) ტესტი. ტესტის პასუხის თანახმად, გამოსაკვლევ ნიმუშის მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი, ტესტის შედეგი კი – საეჭვო;

4.1.3. ჰოსპიტალიდან (ცხელების ცენტრიდან) 2020 წლის 12 ივნისს,

04:00 საათზე, მოსარჩელე სსიპ 112-მა გადაიყვანა მესამე მოპასუხეს-თან – სამედიცინო ცენტრში (პროფილურ სტაციონარში). მოსარჩელის ტრანსპორტირება მოხდა ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებულ პაციენტთან ერთად. მოსარჩელის ტრანსპორტირება განხორციელდა დიაგნოზის კოდით B34.2 (კორონა-ვირუსით გამონვეული ინფექცია დაუზუსტებელი). მეორე მოპასუხის მიერ – სამედიცინო ცენტრში მოსარჩელე თავდაპირველად განთავსდა იმავე ინფიცირებულ პაციენტთან ერთად. მოსარჩელესა და ინფიცირებულ პაციენტს შორის არ არსებობდა ფიზიკური ბარიერი;

4.1.4. მოსარჩელეს 2020 წლის 12 ივნისს განმეორებით ჩაუტარდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) სადეტექციო გენეტიკური (PCR) ტესტი. 2020 წლის 13 ივნისს მოვიდა ტესტის პასუხი – უარყოფითი. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელეს განუმარტეს, რომ მისი ტრანსპორტირება და ჰოსპიტალიზაცია მოხდა ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებულ პაციენტებთან ერთად და შესაბამისად, აუცილებელი იყო მისი 14-დღიანი იზოლაცია. 2020 წლის 13 ივნისს მოსარჩელე სპეციალური ავტომობილით გადაიყვანეს ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც იგი კარანტინში იყო 2020 წლის 26 ივნისის ჩათვლით (14 დღე);

4.1.5. სპეციალურ სასტუმროში განთავსებიდან (13.06.2020) მე-13 დღეს მოსარჩელეს ჩაუტარდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) სადეტექციო გენეტიკური (PCR) ტესტი და პასუხი კვლავ უარყოფითი იყო. მიუხედავად კოვიდინფიცირებულ პაციენტთან ერთად ტრანსპორტირებისა და ჰოსპიტალიზაციისა, მოსარჩელე არ დაინფიცირებულა ახალი კორონავირუსით (COVID-19);

4.1.6. მოსარჩელეს აქვს პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტი, აქვს მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირის სტატუსი და არის ინსულინდამოკიდებული;

4.1.7. მოსარჩელე ცხოვრობს ოჯახთან ერთად და ჰყავს მცირეწლოვანი შვილები (8 და 11 წლის);

4.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე მტკიცებულებების გამოკვლევის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მხარეთა შორის სადავო ფაქტობრივი გარემოებები შეაფასა და დაადგინა:

4.2.1. მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებასთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ი) 413-ე მუხლი ითვალისწინებს ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას და ამ ზიანის შედეგად გამონვეული მორალური/სულიერი ზიანის ანაზღაურების წესს. სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ სულიერი/მორალური ტკივილი არ ანაზღაურდება, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით

გათვალისწინებული სიცოცხლის და წამების აკრძალვის უფლებების ხელყოფის შემთხვევებისა.

4.2.2. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო ურთიერთობებში უამრავი ფაქტი შეიძლება ინვესტის სულიერ ტკივილს, მაგალითად, თანხის გადაუხდელობა/დაგვიანება და ამით გამონვეული ფინანსური, თუ ოჯახური პრობლემები, მატერიალური ზიანის მიყენება, არასათანადო მომსახურება, შეცდომა და ა.შ., თუმცა ყოველი ამგვარი არასასურველი შედეგისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ეწინააღმდეგება კანონმდებლის მიზანს ხელი შეუწყოს მშვიდობიანი და სწრაფი სამოქალაქო ურთიერთობების განვითარებას.

4.2.3. განსახილველ შემთხვევაში, სადავო შემთხვევის შედეგად მოსარჩელის ჯანმრთელობა არ დაზიანებულა. კერძოდ, მიუხედავად მისი ახალი კორონავირუსით ინფიცირებულ პაციენტთან ერთად ტრანსპორტირებისა და ჰოსპიტალიზაციისა, მოსარჩელე არ დაინფიცირებულა ახალი კორონავირუსით (COVID-19). შესაბამისად, სახეზე არ არის სსკ-ის 413-ე მუხლით პირდაპირ გათვალისწინებული იმპერატიული წინაპირობა – ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება, რაც გამორიცხავს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

4.2.4. პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, გადანყვეტილების დასაბუთებულობის სათანადოდ მაღალი სტანდარტის დაცვისა და შემდგომში მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით მოსარჩელის მოთხოვნაზე მსჯელობის მიზნით, სასამართლომ შეაფასა მოპასუხეთა ქმედებების მართლზომიერება.

4.2.5. სსკ-ის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დანესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმისათვის, რომ პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, საჭიროა ერთდროულად არსებობდეს რამდენიმე პირობა, კერძოდ, ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, მართლწინააღმდეგოა გამონვეული უნდა იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ქმედებას უნდა მოჰყვეს ზიანი, ქმედებასა და მიღებულ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ამ პირობათა ერთობლიობა სავალდებულოა ზიანის იურიდიული შემადგენლობისათვის, ანუ დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის.

4.2.6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2020 წლის 30 მარტის №01-135/ო ბრძანებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეულ ინფექციაზე (COVID19) საექვო შემთხვევის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ – კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) თანახმად (გადაწყვეტილებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „პროტოკოლი“), კლინიკური ექვის მიტანა COVID-19-ის არსებობაზე უპირველესად აუცილებელია იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ: (ა)ახლად აღმოცენებული ცხელება და/ან სასუნთქი სისტემის (რესპირაციული) სიმპტომები (მაგ., ხველა, ქოშინი); (ბ) ქვედა სასუნთქი გზების მძიმე დაავადება, რომლის მიზეზი გაურკვეველია (გვ. 9). პროტოკოლის თანახმად, COVID-19-ის დაავადება შეიძლება იყოს როგორც მსუბუქი, ჩვეულებრივი ვირუსული ინფექციის მსგავსი, ასევე, მძიმე ვირუსული პნევმონია (გვ. 5). პროტოკოლის თანახმად, დაავადების სიმპტომებია ზომიერი ან დაბალი ცხელება ლებინება და ფაღარათი. პროტოკოლის თანახმად, სავარაუდო შემთხვევა არის შესაძლო შემთხვევა, რომლის SARSCoV-2-ზე ტესტირებისას არის გაურკვეველი შედეგი ან დადასტურება მოხდა პანკორონავირუსზე კვლევით და სხვა რესპირაციული პათოგენებით ინფიცირება არ იქნა გამოვლენილი. მოსარჩელესთან მიმართებით სახეზე იყო ტესტირებისას გაურკვეველი შედეგი და შესაბამისად ადგილი ჰქონდა სავარაუდო ინფიცირების შემთხვევას.

4.2.7. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს/პაციენტს აღენიშნებოდა COVID-19-ის საექვო სიმპტომები. პროტოკოლის თანახმად, COVID-19 დეფინიციით საექვო პაციენტთა ტრიაჟის განხორციელება, რეკომენდებულია, შემდეგი პროცედურის მიხედვით: შესაძლო COVID-19 შემთხვევაში (თავად პაციენტს ან მის ოჯახის წევრს უვლინდება სიმპტომები) განხორციელეთ ტრიაჟი: (კატეგორია 1) მძიმე ზოგადი მდგომარეობის შემთხვევაში, გადაიყვანეთ ჰოსპიტალში (დაუკავშირდით 112-ს და ოპერატორს შეატყობინეთ COVID-19-ის რისკის შესახებ); (კატეგორია 2) საჭიროებს პირისპირ შეფასებას – განსაზღვრეთ პაციენტთან ბინაზე ვიზიტის თუ კლინიკაში შეფასების საჭიროება. პაციენტი მსუბუქი სიმპტომებით – ურჩიეთ „დარჩეს სახლში“ და მოახდინოს თვითიზოლაცია 14 დღის განმავლობაში. თუ პაციენტს არ აქვს ბინაზე თვითიზოლაციის შესაძლებლობა, ცხოვრობს ოჯახის სხვა წევრებთან (განსაკუთრებით ასაკოვანი და ქრონიკული დაავადების მქონე პირები) ოჯახის ექიმმა უნდა გაითვალისწინოს პაციენტის საკარანტინე სივრცეში გადაყვანის შესაძლებლობა და აცნობოს ამის შესახებ სამინისტროს შესაბამის სამსახურს. განსახილველ დავაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე ცხოვრობს ოჯახთან ერთად და ჰყავს მცირეწლოვანი შვი-

ლები.

4.2.8. სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, მოსარჩელე იყო მძიმე თუ მსუბუქი სიმპტომებით, გამართლებული იყო მის მიმართ ტრიაჟის განხორციელება ჰოსპიტალში გადაყვანის გზით. „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო), სსიპ – ლ. ს-ძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრთან ერთად, უზრუნველყოფს საექვო და/ან დადასტურებული შემთხვევის მართვისთვის სამედიცინო დაწესებულებების იდენტიფიცირებასა და რეფერალის მექანიზმის ამოქმედებას. „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისი №322 დადგენილების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იზოლაცია ხორციელდება კორონავირუსის გავრცელების რისკის აღკვეთის მიზნით, კორონავირუსზე საექვო ან მაღალი რისკის მატარებელი პირების მიმართ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იზოლაცია შეიძლება, მოხდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საკარანტინე სივრცეში (კარანტინი) ან თავად ამ პირის მიერ უზრუნველყოფილ სივრცეში (თვითიზოლაცია). ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საკარანტინე სივრცეებში შესაბამისი პირების გადაყვანას ახორციელებს სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანხლებით. ამავე დადგენილების მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის გაგრძელდეს პაციენტების მკურნალობა სპეციალურად შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში. აღნიშნული დადგენილების (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) მე-2 დანართის თანახმად, მეორე (ჰოსპიტალი) და მესამე (სამედიცინო ცენტრი) მოპასუხეები“ წარმოადგენდნენ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID19) სამართავად მობილიზებული

კლინიკებს.

4.2.9. პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით, გამართლებული იყო მოსარჩელის იზოლაცია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საკარანტინე სივრცეში, რაც არ შეიძლება შეფასდეს ფიზიკური თავისუფლების უკანონო შეზღუდვად. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი პროფესიული გადამწყვეტილებების მიღებისას არის თავისუფალი და დამოუკიდებელი. აკრძალულია, პირმა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტისაგან მოითხოვოს ამ კანონში მითითებული პრინციპებისა და საექიმო საქმიანობის ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო მოქმედება, მიუხედავად მომთხოვნი პირის თანამდებობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილები-სა, აგრეთვე აღმსარებლობისა.

4.2.10. სასამართლოს განმარტებით საექიმო საქმიანობა, თავის თავში, გულისხმობს ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით პაციენტის მდგომარეობის შეფასებას. აღნიშნული შეფასების ფარგლებში მიღებული პროფესიული გადამწყვეტილებები ექვემდებარება გადაფასებას, მათ შორის, სასამართლოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელი სუბიექტის შესაბამისი დასკვნა. საექიმო საქმიანობის შეფასების დროს, სასამართლო აფასებს საექიმო საქმიანობის შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან და არა პირიქით – საკანონმდებლო ნორმების შესაბამისობას საექიმო საქმიანობასთან. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობა გულისხმობს არა სუბიექტურად სასურველ ან/და მართებულად მიჩნეულ, არამედ ობიექტურად არსებულ სამართლებრივ დანაწესთან მიმართებით ზიანის მიმყენებლის ქმედების წინააღმდეგობას; რომ არა ამგვარი განმარტება, შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებს პირი სხვა პირთან ურთიერთქმედებაში. კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი არის სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, რომელიც იცავს სამოქალაქო ურთიერთობათა მონაწილეებს იმგვარი შედეგისგან, რომელიც მათთვის არ იქნებოდა მოსალოდნელი. სასამართლოს მიერ ამ პრინციპიდან გადახვევა შესაძლებელია მხოლოდ უკიდურეს საგამონაკლისო შემთხვევაში, რასაც განსახილველ დავაში ადგილი არ ჰქონია.

4.2.11. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელე სათანადოდ შეფასდა, როგორც პაციენტი COVID-19-ზე საექიკო სიმპტომებით და რომ მისი ჰოსპიტალიზაცია და შემდგომში მისი იზოლაცია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საკარანტინე სივრცეში განხორციელდა კანონის დაცვით, მათ შორის, მოსარჩელის ოჯახის წევრების შესაძ-

ლო ინფიცირებისგან დაცვის მიზნით. შესაბამისად, მოპასუხეები მოქმედებდნენ მართლზომიერად. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ პროტოკოლის თანახმად, ხანდაზმულ და ქრონიკული თანმხლები დაავადებების მქონე, ქიმიოთერაპიაზე მყოფ, ბოლო 6 თვის განმავლობაში ოპერაციული/ინვაზიური ჩარევის მქონე პაციენტებს შესაძლოა ჰქონდეთ არასახარბიელო გამოსავლები. მოსარჩელეს ჰქონდა ქრონიკული თანმხლები დაავადება – შაქრიანი დიაბეტი (ფ/გ პ.1.6.). შესაბამისად, მოპასუხეთა ქმედება უფრო მეტად ფრთხილი და გულმოდგინე უნდა ყოფილიყო მოსარჩელესთან მიმართებით. მოსარჩელე იგივე არგუმენტზე მიუთითებს, თუმცა მას ხედავს საკუთარი პოზიციის სასარგებლოდ. კერძოდ, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ იგი დადასტურებულად კოვიდინფიცირებულ პაციენტთან ერთად არ უნდა გადაეყვანათ და განეთავსებინათ. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის ამ მითითების მიუხედავად, სასამართლო დავის გადანყვეტიას ვერ იმსჯელებს მოვლენათა ჰიპოთეტური განვითარების სცენარზე, ანუ იმ რისკის რეალიზაციის შედეგებზე, რომელიც საბოლოოდ არ რეალიზდა.

4.2.12. მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხეებისთვის მიუღებელი შემოსავლის სახით 1132 ლარის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე სასამართლომ სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად განმარტა, რომ წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს

შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. ზიანის გავრცელების წინაპირობაა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანის არსებობა. ეს წინაპირობა უნდა განვიხილოთ სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვის ფუნქციის ქრილში. ეს არ გულისხმობს კონკრეტული მოვალის პერსპექტივას, არამედ საუბარია ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ განხილვაზე, ანუ, ზოგადად, გონიერი და შეგნებული მოვალის პერსპექტივაზე. განსახილველ შემთხვევაში, არ დადგინდა, რომ მოსარჩელეს მიადგა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით და რომ მოპასუხეები მოქმედებდნენ არამართლზომიერად. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის სახით დამდგარი მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

5.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებითა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

5.3. აპელანტის პრეტენზიის თანახმად, მისი გადაყვანა ცხელების ცენტრიდან/ჰოსპიტალიდან სამედიცინო ცენტრში მოხდა კორონა ვირუსით ინფიცირებულ პაციენტთან ერთად, რის გამოც ის იყო მუდმივ სტრესში, ჰქონდა შიში, რომ კოვიდინფიცირებულ პაციენტთან ახლო კონტაქტის გამო დაინფიცირდებოდა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიში ვირუსით. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც მატერიალურად არაფერი შეესაბამება (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა). მორალური ზიანი სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები მხედველობაში არ მიიღება, ხოლო, როდესაც მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა და ა.შ., ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ სანინალმდევოს დადასტურებამდე, ივარაუდება, რომ დაზარალებულმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. საგულისხმოა, რომ მითითებული მუხლით დაცული სიკეთე, რომლის

ხელყოფის შემთხვევაში დაზარალებულმა შეიძლება, მოითხოვოს არა-ქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, არის ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდის სულიერ ტანჯვას, ფსიქიკურ სტრესს. სხეულის დაზიანებას ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში კი, უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხელყოფს დაზარალებულის სხეულს ან მისი ორგანიზმის შინაგან პროცესებს. ამასთან, სულიერი/მორალური ტკივილით მიყენებული ზიანი შესაძლებელია ანაზღაურდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სიცოცხლის და ნამების აკრძალვის უფლებების ხელყოფის შემთხვევებშიც (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ; საჩივარი №58240/08; პარ. 96).

5.4. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობა არ დაზიანებულა. მიუხედავად ახალი კორონავირუსით ინფიცირებულ პაციენტთან ერთად ტრანსპორტირებისა და ჰოსპიტალიზაციისა, მოსარჩელე არ დაინფიცირებულა კორონავირუსით (COVID-19). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც) მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი ზემოხსენებული საგამონაკლისო პირობა.

5.5. მოპასუხეების ქმედებების მართლზომიერების გამოსარკვევად სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2020 წლის 30 მარტის №01-135/ო ბრძანებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV2) გამონვეულ ინფექციაზე (COVID-19) საექვო შემთხვევის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ – კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტზე (შემდეგში „პროტოკოლი“), რომლის თანახმად, კლინიკური ექვის მიტანა COVID-19-ის არსებობაზე, უპირველესად, აუცილებელია იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ: (ა) ახლად აღმოცენებული ცხელება და/ან სასუნთქი სისტემის (რესპირაციული) სიმპტომები (მაგ., ხველა, ქოშინი); (ბ) ქვედა სასუნთქი გზების მძიმე დაავადება, რომლის მიზეზი გაურკვეველია. პროტოკოლის თანახმად, COVID-19-ის დაავადება შეიძლება იყოს როგორც მსუბუქი, ჩვეულებრივი ვირუსული ინფექციის მსგავსი, ასევე, მძიმე ვირუსული პნევმონია. პროტოკოლის თანახმად, დაავადების სიმპტომებია ზომიერი ან დაბალი

ცხელება ($<37,8^{\circ}\text{C}$) სისუსტე, ყელის ტკივილი, ხველა. ამავე პროტოკოლის თანახმად, ძირითადი დიაგნოსტიკური ფაქტორები ცხელება (შემთხვევათა სერიების ანალიზით გამოვლინდა პაციენტების 83-98%-ში), ხველა, ქოშინი, დაღლილობა ან შეუძლოდ ყოფნა, მიაღვია (ხშირი), ანორექსია (მადის დაქვეითება), ნახველის გამოყოფა, ყელის ტკივილი და დაბნეულობა. პროტოკოლის თანახმად, COVID-19 დეფინიციით საექვო პაციენტთა ტრიაჟის განხორციელება რეკომენდებულია შემდეგი პროცედურის მიხედვით: შესაძლო COVID-19 შემთხვევაში (თავად პაციენტს ან მის ოჯახის წევრს უვლინდება სიმპტომები) განხორციელებული ტრიაჟი: (კატეგორია 1) მძიმე ზოგადი მდგომარეობის შემთხვევაში, გადაიყვანეთ ჰოსპიტალში (დაუკავშირდით 112-ს და ოპერატორს შეატყობინეთ COVID-19-ის რისკის შესახებ); (კატეგორია 2) საჭიროებს პირისპირ შეფასებას – განსაზღვრეთ პაციენტთან ბინაზე ვიზიტის თუ კლინიკაში შეფასების საჭიროება. პაციენტი მსუბუქი სიმპტომებით – ურჩიეთ „დარჩეს სახლში“ და მოახდინოს თვითიზოლაცია 14 დღის განმავლობაში. თუ პაციენტს არ აქვს ბინაზე თვითიზოლაციის შესაძლებლობა, ცხოვრობს ოჯახის სხვა წევრებთან (განსაკუთრებით ასაკოვანი და ქრონიკული დაავადების მქონე პირები) ოჯახის ექიმმა უნდა გაითვალისწინოს პაციენტის საკარანტინე სივრცეში გადაყვანის შესაძლებლობა და აცნობოს ამის შესახებ სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

5.6. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სსიპ 112-თვის (პირველი მოპასუხე) მიმართვისა და ჰოსპიტალში (მეორე მოპასუხე) განთავსებისას მოსარჩელეს აღნიშნებოდა შემდეგი სიმპტომები: ყელის ტკივილი, საერთო სისუსტე, 37 გრადუსი ტემპერატურა, ცხელება, ლეზინება და ფალარათი. კორონა ვირუსის სადიაგნოსტიკო ტესტირებისას შედეგი იყო – საექვო. დადგენილია, რომ მოსარჩელე ცხოვრობს ოჯახთან ერთად და ჰყავს მცირეწლოვანი შვილები. ამასთან, მოსარჩელეს ჰქონდა ქრონიკული თანმხლები დაავადება – შაქრიანი დიაბეტი. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების განევა ეფუძნება სარგებლის მოტანისა და ზიანის არმიყენების ძირითად პრინციპებს, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა პაციენტს COVID-19-ზე საექვო სიმპტომებით და გამართლებული იყო მის მიმართ ტრიაჟის განხორციელება ჰოსპიტალში გადაყვანის გზით.

5.7. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია, მისი საკარანტინე სივრცეში მოთავსებით, უკანონოდ თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე და საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ „ადამიანის თავისუფლება“ გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას, თავი-

სუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მასში ჩარევა შესაძლებელია მკაცრი კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლებო თვითნებობისაგან. კონსტიტუციურსამართლებრივი შემომნების სიმკაცრის ხარისხს ზრდის ის გარემოებაც, რომ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა – თავისუფლების აღკვეთა, აფერხებს და ზოგჯერ სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-6).

5.8. ადამიანის ფიზიკური თავისუფლების სფერო არ სარგებლობს აბსოლუტური დაცვით. პიროვნების დაკავება, დაპატიმრება, თავისუფლების აღკვეთა თუ მისი სხვაგვარი შეზღუდვა გამართლებულია საჯარო ინტერესის თვალსაზრისით, თუმცა, ჩარევა უნდა ხორციელდებოდეს სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სამართლის უზენაესობის პრინციპების სრული დაცვით, რათა ადამიანის თავისუფლება არ გახდეს ვინმეს თვითნებობის მსხვერპლი (*Engel and others v. The Netherlands* (საჩივარი №5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72), 08.06.1976წ., §58; *Bozano v. France* (საჩივარი №9990/82), 18.12.1986წ., §54; *Assanidze v. Georgia* (საჩივარი №71503/01), 08.04.2004წ., §175). თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს ნორმატიულად განსაზღვრულ საფუძველს, როდესაც სახელმწიფოს ჩარევის უფლება ენიჭება.

5.9. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, იზოლაცია ხორციელდება კორონავირუსის გავრცელების რისკის აღკვეთის მიზნით, კორონავირუსზე საეჭვო ან მაღალი რისკის მატარებელი პირების მიმართ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იზოლაცია შეიძლება მოხდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საკარანტინე სივრცეში (კარანტინი) ან თავად ამ პირის მიერ უზრუნველყოფილ სივრცეში (თვითიზოლაცია). ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საკარანტინე სივრცეებში შესაბამისი პირების გადაყვანას ახორციელებს სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანხლებით. ამავე დადგენილების მე-

18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის გაგრძელდეს პაციენტების მკურნალობა სპეციალურად შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში. აღნიშნული დადგენილების (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) მე-2 დანართის თანახმად, მოპასუხეები მეორე მოპასუხე ჰოსპიტალი და მესამე მოპასუხე – სამედიცინო ცენტრი წარმოადგენდნენ ახალი კორონავირუსით (SARSCoV-2) გამონეული ინფექციის (COVID-19) სამართავად მობილიზებული კლინიკებს. ამდენად, მოსარჩელის იზოლაცია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საკარანტინე სივრცეში არ შეიძლება შეფასდეს ფიზიკური თავისუფლების უკანონო შეზღუდვად.

6. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

6.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

6.2. კასატორის პრეტენზიის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და არ პასუხობს იმ ფაქტებს, თუ სამართლებრივ პოზიციებს, რომელზეც მოსარჩელე აფუძნებს თავის სასარჩელო მოთხოვნას;

6.3. კასატორის განმარტებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარებამ ის გადაიყვანა მეორე მოპასუხე ჰოსპიტალში, სადაც ტემპერატურის არსებობის გამო ჩაუტარდა „კოვიდ 19-ის“ მაიდენტიფიცირებელი პსრ ტესტი. ტესტის პასუხამდე ის იმყოფებოდა კლინიკაში სხვა კოვიდ პაციენტებთან ერთად;

6.4. შპს „მ. დ-ას“ მიერ ჩატარებული ვირუსის სადეტექციო ტესტის თანახმად, რომელიც გაიცა 2020 წლის 12 ივნისს, ტესტის პასუხად მიითითებულია „საეჭვო“. 2022 წლის 12 ივნისს ღამის 04:00 საათზე თარიღით გაცემულია ფორმა № 100 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მეორე მოპასუხის – ჰოსპიტალის უფლებამოსილი პირი უთითებს, რომ გაკეთდა პსრ ტესტი, რაც დადებითია, ფრჩხილებში კი გაკეთებულია მითითება „საეჭვო“. მისივე რეკომენდაციაში მითითებულია, რომ პაციენტი გადადის პროფილურ სტაციონარში. ამასთან, ზეპირ საუბრებში მოსარჩელეს განემარტა, რომ მისი ტესტის ნიმუშები გადაიგზავნებოდა ლუგარის ლაბორატორიაში. შესაბამისად, მას ჰქონდა ვარაუდი, რომ მის ტესტს შეაფასებდა აკრედიტირებული ცენტრი. ასევე, მოსარჩელეს და მის ოჯახს არ ჰქონია კონტაქტი კოვიდ ინფიცირებულთან, შესაბამისად, მისთვის არ იყო სავარაუდო კოვიდინფიცირება;

6.5. 2020 წლის 12 ივნისს კასატორი გადაიყვანეს პროფილურ სამედიცინო დანესებულებაში. მნიშვნელოვანია, რომ მისი ტრანსპორტირება მოხდა დადასტურებულად კოვიდ ინფიცირებულ პაციენტთან ერთად მაშინ, როდესაც მოსარჩელის ტესტის პასუხი იყო „საეჭვო“. კასატორის შეფასებით, მეორე მოპასუხემ – ჰოსპიტალმა დაარღვია მოვლისა და განთავსების წესები, შემდეგ კი არ მოხდა მისი კვალიფიციური დიაგნოსტირება, ტესტის პასუხის გადამოწმება ან სხვა ქმედება. მეორე მოპასუხემ მოსარჩელის კოვიდ ინფიცირებულთან ერთად ტრანსპორტირებით დაარღვია ტრანსპორტირების წესები. მოპასუხეთა ქმედებებით საფრთხე შეექმნა მოსარჩელის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ვინაიდან არის შშპ პირი და აქვს შაქრიანი დიაბეტი, რაც კოვიდ ინფექციის მკურნალობისას რისკ ჯგუფს წარმოადგენს;

6.6. 2020 წლის 13 ივნისს მესამე მოპასუხის – სამედიცინო ცენტრის მიერ გაცემული ფორმა №100-ით ირკვევა, რომ ვირუსი არის დაუზუსტებელი, ხოლო ტესტის პასუხი არის უარყოფითი;

6.7. მიუხედავად უარყოფითი ტესტის პასუხისა, კასატორი, ვინაიდან ის კოვიდ პაციენტებთან ერთად იმყოფებოდა პალატაში და იყო დადასტურებული კოვიდ შემთხვევის კონტაქტი, პროტოკოლის თანახმად, გადაიყვანეს 14 დღიან კარანტინში.

6.8. კასატორი არ იზიარებს სასამართლოს მსჯელობას, რომლითაც არ დადგინდა, რომ მოსარჩელეს მეორე მოპასუხესთან – ჰოსპიტალში განთავსებამდე ახალი კორონავირუსის დადასტურებულ ან შესაძლო შემთხვევასთან კონტაქტი არ ჰქონია. სასამართლოს შეფასებით აღნიშნული იყო მოსარჩელის სუბიექტური ვარაუდი, შესაბამისად, მისი დადგენა შეუძლებელი იყო. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კოვიდ ტესტის პასუხი საბოლოოდ იყო უარყოფითი, ასევე არც მის ოჯახის წევრები დაინფიცირებულან კოვიდ ვირუსით. შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო ემსჯელა ობიექტური სტანდარტით, რის შესაძლებლობასაც საქმის გარემოებები იძლეოდა, თუმცა თავი აარიდა ვითარების სრულყოფილ შეფასებას;

6.9. კასატორის მორიგი პრეტენზიის თანახმად, სასამართლომ არ დაადგინა, რომ მოსარჩელე იყო თვითდასაქმებული და კოვიდ სასტუმროში ყოფნისას ვერ შეძლო მუშაობა, შესაბამისად შემოსავლის მიღება. ამ ნაწილში სასამართლომ დაუშვებლად ცნო წარდგენილი მტკიცებულებები, რასაც არ ეთანხმება კასატორი. სასამართლომ არ შეაფასა შემდეგი გარემოებები: 1) განმეორებითი ტესტის ჩატარება ვისი მოთხოვნით მოხდა; 2) სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობის ფაქტი. სასამართლომ ასევე არ შეაფასა მოპასუხეთა კონკრეტული ქმედებები;

6.10. კასატორის მოსაზრებით სასამართლომ არასრულყოფილად შე-

აფასა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილი, რომელშიც აღნიშნა, რომ მორალური ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს, ვინაიდან პაციენტს კოვიდ ინფექცია არ შეხვედრია;

6.11. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ იმსჯელა მთავარ გარემოებებზე, როგორებიცაა: 1) საექვო კოვიდ შემთხვევის მართვა; 2) გამართლებულია თუ არა საექვო კოვიდ შემთხვევის მქონე პირის განთავსება სხვა პირებთან ერთად, რომლებსაც აქვთ დადასტურებული კოვიდ ინფექცია. სასამართლომ მიუთითა სამოქმედო პროტოკოლზე და განმარტა საექვო კოვიდ შემთხვევა, თუმცა არ იმსჯელა მოსარჩელის მოთხოვნაზე;

6.12. კასატორის განმარტებით, მოსარჩელის კოვიდ ინფიცირებულ პაციენტთან ერთად ტრანსპორტირებამ და განთავსებამ, მოსარჩელეს შეუქმნა ვარაუდი, რომ იყო კოვიდინფიცირებული, რის შემდეგაც გაუჩნდა შიში, როგორც საკუთარი სიცოცხლის, ასევე ოჯახის წევრების, შვილების გამო.

6.13. კასატორმა ასევე მიუთითა ჯანდაცვის სამინისტროს 2020 წლის 24 მარტის №01-119 ობრძანებით დამტკიცებულ „ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის კლინიკური მართვა“ – კლინიკური მართვის სახელმწიფო სტანდარტი 27-ე გვერდზე არსებულ ჩანაწერზე „C VI-19-ზე საექვო და დადასტურებული შემთხვევები იზოლირებულ უნდა იყვნენ შესაბამის ჰოსპიტალში, ეფექტიანი იზოლაციის და პრევენციის წესების დაცვით. „C VI-19-ზე“ საექვო პაციენტების მკურნალობა და მოვლა უნდა მოხდეს ერთადგილიან პალატაში. „C VI-19-ზე დადასტურებული რამდენიმე პაციენტი კი შესაძლოა მოთავსდეს ერთ პალატაში“;

6.14. კასატორის შეფასებით, მოპასუხებმა დაარღვიეს აღნიშნული ნორმები, კოვიდ ინფიცირების საფრთხის წინაშე დააყენეს მოსარჩელე და კარანტინში მოთავსებით უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება;

6.15. კასატორის მორიგი პრეტენზიის თანახმად, თავისუფლების უკანონო აღკვეთის გამო მან დაკარგა შემოსავალი, ვინაიდან 2020 წლის 10 აპრილიდან დასაქმებული იყო და, ვ. ბ-თან ერთად, ზ. ლ-ის ბინებში ასრულებდა ბინის სარემონტო სამუშაოებს. სამუშაოების შესრულების ვადა 2020 წლის 25 ივლისამდე იყო, რაშიც ანაზღაურების სახით უნდა მიეღოთ 16 000 ლარი (სარჩელს ერთვის მოსარჩელესთან ერთად თვითდასაქმებული პირის – ვ. ბ-ის და ზ. ლ-ის, რომელთანაც მოსარჩელე სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა, მიერ გაცემული სანოტარო წესით დამონებული ცნობები). თუმცა მოპასუხეთა ქმედებების გამო, 2020 წლის 11 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით, მოსარჩელემ ვერ შეძლო სამუშაო ადგილზე გამოცხადება და ვერ აიღო გაცდენილი დღეების

საფასური 1132 ლარი;

6.16. კასატორის განმარტებით, მოპასუხეების უკანონო ქმედებების შედეგად საფრთხე შეექმნა მოსარჩელის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. გარდა ამისა, მას შეეზღუდა ფიზიკური თავისუფლება 15 დღით. აღნიშნულის შედეგად კი განიცადა მძიმე სულიერი ტკივილი და ტანჯვა, შესაბამისად მოპასუხეებს, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მორალური ზიანის – 50 000 ლარის ანაზღაურება.

6.17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე არსებითად განხილვის მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და დაასკვნა, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და, ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს მეორე და მესამე მოპასუხეების მიმართ მხოლოდ მატერიალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში. დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი (შესაბამისად – სარჩელი), როგორც ფაქტობრივ-სამართლებრივად უსაფუძვლო არ უნდა დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, როგორც კანონიერი და დასაბუთებული მართლმსაჯულების აქტი.

7. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

8. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქვედგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმეზე გამოკვლეული და დადგენილად მიჩ-

ნეული ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 4.1.1.-4.1.7 ქვეპუნქტები) სავსებით საკმარისია შემადგამებელი გადაწყვეტილების მისაღებად.

9. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატიური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2003, გვ.64) – შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-

2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ; №ას-1027-2020, 27.11.2020წ; №ას-634-2021, 4.11.2021წ; №ას-1363-2021, 5.04.2022წ; №ას-1183-2022, 23.12.2022წ; №ას-1572-2022, 5.05.2023წ.; №ას-1449-2023, 9.02.2024წ.; №ას-1044-2022, 17.10.20204წ.; №ას-313-2024, 8.11.2024წ.; №ას-852-2024, 22.11.2020წ.; №ას-1038-2024, 11.10.2024წ.; №ას-1324-2024, 13.12.20204წ.; №ას-1202-2024, 13.12.2024წ.; №ას-24-2024, 26.12.2024წ.).

10. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998-ე (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები); 463-ე (თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის ფულევა, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.) 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისთვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) და 413-ე (არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც) მუხლებიდან.

11. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მხოლოდ იმ პრეტენზიას, რომ დაირღვა მისი, როგორც პაციენტის, მოვლისა და განთავსების წესები. კერძოდ, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს 2020 წლის 10 ივნისს ჰქონდა ყელის ტკივილი, ტემპერატურის მატება და საერთო სისუსტე. მეორე დღეს – 2020 წლის 11 ივნისს იმავე სიმპტომების არსებობის გამო, მან გამოიძახა სსიპ 112-ის ბრიგადა (პირველი მოპასუხე). სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მისვლისას, პაციენტის ტემპერატურა იყო 37 გრადუსი, უჩიოდა ცხელებას, ლებინებას, ფალარათს, სისუსტეს, რაც, მოსარჩელის განცხადებით, დაიწყო ერთი დღით ადრე და თვითონ უკავშირებდა საკვების მიღებას. 2020 წლის 11 ივნისს სამედიცინო ბრიგადამ მოსარჩელე გადაიყვანა მეორე მოპასუ-

ხესთან – ჰოსპიტალში, სადაც სხვა დიაგნოსტიკურ გამოკვლევებთან ერთად ჩაუტარდა „Covid 19“-პსრ კვლევა, რომლის პასუხია დადებითი (საეჭვო) (იხ. სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100ა, ცნობა №4885; შპს „მ. დ-ას“ Covid 19-ის ტესტის პასუხი – საეჭვო);

12. ჰოსპიტალიდან (ცხელების ცენტრიდან/მეორე მოპასუხე) 2020 წლის 12 ივნისს, 04:00 საათზე, მოსარჩელე გადაიყვანეს მესამე მოპასუხესთან – სამედიცინო ცენტრში“] (პროფილური სტაციონარი). დადგენილია, რომ მოსარჩელის ტრანსპორტირება მოხდა ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებულ პაციენტთან ერთად. მოსარჩელის ტრანსპორტირება განხორციელდა დიაგნოზის კოდით B34.2 (კორონავირუსით გამოწვეული ინფექცია დაუზუსტებელი). მესამე მოპასუხესთან – სამედიცინო ცენტრში მოსარჩელე თავდაპირველად განთავსდა იმავე ინფიცირებულ პაციენტთან ერთად. მოსარჩელესა და ინფიცირებულ პაციენტს შორის არ არსებობდა ფიზიკური ბარიერი;

13. მოსარჩელეს 2020 წლის 12 ივნისს განმეორებით ჩაუტარდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) სადეტექციო გენეტიკური (PCR) ტესტი. 2020 წლის 13 ივნისს მოვიდა ტესტის პასუხი – უარყოფითი. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელეს განუმარტეს, რომ მისი ტრანსპორტირება და ჰოსპიტალიზაცია მოხდა ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებულ პაციენტებთან ერთად და შესაბამისად, აუცილებელი იყო მისი 14-დღიანი იზოლაცია. 2020 წლის 13 ივნისს მოსარჩელე სპეციალური ავტომობილით გადაიყვანეს ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც იგი კარანტინში იყო 2020 წლის 26 ივნისის ჩათვლით (14 დღე);

14. სპეციალურ სასტუმროში განთავსებიდან (13.06.2020) მე-13 დღეს მოსარჩელეს ჩაუტარდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) სადეტექციო გენეტიკური (PCR) ტესტი და პასუხი კვლავ უარყოფითი იყო. მიუხედავად კოვიდინფიცირებულ პაციენტთან ერთად ტრანსპორტირებისა და ჰოსპიტალიზაციისა, დადგენილია, რომ მოსარჩელე არ დაინფიცირებულა ახალი კორონავირუსით (COVID-19);

15. საკასაციო სასამართლო, წინამდებარე გადაწყვეტილების 11-14 პუნქტებში მითითებული, საქმეზე დადგენილი გარემოებების საფუძველზე, არ იზიარებს პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოების შეფასებას, რომ არ დარღვეულა მოსარჩელის/კასატორის მიმართ მოვლისა და გადაყვანის წესი. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნული საკითხის შეფასებისას გაითვალისწინეს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლის 1-ელი „იზოლაცია ხორციელდება კორონავირუსის გავრცელების რისკის აღკვეთის მიზნით, კორონავირუსზე საეჭვო ან მაღალი რისკის მატარებელი პირების მიმართ“,

მე-2 „იზოლაცია შეიძლება მოხდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საკარანტინე სივრცეში (კარანტინი) ან თავად ამ პირის მიერ უზრუნველყოფილ სივრცეში (თვითიზოლაცია)“, მე-8 „საკარანტინე სივრცეებში შესაბამისი პირების გადაყვანას ახორციელებს სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანხლებით“ პუნქტები. ასევე, ამავე დადგენილების მე-18 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისთვის გაგრძელდეს პაციენტების მკურნალობა სპეციალურად შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში. აღნიშნული დადგენილების (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) მე-2 დანართის თანახმად, მეორე (ჰოსპიტალი) და მესამე (სამედიცინო ცენტრი) მოპასუხეები წარმოადგენენ ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონვეული ინფექციის სამართავად მობილიზებულ კლინიკებს.

16. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მართალია, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, პირველ, მეორე, მერვე, მეთერთმეტე და მეთვრამეტე მუხლებზე, თუმცა არ შეუფასებია აღნიშნული დადგენილების (სადავო პერიოდში მოქმედი) მე-11 მუხლით დადგენილი ფიზიკურ პირთა იზოლაციაში ან კარანტინში გადაყვანის წესები, კერძოდ, რამდენად იყო დაცული, პაციენტის კარანტინში გადაყვანის/ტრანსპორტირების წესები. კერძოდ, მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად – ამ თავის მიზნებისთვის, იზოლაცია ხორციელდება კორონავირუსის გავრცელების რისკის აღკვეთის მიზნით, კორონავირუსზე საეჭვო ან მაღალი რისკის მატარებელი პირების მიმართ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ ამ თავის მიზნებისთვის, იზოლაცია შეიძლება, მოხდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ საკარანტინე სივრცეში (კარანტინი) ან თავად ამ პირის მიერ უზრუნველყოფილ სივრცეში (თვითიზოლაცია). ამავე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, იზოლაციამდე (კარანტინი, თვითიზოლაცია) ფიზიკური პირი ხელს ანერს ინფორმირების ფორმას (დანართი №). ხელმოწერაზე უარის შემთხვევაში, ფორმაში კეთდება შესაბამისი შენიშვნა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. მე-11 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, იზოლაციამდე პირს განემარტება/გადაეცემა შესაბამისი ინფორმაცია მისი უფლება-მოვალეობების შესახებ, რომელიც უნდა დაიცვას იზოლაციის ან/და კარანტინში ყოფნის პერიოდში.

17. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ კასატორი 2020 წლის 11 ივნისს სამედიცინო ბრიგადამ გადაიყვანა მეორე მოპასუხესთან – ჰოსპიტალში, სადაც, სხვა დიაგნოსტიკურ გამოკვლევებთან ერთად, ჩაუტარდა Covid 19 - პსრ კვლევა, რომლის პასუხია დადებითი (საეჭვო); დადგენილია, რომ მოსარჩელის ტრანსპორტირება მოხდა ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებულ პაციენტთან ერთად. მოსარჩელის ტრანსპორტირება განხორციელდა დიაგნოზის კოდით B34.2 (კორონა-ვირუსით გამოწვეული ინფექცია დაუზუსტებელი). მესამე მოპასუხესთან – სამედიცინო ცენტრში მოსარჩელე თავდაპირველად განთავსდა იმავე ინფიცირებულ პაციენტთან ერთად, ვისთანაც ერთად მისი ტრანსპორტირება მოხდა. მოსარჩელესა და ინფიცირებულ პაციენტს შორის არ არსებობდა ფიზიკური ბარიერი;

18. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კოვიდ-19-ის მარეგულირებელ აქტებში მითითებული სტანდარტების საფუძველზე, პირველი მოპასუხის – სისპ 112-ის მიერ საეჭვო სიმპტომების მქონე პაციენტის გადაყვანა მეორე მოპასუხესთან – ჰოსპიტალში მართებული იყო, შესაბამისად, პირველი მოპასუხის მოვალეობა და ფუნქციები ამით დასრულდა და ის ვერ იქნება პასუხისმგებელი სასარჩელო მოთხოვნაზე, რაც შეეხება მეორე და მესამე მოპასუხეების ქმედებებსა და მათ პასუხისმგებლობას, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი გარემოებების მიხედვით, კოვიდ-ინფექციის მსგავსი სიმპტომების გამოვლენის შემდეგ მეორე მოპასუხესთან ჰოსპიტალში გადაყვანილ მოსარჩელეს, რომელსაც ჰოსპიტალში ჩაუტარდა დიაგნოსტიკა და რომლის მიერ გაცემულ ცნობაში მიეთითა, რომ დაუდასტურებელია (საეჭვოა) დიაგნოზი, არ მიეცა ის განმარტებები, რაც წინამდებარე გადანყვეტილების მე-16 პუნქტშია ასახული და „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, მე-11 მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, იზოლაციამდე (კარანტინი, თვითიზოლაცია) ფიზიკური პირის მიერ ინფორმირების ფორმაზე ხელმოწერას ან ასეთზე უარის შემთხვევაში, შესაბამისი შენიშვნის გაკეთებას მოიცავს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. ამავე დადგენილების მე-11 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, იზოლაციამდე პირს განემარტება/გადაეცემა შესაბამისი ინფორმაცია მისი უფლება-მოვალეობების შესახებ, რომელიც უნდა დაიცვას იზოლაციის ან/და კარანტინში ყოფნის პერიოდში.

19. მეორე მოპასუხესთან მოთავსების შემდეგ კოვიდ-ინფექციაზე დაუდასტურებელი დიაგნოზით დაირღვა პაციენტის დადგენილი წესით ინფორმირებისა და ტრანსპორტირების წესი, ვინაიდან მოსარჩელე, რომელსაც არ ჰქონდა დადასტურებული კოვიდინფექცია და დიაგნოზი იყო საეჭვო, გადაიყვანეს კლინიკაში ახალი კორონავირუსით

(COVID-19) ინფიცირებულ პაციენტთან ერთად. მით უმეტეს, რომ პაციენტი მის სიმპტომებს უკავშირებდა საკვებით მონამვლას, ასევე არც მას და არც მის ოჯახის წევრებს არ ჰქონიათ კონტაქტი დადასტურებულად კოვიდინფექციის მქონე პირებთან, შესაბამისად არ წარმოადგენდნენ კორონავირუსზე საეჭვო ან მაღალი რისკის მატარებელ პირებს. აქედან გამომდინარე ის გარემოება, რომ საბოლოოდ მოსარჩელეს/კასატორს არ დაუდგინდა კორონავირუსით ინფიცირება არ ათავისუფლებს მეორე და მესამე მოპასუხეებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

20. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მეორე და მესამე მოპასუხეებმა დაარღვიეს ფიზიკური პირის ინფორმირების (ფიზიკური პირის ინფორმირების წესზე არც ერთი მტკიცებულება არ არის საქმეში წარმოდგენილი), მოვლისა და განთავსების წესები, ვინაიდან პაციენტი, რომელსაც არ ჰქონდა დადასტურებული კოვიდინფექცია (ტესტის პასუხი – საეჭვო), განათავსეს ინფიცირებულ პაციენტთან ერთად, რომელთა შორისაც არ არსებობდა ფიზიკური ბარიერი. შესაბამისად, მოსარჩელეს, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ არ დაუდგინდა კოვიდის ვირუსი, დადასტურებული დიაგნოზით კოვიდინფიცირებულ პირთან ტრანსპორტირებისა და მასთან კონტაქტის გამო, წარმოექმნა ფაქტობრივი წინაპირობა, რამაც იმხანად მოქმედი კოვიდრეგულაციების მიხედვით განაპირობა მისი იზოლაციაში ყოფნა, რის გამოც ვერ იმუშავა, როგორც თვითდასაქმებულმა პირმა და ვერ მიიღო ის მატერიალური შემოსავალი, რომელსაც არც ერთი მოპასუხე არ შედავებია.

21. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 24 მარტის ბრძანების დანართში – ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა – კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) მითითებულია, რომ – COVID-19-ზე საეჭვო და დადასტურებელი შემთხვევები იზოლირებული უნდა აიყვანნენ შესაბამის ჰოსპიტალში, ეფექტიანი იზოლაციის და პრევენციის წესების დაცვით. COVID-19-ზე საეჭვო პაციენტების მკურნალობა და მოვლა უნდა მოხდეს ერთადგილიან პალატაში. COVID-19-ზე დადასტურებული რაოდენიმე პაციენტი კი შესაძლოა მოთავსდეს ერთ პალატაში. (აღნიშნული პროტოკოლის მე-7 პუნქტში მითითებულია – პროტოკოლის გამოყენება იწყება შესაბამისი სერვისის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტის მმართველისთანავე). განსახილველ შემთხვევაში კი, მოსარჩელე, რომლის ტესტის პასუხიც იყო საეჭვო, მეორე მოპასუხის (ჰოსპიტალი) მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე გადაიყვანეს და მოათავსეს დადასტურ-

რებულად კოვიდინფიცირებულ პაციენტთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ პროტოკოლი ითვალისწინებდა მის ერთადგილიან პალატაში მოთავსებას.

22. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გამოვლენილია მეორე და მესამე მოპასუხეების მიერ სსკ-ის 992-ე, 998-ე, 463-ე, 408.1, 409-ე მუხლებით დადგენილი ფაქტობრივი წინაპირობები, კერძოდ, კასატორის/მოსარჩელისათვის სავალდებულო იზოლაციის წინაპირობების ბრალეული გაუფრთხილებლობით შექმნით, რაც გამონვეულია მეორე და მესამე მოპასუხეების მიერ გლობალური პანდემიის პერიოდში მოქმედი მარეგულირებელი წესების დარღვევით. მოსარჩელე კოვიდინფიცირებულ პაციენტთან ერთად მეორე მოპასუხის – ჰოსპიტალის ცნობის საფუძველზე (დაუდასტურებელი დიაგნოზით) მესამე მოპასუხესთან (სამედიცინო ცენტრში) გადამისამართებული იქნა, რა დროსაც როგორც ტრანსპორტირების (ტრანსპორტირების საჭიროებაზე სსიპ-112-მა /პირველმა მოპასუხემ/ ჰოსპიტალიდან მიიღო შეტყობინება, შესაბამისად, პირველი მოპასუხის კომპეტენციაში არ შედიოდა მეორე მოპასუხის ცნობაში მითითებული დიაგნოზის გადამონმება) დროს, ისე სამედიცინო/ცხელების ცენტრში მიყვანის შემდეგაც გარკვეული პერიოდი მოსარჩელე იმყოფებოდა დადასტურებულ კოვიდინფიცირებულ პირთან. იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო ცენტრში ტრანსპორტირებამდე, მოპასუხე ჰოსპიტალი კოვიდის საეჭვო დიაგნოზის მქონე პაციენტისათვის, როგორც ეს მის მიერვე გაცემული ცნობის მიხედვითაა დადგენილი, არ გამოიყენებდა იმ ტრანსპორტს, რომლითაც დადასტურებული კოვიდინფიცირებული პაციენტი გადაჰყავდათ, შესაძლოა, მხოლოდ მესამე მოპასუხის – სამედიცინო/ცხელების ცენტრის პასუხისმგებლობა დამდგარიყო, ხოლო ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა გამოირიცხებოდა მაშინ, თუ მასთან მიყვანილ პაციენტს, დადგენილი წესის მიხედვით, დაუყოვნებლივ განათავსებდა დამოუკიდებელ პალატაში. შესაბამისად, მეორე და მესამე მოპასუხეთა გაუფრთხილებელმა ქმედებებმა, დადგენილი რეულაციების ზედმინვენით შეუსრულებლობამ გამოიწვია ის, რომ კოვიდინფიცირებულ პაციენტთან კონტაქტის გამო, სავალდებულო იზოლაციაში გადაყვანათ მოსარჩელე, რომელმაც, როგორც თვითდასაქმებულმა, ვერ მიიღო მატერიალური შემოსავალი 1132 ლარის ოდენობით, რაზედაც მეორე და მესამე მოპასუხეები სოლიდარულად არიან პასუხისმგებლები. იმხანად მოქმედი რეულაციების მიხედვით, იმ პირობებში, როდესაც საჯაროდ ცხადდებოდა, რომ ერთ ოჯახში მცხოვრები პირები ავტომანქანაშიც კი არ შეიძლებოდა გვერდიგვერდ დამსხდარიყვნენ (დაუშვებელი იყო მგზავრის განთავსება მძღოლის გვერდით, ხოლო მოგვიანებით, ავტომანქანის უკანა სავარძელზე – ორ პირზე მეტი არ დაიშვე-

ბოდა), ცხადია, რომ დადასტურებულად კოვიდინფიცირებულ პაციენტთან ერთად დაუდასტურებელი/საეჭვო დიაგნოზის მქონე პაციენტის, რომელიც, თავისი სამედიცინო ანამნეზით, როგორც შაქრიანი დიაბეტის მქონე და შშმ პირი, რისკ-ჯგუფს განეკუთვნებოდა, მეორე მოპასუხისათვის – ჰოსპიტალისათვის, მისივე ჩატარებული სამედიცინო კვლევისა და მის მიერვე გაცემული სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, სრულიად მოსალოდნელი და სავარაუდო იყო ის შედეგი, რომ კოვიდინფიცირებულ პირთან ერთად მოსარჩელის ტრანსპორტირება, პირდაპირ ზრდიდა რისკს და, სულ მცირე, როგორც უკვე ინფიცირებულ პირთან კონტაქტის მქონეს, შემდეგ აუცილებლად წარმოუშობდა იზოლაციის ფაქტობრივ საფუძველს. საკასაციო სასამართლოს შეფასებით საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, გამოვლენილია მეორე და მესამე მოპასუხეების დელიქტური პასუხისმგებლობის ყველა კომპონენტი და სავალდებულო ელემენტი. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ მესამე მოპასუხის – სამედიცინო ცენტრის შემთხვევაშიც, დადგენილია, რომ სამედიცინო ცენტრმა მასთან მიყვანილი დადასტურებულად ინფიცირებული და საეჭვო/დაუდასტურებელი პაციენტები ყოველგვარი გამყოფი ბარიერის გარეშე დააყოვნა, რითაც დაუდასტურებელი დიაგნოზის მქონე მოსარჩელეს, როგორც კოვიდინფიცირებულთან კონტაქტში მყოფს, წარმოეშვა იზოლაციის წესებისადმი დამორჩილების იმხანად დადგენილი საფუძველი. ამდენად, კასატორის ეს პრეტენზია არ არის ჰოპოთეტურ ვარაუდებზე დამყარებული, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები, წარმოადგენს საქმეზე ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სავსებით საკმარისია საკასაციო საჩივრის მხოლოდ ამ ნაწილის გაზიარებისთვის, რის გამოც, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სახეზეა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია დელიქტური ვალდებულება. რაც გულისხმობს, რომ პირს ვალდებულება ზიანის მიყენების (დელიქტის) შედეგად წარმოეშობა. ამავე კოდექსის სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებუ-

ლი ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი) (სუსგ №ას-751-751-2018, 15.10.2020 წ.) „გენერალური დელიქტის“ ერთ-ერთი მთავარი პირობა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. თუკი ასეთი ქმედება არ არსებობს, მაშინ დელიქტის შემადგენლობის სხვა წინაპირობების შემოწმება ზედმეტია. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. არის თუ არა მოქმედება მართლსაწინააღმდეგო, ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეამოწმოს სასამართლომ. მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ: ა. იგი ობიექტურად მიმართულია რომელიმე კანონისმიერი ამკრძალავი ნორმის წინააღმდეგ; ბ. თუ მოქმედება არღვევს სხვა ვალდებულებებს, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს; გ. თუ მოქმედება არღვევს საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, პირად უფლებებს) (იხ. სუსგ-ები: №ას-506-480-2015, 29.07.2016წ; №ას-150-2019, 8.06.2020წ.; №ას-912-2021, 08.02.2022წ; №ას-1285-2018, 1.04.2022წ; №ას-1614-2022, 1703.2023წ; №ას-934-2023, 3.10.2024წ; №ას-1530-2024, 31.01.2025წ.).

24. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველი შემთხვევა სრულიად აკმაყოფილებს დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს, სახეზეა დელიქტური ვალდებულების წარმოშობისთვის საჭირო კუმულაციური ელემენტები. კერძოდ, მეორე და მესამე მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო (იმხანად მოქმედი კოვიდრეგულაციების დარღვევის სახით) და გაუფრთხილებელი ბრალეული ქმედება, რომელიც გამოიხატა კასატორის როგორც COVID-19-ზე საექვო პაციენტი მოვლა/განთავსების წესის დარღვევაში, რის გამოც კასატორს, საბოლოოდ ინფიცირებაზე უარყოფითი ტესტის პასუხისა, მოუწია 14 დღიან კარანტინში გადასვლა, რის შედეგადაც, მან ვერ შეასრულა ანაზღაურებადი სამუშაო, ვერ აიღო 14 დღის ანაზღაურება, რაც მისთვის მიყენებული ფაქტობრივი მატერიალური ზიანია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობს მიზეზშედეგობრივი კავშირი, მეორე და მესამე მოპასუხეების ქმედებასა და დამადგარ შედეგს შორის.

25. სსკ-ის 998-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები; აღნიშნული ნორმა გულისხმობს, რომ პირისთვის ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრებისთვის უნდა არსებობდეს ორი ან რამდენიმე პირის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ზიანი. (იხ. სუსგ-ები – №ას-848-2022 30.09.2022წ.; №ას-620-2022 30.05.2023წ.; №ას-615-2023, 27.07.2023წ.;

№ას-932-2020, 30.11.2023წ.; №ას-1622-2023, 20.06.2024წ.) საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დამდგარ შედეგზე პასუხისმგებელი პირები არიან მეორე და მესამე მოპასუხეები, რომელთაც სოლიდარულად უნდა დაეკისროთ დელიქტით მიყენებული ზიანის – 1132 ლარის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ.

26. სსკ-ის 463-ე „თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს“ მუხლებით განსაზღვრული წინაპირობების განხორციელების შემომტობას მოითხოვს, რადგან სსკ-ის 464-ე მუხლებით „სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით“ და 408-ე მუხლის პირველი ნაწილით „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისთვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

27. რაც შეეხება კასატორის/მოსარჩელის მორიგ პრეტენზიას მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და დასკვნებს, შესაბამისად, ამ ნაწილში მოსარჩელის სარჩელი მართებულად არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც მატერიალურად არაფერი შეესაბამება (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვა). მორალური ზიანი სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს. ზიანის ანაზღაურებისა და გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები მხედველობაში არ მიიღება, ხოლო, როდესაც მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა და ა.შ., ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ივარაუდება, რომ დაზარალებულმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. საგულისხმოა, რომ მითითებული მუხლით დაცული სიკეთე, რომლის ხელყოფის შემთხვევაში დაზარალებულმა შეიძლება, მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, არის ადამიანის ჯან-

მრთელობის ხელყოფა, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდის სულიერ ტანჯვას, ფსიქიკურ სტრესს. სხეულის დაზიანებასა ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში კი, უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხელყოფს დაზარალებულის სხეულს ან მისი ორგანიზმის შინაგან პროცესებს. ამასთან, სულიერი/მორალური ტკივილით მიყენებული ზიანი შესაძლებელია ანაზღაურდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სიცოცხლის და ნამების აკრძალვის უფლებების ხელყოფის შემთხვევებშიც (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანწყვეტილება საქმეზე სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ; საჩივარი №58240/08; პარ. 96).

28. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადანწყვეტილებაში განმარტა, რომ „საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას. სამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. განსახილველი ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და ნესრიგი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხასიათი უნდა შეფასდეს ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოებების, ასევე დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (მაგ. ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, პროფესია), აგრეთვე სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს, თუ რა სიმძიმის ტანჯვა განიცადა დაზარალებულმა. შესაბამისად, მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც სახეზეა ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც ნენი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურ-

რებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად არ ისახავს მიყენებული ზიანის სრულ რესტიტუციას, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი.“ (იხ. სუსგ. №ას-1444-2022, 22.12.2023წ.)

29. ყოლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა, რომ დაზარალებულმა ვერ დაადასტურა, რომ ახალი კორონავირუსით ინფიცირების რისკის და კარანტინში ყოფნის დროს ისეთი ძლიერი ფსიქიკური განცდები და სულიერი ტანჯვა გადაიტანა, რაც შეიძლებოდა მოქალაქეებისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი გამხდარიყო.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობს სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი საგამონაკლისო პირობა, როგორც ეს მართებულად განმარტა სააპელაციო სასამართლომ.

31. სსსკ-ის 53.3 მუხლის საფუძველზე მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების თაობაზე იხ. წინამდებარე გადანყვეტილების საჩუბოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 411-ე, 399-ე, 372-ე, 264.3 მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გ. მ-ლის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის განჩინების ნაწილობრივ შეცვლით, მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. გ. მ-ლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. გ. მ-ლის სასარგებლოდ, შპს „თ. ზ. ჰ-სა“ და შპს „მ. ს. ც-ს“ სოლიდარულად დაეკისროთ 1132 ლარის გადახდა;
5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს, შესაბამისად,

უცვლელად დარჩეს დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის განჩინება;

6. შპს „თ. ზ. ჰ-სა“ და შპს „მ. ს. ც-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროთ სამივე ინსტანციაში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 135.6 ლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამღვარი ზიანის ანაზღაურება

გადანყვეთილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-111-2020

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2016 წლის 7 დეკემბერს, ქ. თბილისში, ა. გამზირისა და ... ქუჩის კვეთაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევისას დაზიანდა ც. შ-ას (შემდეგში: პირველი მოსარჩელე, კასატორი, დაზიანებული ავტომობილის მესაკუთრე) საკუთრებაში არსებული ავტომობილი „...“, რომელიც ამ უკანასკნელის სახელზე 2014 წლის 28 ივნისიდანაა დარეგისტრირებული.

2. ზემოაღნიშნული ავტოსაგზაო შემთხვევისას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გ. ჟ-ას (შემდეგში – პირველი მოპასუხე ან ზიანის მიმყენებელი) მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინეს, რომლითაც პირველი მოპასუხე 250 ლარით დაჯარიმდა (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე და 123-ე მუხლები).

3. „...“ მარკის ავტომობილი, რომელსაც პირველი მოპასუხე ავტოსაგზაო შემთხვევისას მართავდა, ლ. გ-ის (შემდეგში – მეორე მოპასუხე ან ავტომობილის მფლობელი) სახელზეა დარეგისტრირებული და მისი საკუთრებაა. პირველ მოპასუხეს, ხსენებული ავტომობილი თხოვების საფუძველზე ჰქონდა გადაცემული.

4. პირველმა მოსარჩელემ და გ. მ-მა (შემდეგში – მეორე მოსარჩელე) სასამართლოში სარჩელი შეიტანეს პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის წინააღმდეგ, რომლითაც, მოპასუხეთათვის, სოლიდარულად, ზიანის – 5 693 ლარისა და 2 453 ლარის დაკისრება მოითხოვეს.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით:

– სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

– გ. შ-ას, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 1 870 ლარის, ასევე ევაკუატორის მომსახურების საფასურის 39 ლარისა და საჯარიმო სადგომის ხარჯის 134 ლარის გადახდა;

– დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, ხსენებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით:

– ც. შ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

– გ. შ-ას, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 3 650 ლარის გადახდა;

– მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მოპასუხეთათვის, სოლიდარულად, 2 453 ლარის დაკისრების ნაწილში.

7.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. აქვე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი მოსარჩელე და მეორე მოსარჩელე, 2010 წლის 23 ოქტომბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ამასთან, რაკი და ზიანებული ავტომობილი პირველი მოსარჩელის სახელზე ირიცხებოდა, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ზიანზე მოთხოვნის უფლება სწორედ პირველ მოსარჩელეს წარმოეშვა.

7.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მია-

ყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 408.1 (იმ პირ-მა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებზე და აღნიშნა, რომ პირველ მოსარჩელეს (დაზიანებული ავტომობილის მესაკუთრე) უნდა ანაზღაურებოდა არა მარტო ავტონაწილების ღირებულება, არამედ მისი აღდგენისათვის საჭირო თანხები, რათა ავტომობილი პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენილიყო.

7.3. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველ მოსარჩელეს 5 520 ლარის ზიანი მიადგა, რაშიც შედიოდა, დაზიანებული ნაწილების ღირებულება – 1 870 ლარი და დეტალების დასამონტაჟებლად და მანქანის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო 3 650 ლარი.

7.4. რაც შეეხებოდა ზიანის სოლიდარულად დაკისრების საფუძვლის არსებობას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასეთი საფუძველი არ არსებობდა და თანხის გადახდა მხოლოდ პირველ მოპასუხეს უნდა დავალებოდა. ჯერ ერთი, სსკ-ის 998.1 მუხლით (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები) პასუხისმგებლობის წინაპირობაა, ზიანის დადგომაში მონაწილე პირთა ქმედებებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მეორეც, სსკ-ის 999-ე მუხლი (სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება) ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა ნივთის მფლობელს პასუხისმგებლობა არ ეკისრება (სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილები). ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა, როცა ზიანის მიმყენებელია პირი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე იყენებს (არამართლზომიერი მფლობელი), რის გამოც სამოქალაქო პასუხისმგებლობა სწორედ აღნიშნულ პირს დაეკისრება და არა – სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. მიუხედავად ამისა, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. სხვა შემთხვევაა, როდესაც სატრანსპორტო საშუალება მოსარგებლეს მფლობელის ნებით გადაეცა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება მხოლოდ პირველ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა, ვისი უშუალო მოქმედების შედეგადაც ზიანი დადგა.

8. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე საკასაციო საჩი-

ვარი შემოიტანა პირველმა მოპასუხემ, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 30 მარტის განჩინებით ხსენებული საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა, ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით პირველმა მოსარჩელემაც გაასაჩივრა, რომლის მოთხოვნაა: მეორე მოპასუხისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, მიყენებული ზიანის, მოპასუხეთათვის, სოლიდარულად დაკისრება, შემდეგი დასაბუთებით:

9.1. სსკ-ის 999.4 მუხლის შინაარსის მიხედვით, თუკი მფლობელმა მოსარგებლეს ავტომობილი სამართავად გადასცა, შესაძლოა, მოსარგებლესთან ერთად, ისიც იყოს პასუხისმგებელი, კუთვნილი ავტომობილით მიყენებული ზიანისათვის.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 2 მარტის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, პირველი მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად. 2022 წლის 7 აპრილის განჩინებით, სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო პალატამ მითითებული საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო და დაადგინა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საკასაციო პალატის მიერ განსახილველი საკითხი შემდეგია: რამდენად კანონიერია, მოსარჩელის (დაზიანებული ავტომობილის მესაკუთრე) მოთხოვნა, ზიანის ანაზღაურების მოპასუხეთათვის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც პირველ მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 870 ლარის ასევე ევაკუატორის მომსახურების საფასურის 39 ლარისა და საჯარიმო სადგომის ხარჯის 134 ლარის გადახდა, კანონიერ ძალაშია შესული, რადგან, გადაწყვეტილების ეს ნაწილი, პირველ მოპასუხეს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია (სსსკ-ის 264.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). ამავდროულად, კანონიერ ძალაშია შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც პირველ მოპა-

სუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3 650 ლარის გადახდა, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 30 მარტის განჩინებით, ხსენებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი პირველი მოპასუხის საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა (სსსკ-ის 264.2 მუხლი).

პალატა მიუთითებს სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის შინაარსით: საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, პალატისათვის ამოსავალი სწორედ კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი მოთხოვნაა. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მოთხოვნა ასეთია: სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს, მეორე მოპასუხისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილებით, მოპასუხეებს ზიანის ანაზღაურება (5520 ლარი) სოლიდარულად დაეკისროთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს კასატორისათვის ზიანის ანაზღაურება მხოლოდ გ. ჟ-ას (ზიანის უშუალო მიმყენებელი) უნდა დაეკისროს თუ, მასთან ერთად, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი მეორე მოპასუხეცაა (ავტომობილის მესაკუთრე ლ. გ-ნი).

12. კასატორის განსახილველი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი წარმოდგენილია სსსკ-ის 999.4 მუხლის მესამე წინადადებაში, ამავე კოდექსის 992-ე, 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებში.

12.1. მითითებული 999.4 მუხლის დისპოზიცია ასეთია: თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

ამდენად, სსსკ-ის 999.4 მუხლის შინაარსით: სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი, მი-

სი მფლობელია. აქედან გამონაკლისი იმ შემთხვევაში იარსებებს: 1). თუკი სატრანსპორტო საშუალებას პირი მფლობელის ნებართვის გარეშე გამოიყენებს ან 2). თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდება, მფლობელის ბრალის გამო. დასახელებულ ორივე შემთხვევაში, ზიანზე პასუხისმგებლობა იმ პირს დაეკისრება, რომლის მიერ სატრანსპორტო საშუალების გამოყენების შედეგადაც ზიანი დადგა. ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, იმ დროს, როდესაც მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან ეს სატრანსპორტო საშუალება მას მფლობელისგან გადაეცა), სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია სატრანსპორტო საშუალების მფლობელი.

12.2. რაც შეეხება სსკ-ის 992-ე მუხლის შინაარსს, ამ მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ: სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი) (იხ.: სუსგ №ას-203-2020, 24.12.202; №ას-769-737-2016, 20.06.2018; №ას-176-163-2015, 4.10.2016; №ას-1426-2018, 11.04.2019).

ზემოაღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, პირს (ზიანის მიმყენებელს) უნდა დაეკისროს, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება, შესაბამისად, დელიქტურ ვალდებულებასთან დაკავშირებით სარჩელის აღძვრისას მოსარჩელეს ევალება, სსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტის დაცვით, სათანადო უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის გზით ამტკიცოს, რომ არსებობს ზემომითითებული ყველა წინაპირობა (შდრ. სუსგ №ას-748-2020, 19.11.2020; №ას-72-72-2018, 15.02.2018; №ას-809-776-2016, 04.04.2017).

13. როგორც ზემოთ მიეთითა, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის განხილვის საკვანძო საკითხია იმ გარემოების განსაზღვრა, არსებობს თუ არა მოპასუხეთათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

დასმულ შეკითხვაზე პასუხი გამომდინარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკიდან.

საკასაციო პალატის განჩინებებსა თუ გადაწყვეტილებებში (მათ შორის, იხ. სუსგ: №ას-949-2020, 20.02.2022; №ას-1245-2020, 1.07.2021; №ას-1158-2020, 12.07.2021) განმარტებულია, რომ:

ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად გამომწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების კერძო შემთხვევაა და მიუხედავად ბრალისა, მომეტებული საფრთხის წყაროს იურიდიულ მფლობელს (რომელიც შეიძლება მესაკუთრედაც განვიხილოთ) აკისრებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, კერძოდ: სსკ-ის 999.1 მუხლის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. მოხმობილი ნორმა ადგენს სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელის ვალდებულებას, ნორმაში ჩამოთვლილ სიკეთეთა ხელყოფის შემთხვევაში, აგოს პასუხი. თავის მხრივ, ნორმის სუბიექტები არიან ვალდებული და დაზარალებული პირები. ვალდებულ პირად კანონი განიხილავს ნივთის მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც ამ ქონებაზე საკუთრება მართლზომიერად აქვს მოპოვებული, თუმცა, მფლობელი, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი, შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, ისე – არაპირდაპირი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახზე გვყავს კვლავ „მფლობელი“ (არაპირდაპირი) და „მოსარგებლე“ (პირდაპირი მფლობელი). უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამონვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია (იხ. სუსგ №ას-494-463-2010, 9 ნოემბერი,

2010 წელი). სსკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისსაც – ნივთის იურიდიულ მფლობელს პასუხისმგებლობა არ ეკისრება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში (ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები), მათ შორის მაშინაც, როდესაც სატრანსპორტო საშუალებას მართავდა სხვა პირი, თუმცა, ამ შემთხვევაში ვალდებული პირის დადგენა ხდება იმის მიხედვით, თუ რა გზით (იურიდიულად ნამდვილი უფლების საფუძველზე) აღმოჩნდა ნივთი მოსარგებლის ფაქტობრივი ბატონობის არეალში (ნორმის მე-4 ნაწილი). თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერი მფლობელი) ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით მიაყენებს ზიანს სხვას, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ უკანასკნელს და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს (იხ. სუსგ №ას-1245-2020, 1.07.2021; №ას-504-481-2016, 30.09.2016);).

დაზარალებულ პირს არ ეკრძალება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთობლივად წაუყენოს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს, რომელიც ზიანის მიმყენებელია სსკ-ის 999.4 მუხლის მესამე წინადადების საფუძველზე, ისე – სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, რომელიც ბრალეულად მოქმედებდა და ზიანის მიმყენებელია 992-ე მუხლის საფუძველზე (იხ. სუსგ: №ას-949-2020, 20.02.2022; №ას-254-239-2010, 20.07.2010; №ას-39-38-10, 15.07.2010).

14. საკასაციო პალატის ზემოთ მოყვანილი განმარტებები, მოცემულ საქმეზე დადგინლ გარემოებებთან ერთობლიობაში საფუძველს ქმნის დასკვნისათვის, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტს ორივე მოპასუხე წარმოადგენს და მხოლოდ მათი, როგორც სოლიდარული მოვალეების მიმართ, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის ნორმები განსხვავებულია (შდრ. იხ. სუსგ: №ას-1353-1273-2017, 30.03.2018). მოხმობილი მსჯელობიდან გამომდინარე, მოპასუხეებს ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად უნდა დაეკისროთ.

გასათვალისწინებელია, რომ ც. შ. საკასაციო საჩივრით მოითხოვს მოპასუხეებს სოლიდარულად 5520 ლარი დაეკისროთ და (ამ შემთხვევაში, საუბარია, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით პირველი მოპასუხისათვის დაკისრებულ 1870 ლარსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით ამ უკანასკნელისათვის დამატებით დაკისრებულ 3650 ლარზე) საკასაციო პალატის მსჯელობაც ამავე ფარგლებითაა შემოსაზღვრული.

15. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექს-

სის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

16. სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, მეორე მოპასუხეს, პირველ მოპასუხესთან ერთად ერთად, სოლიდარულად უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟისა (56.10 ლარს + 146 ლარი) და პირველი მოსარჩელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი), ჯამურად 502.10 ლარის გადახდა

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 404-ე, 408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ც. შ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების პირველი და

მე-2 პუნქტები და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ც. შ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხე ლ. გ-ს, მოპასუხე გ. ჟ-თან ერთად, სოლიდარულად დაეკისროს, ც. შ-ას სასარგებლოდ 5 520 ლარის გადახდა.

5. მოპასუხე ლ. გ-ნს, მოპასუხე გ. ჟ-თან ერთად, სოლიდარულად დაეკისროს, ც. შ-ას სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 502.10 გადახდა.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამედიცინო დანახაჯულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-962-2024

13 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. უბილავა**

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. მ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, კასატორი ან პაციენტი) შპს „ქ.ა. № ს.ს-ში“ აღრიცხვაზე და ანტენატა-ლურ მეთვალყურეობაზე იმყოფებოდა. მკურნალი ექიმი – ნ. გ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მკურნალი ექიმი).

2. პაციენტმა მკურნალ ექიმთან ხუთი, მათ შორის სამი გეგმიური ვიზიტი განახორციელა. საჭირო კვლევები ექიმის მეთვალყურეობითა და დაკვირვებით ტარდებოდა.

3. ორსულობა გართულებების გარეშე მიმდინარეობდა.

4. პაციენტს 2018 წლის 5 აპრილს, 23:00 საათზე, საშოდან მოულოდ-ნელი სისხლდენა დაეწყო. მკურნალმა ექიმმა იგი შპს „დ.ს.ს.ც-ში“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, მონი-

ნალმდეგე მხარე, სამედიცინო (ცენტრი ან კლინიკა) გააგზავნა. სადაც საკეისრო კვეთით მკვდარი ნაყოფი ამოიყვანეს. ძლიერი სისხლდენის გამო, გაკეთდა საშვილოსნოს ამპუტაცია ორთავე ფალოპის მილთან ერთად. მიუხედავად ამისა, სისხლდენა არ შეჩერდა.

5. მოსარჩელეს 2018 წლის 6 აპრილს, 18:00 საათზე კვლავ ჩაუტარდა ოპერაცია, რა დროსაც მას მარჯვენა საკვერცხე ამოკვეთეს და სისხლდენა შეწყდა.

6. 2018 წლის 17 აპრილს მოსარჩელე კლინიკიდან გაენერა.

7. მოსარჩელის მითითებით, არც ის და არც მისი ოჯახის წევრები საშვილოსნოსა და საკვერცხის ამოკვეთის აუცილებლობაზე ინფორმირებული არ ყოფილან და ამის შესახებ შემთხვევით, ოპერაციის შემდეგ, იქ მომუშავე ექთნისაგან გაიგო.

8. საკითხის შესწავლა-გამოკვლევის მიზნით, მოსარჩელემ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიმართა.

9. სააგენტოს 2009 წლის 9 თებერვლის საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ – „პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაცია რეცენზირებულია სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, მეანობა-გინეკოლოგიური პროფილის ექიმ-სპეციალისტთა მიერ.

რეცენზენტთა დასკვნით: ამბულატორიული მეთვალყურეობა ჩატარებულია სახელმწიფო სტანდარტის სრული დაცვით. ყველა ვიზიტი, კონსულტაციები, ანალიზები ჩატარებულია სრულად. პაციენტს, როცა ისვენებდა მაღალმთიან სოფელში, სადაც იყო ცუდი მისასვლელი გზა და არ არსებობდა სამედიცინო დახმარების საშუალება, 05.04.18წ, ღამის 23:00 საათზე დაენყო ძლიერი სისხლდენა საშოდან, რაზეც ორსულის ახლობლებმა ტელეფონით შეატყობინეს მკურნალ ექიმს, რომელმაც სავსებით სამართლიანად ურჩია მიემართათ ახლომდებარე სამედიცინო დაწესებულებისთვის ან ქუთაისის ზ. ცხაკაიას სახ. ინტერვენციულ კლინიკაში (3 დონე), ქუთაისის №... სამშობიარო სახლი არის 2 დონის კლინიკა და აქვს ნებადართული ორსულის და მშობიარის მიღება 34 კვირის ვადიდან, ანუ პაციენტი ექიმის მიერ იყო სწორად გადამისამართებული. 06.04.18წ., 03:30 სთ-ზე პაციენტი მოთავსდა მოპასუხე კლინიკაში მძიმე მდგომარეობით, მკვდარი ნაყოფით, ძლიერი სისხლდენით. 06.04.18წ., 03:50 სთ-05:40 სთ-ზე ორსულს ჩაუტარდა ოპერაცია: ლაპარატომია, საკეისრო კვეთა ქვედა სეგმენტში. საშვილოსნოს ამპუტაცია ორთავე ფალოპის მილთან ერთად. მასიური თანამედროვე მდგომით (up-to-date). ასეთ შემთხვევაში მენეჯმენტი გამომდინარეობს ორგან-შემანარჩუნებელი ტაქტიკიდან:

1. შესაკუმში საშუალებები+პროსტაგლანდინები;
2. საშვილოსნოს მაგისტრალური სისხლძარღვების გადაკვანძვა;
3. ლინჩის ნაკერი საშვილოსნოზე.

არცერთი ეს მეთოდი ოპერაციის მსვლელობაში ნაცადი არ ყოფილა.

2018 წლის 6 აპრილს 16:00 საათზე, ექიმთა კონსილიუმის ჩანაწერში აღნიშნულია, რომ მიუხედავად რადიკალური ოპერაციის (ჰისტერექტომია ორივე მილთან ერთად), პ/ო პერიოდში სისხლისა და სისხლის შემცველი გადასხმისა, ზოგადი მგომარეობა რჩება მძიმე. პაციენტს ოპერაციის შემდეგ განუვითარდა შინაგანი სისხლდენა, რაზეც მიუთითებს სისხლიანი გამონადენი დრენაჟიდან (1500მლ – 1600მლ) 18:00 საათამდე, დაბალი ჰემოგლობინის მაჩვენებლები, მიუხედავად დიდი რაოდენობით სისხლის და სისხლისშემცველების გადასხმისა. ამ ეტაპზე ჩვენი აზრით უნდა დასმული ყოფილიყო რელაპარატომიის საკითხი, რომელიც მიუხედავად პაციენტის მძიმე მდგომარეობისა არ გაკეთდა 23.00 საათამდე. შესწავლის შდეგად შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები გამოვლინდა:

რეცენზენტთა შეფასებით – არ იქნა ნაცადი ორგან-შემანარჩუნებელი ტაქტიკა შესაკუმში საშუალებები+პროსტაგლანდინები; საშვილოსნოს მაგისტრალური სისხლძარღვების გადაკვანძვა; „B“ ლინჩის ნაკერი საშვილოსნოზე. პაციენტს ოპერაციის შემდეგ განუვითარდა შინაგანი სისხლდენა და უნდა დასმულიყო რელაპარატომიის საკითხი, თუმცა ექიმების ო. ს-ძის და ლ. ჯ-ძის მიერ გამოირიცხა შინაგანი სისხლდენა და რელაპარატომია 23 საათამდე არ გაკეთდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული საბჭოს წინაშე, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად, სამედიცინო ცენტრის ექიმების – ო-ე ს-ძის, (სახ. სერტ. „მეანობა-გინეკოლოგია“), ზ. კ-ძისა (სახ. სერტიფ. „მეანობა-გინეკოლოგია“) და ლ. ჯ-ძის (სახ. სერტიფ. „მეანობა-გინეკოლოგია“) პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი დაისვა.

10. მოსარჩელისთვის განუული სამედიცინო დახმარების ხარისხის თაობაზე სააგენტოს პროფესიული განვითარების საბჭოს 2019 წლის 17 აპრილის №5 სხდომაზე სამედიცინო ცენტრის ექიმებისთვის – ო-ე ს-ძე (სერტ. „მეანობა-გინეკოლოგია“), ლ. ჯ-ძე (სერტ. „მეანობა-გინეკოლოგია“) და ზ. კ-ძე (სერტ. „მეანობა-გინეკოლოგია“), ნერილობით გაფრთხილების მიცემა დადგინდა (იხ. სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 19 აპრილის №02/21703 მტყცობინება). ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

11. მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის დინამიკა, კლინიკაში სტაციონარულად მოთავსების შემდგომ მის სამედიცინო ისტორიაში აისახა.

12. სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმა №IV-100/ბ მოკლე ანამნეზის მიხედვით, „პაციენტის 1-ლი ორსულობაა. ორსულობა მიმდინარეობდა გაურთულებლად. ექოსკოპიურად დადგენილი ჰქონდა პლაცენ-

ტის დაბალი მიმაგრება. როგორც აღინიშნა, 2018 წლის 6 აპრილის ღამით, 23 საათზე ძილში დაეწყო სისხლდენა საშოდან, მუცლის – საშვილოსნოს მკვეთრი დაჭიმულობა და ტკივილი. სისხლდენა გაუძლიერდა, რის გამოც სოფლიდან კერძო მანქანით წამოვიდა სამშობიაროში. მოპასუხე დაწესებულებაში მას ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია, ამოყვანილ იქნა მკვდარი ნაყოფი. ოპერაციის მსვლელობისას ვინაიდან სისხლდენა გრძელდებოდა, გადაწყდა საშვილოსნოს ამპუტაცია მიღებთან ერთად. მიუხედავად ამისა, სისხლდენა დრენაჟიდან გრძელდებოდა დღის 18 საათამდე და მოხდა მარჯვენა საკვერცხის ამოკვეთა, რის შემდეგაც სისხლდენა შეწყდა. განუული მკურნალობის შემდეგ 2018 წლის 17 აპრილს მოსარჩელე ბინაზე გაენერა“.

13. ოპერაციული მკურნალობის შედეგად მოსარჩელეს ბიოლოგიური მშობიარობა ველარ დაუდგება, დარჩა ერთადერთი შესაძლებლობა – სუროგაცია.

14. ქუთაისის ქართულ-ამერიკული კლინიკა რეპროარტის 2022 წლის 8 ივნისის 03/09 ცნობის თანახმად, მოსარჩელე ქართულ-ამერიკულ აკადემია „რეტროარტი“ მკურნალობდა, მომსახურების ღირებულებაში შედის: 1. წინასაინვიტრო კვლევები – 1500 ლარის ფარგლებში; 2. ფოლიკულომასტიმულირებელი თერაპია – 3500 ლარის ფარგლებში; 3. ფოლიკულების ასპირაცია – 4100 ლარი; 4. ესაჭიროება სუროგატი.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ამავე კლინიკის დიაგნოზიკა – საშვილოსნოსთან დაკავშირებული ქალის უნაყოფობა; ქირურგიული მენოპაუზა. გეგმავს ორსულობას სუროგაციის პროგრამის გამოყენებით.

15. სუროგაცია საქართველოში ჩვეულებრივ – 20 000 აშშ დოლარიდან 54 000 აშშ დოლარამდე ღირს, რომლის ოდენობა კომპონენტებზე, სერვისზე და პუნქტების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

16. შპს „ბ. ფ-ის“ დანართ ერთ და დანართ ორში აღნიშნულია იმ სამედიცინო პროცედურის საფასური, რაც აუცილებელია სუროგაციის პროგრამისათვის პაციენტისა და მისი მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს. სუროგატი დედის მთლიანი კომპენსაცია – 17250 აშშ დოლარი (67 333 ეკვივალენტი ლარი), ხოლო სააგენტოს მოსაკრებელი და სუროგატი დედის მომზადებისათვის საჭირო თანხები ჯამურად – 12 000 ლარია.

17. სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექიმ-სპეციალისტთა (მეანობა-გინეკოლოგია) დ. გ-სა და თ. ჭ-ას მიერ პაციენტისათვის განუული სამედიცინო დახმარების ამსახველი დოკუმენტაციის ექსპერტული ანალიზით: პაციენტი მკურნალი ექიმის რეკომენდაციით, საშოდან ძლიერი სისხლდენით 3:30 საათზე მძიმე მდგომარე-

ობაში, მკვდარი ნაყოფითა და ძლიერი სისხლდენით სამედიცინო ცენტრში მოთავსდა.

შესვლის დიაგნოზი – ორსულობის 32 კვირა, თავით წინამდებარეობა, პლაცენტის დაბალი მიმაგრება აცლითა და გარეგანი სისხლდენით. მკვდარი ნაყოფი. ჰემორაგიული შოკი, 1-2 ხარისხის ანემია.

სისხლის დანაკარგი სტაციონარში მოთავსებამდე – 1700-1900მლ. 03:15 წუთზე დაიწყო ოპერაცია, საკეისრო კვეთა ქვედა სეგმენტში. ამოყვანილ იქნა მკვდარი ახალშობილი, საშვილოსნოს ამპუტაცია ორივე მილთან ერთად. მასიური ჰემოტრანსფუზია – ინფუზია. ოპერაციის მსვლელობაში ესხმება სისხლი, კროპლამა, კრისტალოიდები.

საოპერაციო ოქმიდან – მუცლის ღრუს გახსნის შემდეგ მუცლის ღრუში სერიოზული სითხე 150მლ. რაოდენობით, საშვილოსნოს წინა კედელი მუქი ფერის, გაჟღენთილი სისხლით, გატარდა განაკვეთი საშვილოსნოს ქვედა სეგმენტში – დაიღვარა სისხლით გაჟღენთილი წითელი ფერის სანაყოფე სითხე, საშუალო რაოდენობით კოლტებთან ერთად. 03:55წთ. თავით ამოყვანილია მკვდარი მდედრობითი სქესის ნაყოფი, წონა: 2000გრ. სიგრძე 44სმ. (ნაყოფის სხეულზე მაცერაციის და სიმახინჯის ნიშნები არ აღენიშნება). ნაყოფის ამოყვანისთანავე ჭრილში ამოვიდა მომყოლი, რომელიც აცლილი იყო დიდ უბანზე (თითქმის მთლიანად). საშვილოსნო მთლიანად გაჟღენთილი სისხლით, სახეზეა კუველერის საშვილოსნო, აღენიშნა სისხლდენა. გადაწყდა საშვილოსნოს ამპუტაცია მილებთან ერთად (კონსერვაციული ზომები – ელექტროკოაგულაცია სისხლმდენი ადგილების, ტამპონადა, ჰემოსტატიური ღრუბელი, პროფუზული სისხლდენა გრძელდებოდა). ოპერაცია ნაწარმოებია ტიპიურად. მუცლის ღრუში ჩაიდო პოლიეთილენის ირიგატორი, რომელიც გამოტანილია ჭრილში. ჰემოსტაზი სხეული.

შენიშვნები – ოპერაცია ნაწარმოებია სწრაფად, ორი მსხვილი კალიბრის ვენის მობილიზაციის შემდეგ. მუცლის ღრუში – სისხლით გაჟღენთილი საშვილოსნოს კედლები-საშვილოსნო-პლაცენტარული აპოპლექსია, ანუ კუველერის საშვილოსნო, რომელიც წარმოადგენს საშვილოსნოს ატონიის მიზეზს. თანამედროვე მიდგომით (up-to-date), ესეთ შემთხვევაში მენეჯმენტი გამომდინარეობს ორგან-შემანარჩუნებელი ტაქტიკიდან:

1. შესაკუმში საშუალებები+პროსტაგლანდინები;
2. საშვილოსნოს მაგისტრალური სისხლძარღვების გადაკვანძვა;
3. B-ლინჩის ნაკერი საშვილოსნოზე.

როგორც ისტორიიდან ჩანს არცერთი ეს მეთოდი ნაცადი ოპერაციის მსვლელობაში არ იყო და ვინაიდან სისხლდენა გრძელდებოდა-გადაწყდა საშვილოსნოს ამპუტაცია მილებთან ერთად 06/04.2018; 18:00სთ.

2018 წლის 6 აპრილს 18:00 საათზე, ექიმთა კონსილიუმის ჩანაწერიდან ჩანს, რომ მიუხედავად რადიკალური ოპერაციისა (ჰისტერექტომია ორივე მილთან ერთად), პ/ო პერიოდში სისხლისა და სისხლისშემცველის გადასხმის, ზოგადი მდგომარეობა რჩება მძიმე. მუცლის ღრუს დრენაჟიდან მუქი ფერის სისხლიანი გამონადენი, რომელმაც ამ დროისათვის მიაღწია 1500-1600. აღენიშნება ძლიერი ტაქიკარდია-128. მუცელი-ზომიერად შებერილი, ექოსკოპიით მუცლის ღრებში სითხე 70-100... HB 6,8გ/ლ, კოაგულოგრამა – №, ზომიერი ჰიპოპროტინემია.

გამოტანილია დასკვნა, რომ შინაგან სისხლდენას ადგილის არ აქვს და გაგრძელდა კონსერვატიული მკურნალობა (სისხლის და სისხლისშემცველების გადასხმა).

21:00სთ PS-120-126, გამონადენი დრენაჟიდან 18:00სთ-დან 21:00 საათამდე- 500მლ. HB-4.8გ/ლ.

23:00სთ. – HB-5გ/ლ, კოაგულოგრამა-№, გადაწყდა-რელაპარატომია.

შენიშვნები – პაციენტს ოპერაციის შემდეგ განუვითარდა შინაგანი სისხლდენა, რაზეც მიუთითებს სისხლიანი გამონადენი დრენაჟიდან - (1500- 1600...), 18:00 საათამდე, დაბალი ჰემოგლობინის მაჩვენებლები, მიუხედავად დიდი რაოდენობით სისხლის და სისხლისშემცველების გადასხმისა. ამ ეტაპზე ჩვენი აზრით უნდა დასმული ყოფილიყო რელაპარატომიის საკითხი, რომელიც მიუხედავად პაციენტის მძიმე მდგომარეობისა არ გაკეთდა 23:00 საათამდე.

რელაპარატომიისას ამოკვეთილ იქნა მარჯვენა საკვერცხე, სისხლდანა შეწყდა და პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ოპერაციის აღწერა – გაიხსნა მუცლის ღრუ, მუცლის ღრუში ჩალვრილი სისხლი როგორც თხიერი 100-150 ასევე კოლტის სახით 400-500 ამოსუფთავების შემდეგ დათვალიერდა მენჯის ღრუს ორგანოები: ტაკვი, დანამატები ვიზუალურად უცვლელი, ჰემატომებისა და სისხლმდინარე უბნების გარეშე, ოპერაციაში ჩაერთო ქირურგი ზ. ჯ-ნი, რომელმაც გააფართოვა მუცლის განაკვეთი თეთრ ხაზზე. დათვალიერდა ღვიძლი, ელენთა, ნაწლავები და ბადექონი. პათოლოგია ნანახი ვერ იქნა სისხლდენის სავაუდო კერად მიჩნეულ იქნა მარჯვენა საკვერცხე, რომელიც ამოიკვეთა, დუგლასის ფოსოში ჩაიდო დრენაჟი.

06/04/2018. 23:20სთ. ნაწარმოებია რელაპარატომია. მუცლის ღრუს რევიზით, სანაცია, მარჯვენა საკვერცხის ამოღება. წინასაოპერაციო დიაგნოზი: შინაგანი სისხლდენა, ჰემოპერიტონეუმი.

რეცენზენტთა შენიშვნები:

1. მუცლის ღრუში ნანახი სისხლის კოლტები მიანიშნებს კოაგულოპათიის არარსებობაზე;

2. საექვოა ჩანაწერი – სისხლდენის სავარაუდო კერად მიჩნეულია

მარჯვენა საკვერცხე? – უნდა ჩაითვალოს, რომ ვინაიდან სისხლდენა შეწყდა მარჯვენა საკვერცხის ამოღების შემდეგ, სისხლდენის კერა იყო მარჯვენა საკვერცხე.

ოპერაციის შემდეგ პერიოდში მელოგინეს განუვითარდა პნევმონია, მწვავე ანემია. ჩაუტარდა სხვადასხვა გამოკვლევები და პაციენტი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაენერა ბინაზე.

18. სამედიცინო ცენტრსა და თ. ა-ას შორის 2022 წლის 17 თებერვალს მოსარჩელისთვის განუვლი სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ჯეროვნების შეფასების მიზნით, Ngmc 22 0317/1 ხელშეკრულება გაფორმდა.

მედიცინის აკადემიური დოქტორის, მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის წევრის, თ. ა-ას 2022 წლის 26 აპრილის ექსპერტული შეფასების მიხედვით, „კლინიკაში მოთავსებისთანავე მორიგე მეანების მიერ მოსარჩელის მდგომარეობა შეფასდა მძიმედ. არსებული კლინიკური ნიშნების საფუძველზე სწორად იქნა ეჭვი მიტანილი პლაცენტის ნაადრევ აცლაზე, დიაგნოზი: ორსულობა 32 კვირის, ნაყოფის თავით წინმდებარეობა, დაბლა მიმაგრებული პლაცენტის აცლა, მკვდარი ნაყოფი, სისხლდენა, ჰემორაგიული შოკი. მორიგე ექიმების მიერ დროულად, ეტაპობრივად განხორციელდა სისხლდენის მართვის ადეკვატური ნაბიჯები. ოპერაციის მსვლელობის მომენტში დადასტურდა პლაცენტის აცლის მესამე/მძიმე ხარისხი და დიაგნოსტიკა კიუველერის საშვილოსნოს დიაგნოზი, რომელიც უმეტესწილად, ჰისტერექტომიის ნარმოების ჩვენებას ნარმოადგენს, აგრესიული უტეროტონული თერაპიის ფონზე გადაწყდა საშვილოსნოს შენარჩუნება, შეყვანილ იქნა ოქსიტოცინის ინფუზია, თუმცა სისხლდენა არ შეჩერდა, მდგომარეობა გაუარესდა და მიღებულ იქნა სწორი გადაწყვეტილება, არ გაეგრძელებინათ არაეფექტური, კონსერვატიული, ორგანოშემანარჩუნებელი ინტერვენციები და დედის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხის აცილების მიზნით, მოხდა ჰისტერექტომია“.

ექსპერტი მიუთითებს, რომ მშობიარობის შემდგომი სისხლდენის გაიდლაინების/პროტოკოლების და Uptodate-ის რეკომენდაციების მიხედვით, მშობიარობის შემდგომი სისხლდენის კონსერვატიული მართვის მიზნით ნამდვილად მონოდებულია განსხვავებული ინტერვენციები, მაგრამ მათი გამოყენება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: დაკარგული სისხლის მოცულობაზე, პაციენტის მდგომარეობის სიმძიმეზე, სისხლდენის გამომწვევ მიზეზებზე. მაგ.: ატონიური სისხლდენის დროს უპირატესობა ენიჭება უტეროტონიკების გამოყენებას, საშვილოსნოს სისხლძარღვების გადაკვანძვას, კომპრესიული ნაკერის დადებას, ხოლო საშვილოსნოს ქვედა სემენტიდან სისხლდენის დროს ეფექტურია საშვილოსნოს ტამპონადის ნარმოება, ადგილობრივი ჰე-

მოსტატური საშუალებების გამოყენება, რადგან უტეროტონური საშუალებების გამოყენება ამ შემთხვევაში ნაკლებად ეფექტურია, განსაკუთრებით კიუველირის საშვილოსნოს დროს. გადანყვეტილება კონსერვატიული მეთოდების გამოყენების ხანგრძლივობისა და სისხლდენის მართვის საბოლოო ეტაპზე, ანუ ჰისტერექტომიაზე გადასვლის შესახებ უნდა მიიღოს კლინიციისტმა და მოცემულ შემთხვევაშიც მენამა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სისხლდენის მიზეზი იყო ატონიური და არ დაკარგა დრო მისი მართვის მიზნით მონოდებული კონსერვატიული მართვის მეთოდების გამოყენებაზე, რითაც შესაძლებელი გახდა დედის გადარჩენა.

დასკვნის თანახმად – სამედიცინო ცენტრში პაციენტსთვის განეული სამედიცინო დახმარება ეროვნული პროტოკოლისა და Uptodate-ის და FIGO რეკომენდაციებით განხორციელდა, კერძოდ, კლინიკაში შემოსვლისთანავე პაციენტის მდგომარეობა შეფასდა ადექვატურად, დროულად იქნა დაწყებული პირველსაწყისი სარეანიმაციო ღონისძიებები და ოპერაციული ჩარევა, სწორად განისაზღვრა ოპერაციული ჩარევის მასშტაბი, ადექვატურად ჩატარდა ტრანსფუზიულ-ინფუზიური თერაპია, რამაც განაპირობა პაციენტისათვის სიცოცხლის შენარჩუნება მისი ჯანმრთელობისათვის მინიმალური რისკების მიყენებით.

19. პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა „სამედიცინო მომსახურების განევაზე“, სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება.

20. 2024 წლის 5 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზე დასკვნის გამცემმა ექიმმა თ. ა-ამ გამმარტა:

„უშუალოდ შევეხები იმ საკვანძო მომენტებს რომლებიც ეხება ასეთი მდგომარეობის მართვას. მასალა სრულად მაქვს შესწავლილი, უპირველესად ძალიან მიხარია რომ პაციენტი ჯანმრთელია და კარგად გრძნობს თავს. დიაგნოზი რაც პაციენტს ჰქონდა – დაბლა მიმაგრებული პლაცენტა, საჭიროებდა ძალიან განსხვავებულ, ძალიან აქტიურ მინტორინგს, კონსულტაციის ექიმს თავის დროზე უნდა დაესვა ეს დიაგნოზი და შეეფასებინა სისხლდენის რისკი. მარტივად რაც შემიძლია გითხრათ, არის ის რომ პლაცენტის აცლა თავისი მიმდინარეობის მიხედვით არის სიცოცხლის ზღვარზე გასული მდგომარეობა, ეს საერთაშორისო სახელწოდება მისი. ქალბატონი, რომელიც კლინიკაში შემოვიდა ამ მდგომარეობაში იყო. საოცრად არასტაბილური, მას რამოდენიმე საათის განმავლობაში ჰქონდა სისხლდენა, მუცლად მყოფო ნაყოფი იყო მკვდარი. მუცლის ღრუ რომ გაიხსნა სრულად აცლილი იყო პლაცენტა, ნაყოფი იყო მაცერირებული – ანუ ეს იყო დიდი ხნის ამბავი, ანუ ამით რისი თქმა მინდა, რომ პაციენტი შემოვიდა ისეთ მდგომარეობაში, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ეს კლინიკის ექიმების ბრალი არ არის.

მეანობა არ არის ზუსტი მეცნიერება, მეანობა პაციენტის კლინიკუ-

რი მდგომარეობიდან იკვლევა. აქ იყო ლაპარაკი სიკვდილ-სიცოცხლეზე. ამ დროს ექიმს ვერ მოთხოვ განსაზღვროს პაციენტს ბავშვი კიდევ ეყოლება თუ არა, აქ არის საუბარი ქალის გადარჩენაზე. ამ დროს საჭიროა ექიმის კლინიკური აზროვნება – მიიღოს სწორი გადამწყვეტილება.

ამ შემთხვევაში ექიმი სწორად მიხვდა რომ ეს იყო კოაგულოპატიური სისხლდენა, ამიტომ არ გამოიყენა ის მეთოდი რაზეც გვეუბნებიან რომ უნდა გამოეყენებინა, რომ გამოეყენებინა, დაიკარგებოდა დრო და პაციენტი დაიღუპებოდა. ეს ისეთი სისხლდენაა, რა დროსაც სისხლი ყველა ორგანოდან შეიძლება წამოვიდეს და ამ დროს პაციენტი კვდება.

რაც შეეხება საკვერცხეს, იგი იყო თუ არა სისხლდენის მიზეზი ამას ზუსტად ვერაფერს ვთქვით. კოაგულოპატიური სისხლდენა ბევრად უფრო რთული სამართავია, იმიტომ რომ რაც არ უნდა შესაკუმში საშუალება გაუკეთო ამ დროს პაციენტს საშვილოსნო არ იკუმშება და პაციენტი იღუპება.

ის მდგომარეობა რაც ამ ქალბატონს ჰქონდა, ჩათვალეთ რომ 98%-ში უნდა ჩატარდეს ოპერაცია, იმიტომ რომ ჰქონდა პლაცენტის სრული აცლა და ნაყოფი იყო მკვდარი. ეს ქალბატონი რომ გადარჩა ღმერთის მადლობელი უნდა იყოს.

21. ექსპერტ დ. გ-ს განმარტებით – „რაც პაციენტს ჰქონდა ეს ის საშიში, ვერაფერი დიაგნოზია, რასაც ძალიან ხშირად შედეგად შეიძლება მოჰყვეს ქალის გარდაცვალება.“

პაციენტი ოპერაციას აუცილებლად საჭიროებს როცა სისხლი არ დედგება. ამიტომ თუ სისხლი არ შეჩერდა იგი კოაგულოპატიიაში გადადის. ვინაიდან ამ შემთხვევაში, იყო სისხლი კოლტები, ე.ი. სისხლი შედედება კიდევ შესაძლებელი იყო. ამიტომ ყველაფერი დრულად იქნა დაცული და პაციენტი გადარჩა.

ატონიური სისხლდენა არის როცა ორგანიზმი სისხლისგან იცლება და ბოლოს გადადის კოაგულოპატიურ სისხლდენაში. მეც ამ შემთხვევაში იგივეს გავაკეთებდი რაც ექიმებმა გააკეთეს, რადგან ვერაფერს ვერ განსაზღვრავს როგორ განვითარდება სისხლდენა, ამიტომ ექიმები სწორი მიმართულებით არიან წასული და ქისტეროთომია (საშვილოსნოს ამიღება) სწორად განხორციელდა.

ხუთი წუთითაც რომ დაგვიანებულიყო ოპერაცია, შეიძლება იგი წარუმატებელიც ყოფილიყო, მაგრამ კიდევ ვამბობ, თუ გადაიზრდებოდა კოაგულოპატიურ სისხლდენაში, პაციენტი ვეღარ გადარჩებოდა. ამ დროს ყველა სისხლდარღვიდან, შეიძლება თვალებიდანაც, ყურებიდანაც წამოვიდეს სისხლი, მას ვერაფერს ვეღარ აჩერებს. ამიტომ ამ შემთხვევაში, ქისტეროთომია (საშვილოსნოს ამოღება) ყველა შემთხვევაში იყო საჭირო.

თუ პროტოკოლით გათვალისწინებულ წესებს ექიმი გაივლიდა, დროს დაკარგავდა და შეიძლება ქალი დაღუპულიყო. აქ დიდი ხნის განმავლობაში მიდიოდა სისხლდენა და პაციენტი კლინიკაში დაგვიანებული მივიდა.

ექიმი საშვილოსნოს ამპუტაციაზე გადავიდა იმიტომ, რომ სისხლის დანაკარგი ძალიან დიდი იყო და ყველა სხვა მოქმედება სიცოცხლისთვის საშიში გახდებოდა. შესაძლებელია 2-3 წუთი დაგვიანებული ყოფილიყო და ქალი დაიღუპებოდა. აღარც ამპუტაცია აღარ უშველიდა მერე.

პაციენტის ინფორმაციული თანხმობა ყველა შემთხვევაში აუცილებელია. ასეთ პაციენტს კი არა მშობიარესაც ვაფრთხილებთ, რომ შეიძლება ოპერაცია დასჭირდეს. ამ შემთხვევაში იმდენად მძიმე მდგომარეობა იყო ალბათ ინფორმაციული თანხმობა არ იყო აუცილებელი. რაც შეეხება მეორე ოპერაციას აუცილებელი იყო თანხმობა, თუ ის იქნებოდა გონზე. თუ ასეთ დროს ოჯახის წევრები ადგილზეა ვცდილობთ ისინი ჩავაყენოთ საქმის კურში. არის შემთხვევები როცა პაციენტი გვინერს ხელს, ზოგჯერ უარს ამბობენ, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამას ვაკეთებთ. თუ პაციენტმა არ მოგვცა თანხმობა ოპერაციას მაინც ვაკეთებთ. რამოდენიმე ექიმი ვისაც შეხება აქვს შემთხვევასთან ვანერთ ხელს და მაინც ვაკეთებთ ოპერაციას. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს შემთხვევა ძალიან რთული იყო, მაგრამ ექიმების სწორი მოქმედებით ამ ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნდა“.

22. ექსპერტ თ. ჭ-ას განმარტებით კი – „საქმე გვქონდა ძალიან რთულ პათოლოგიასთან, რომლის 70-80%-ში თუ დროულად არ იქნება მიღებული ზომები, ინვევს ქალის სიკვდილს.

ამ შემთხვევაში, პლაცენტა იყო აცლილი, რაც ინვევს სისხლდენას და საჭიროებს სასწრაფო ჩარევას. გააჩნია კიდევ უბანს. არსებობს სამი სახის პლაცენტის აცლა. პირველი – როცა აცლილია 1/3; მეორე – როცა აცლილია ნახევარი და მესამე – როცა მთლიანად აცლილია. ამ შემთხვევაში, პლაცენტა იყო მთლიანად აცლილი ანუ იყო მესამე ხარისხის პლაცენტის აცლა, რამაც გამოიწვია ნაყოფის სიკვდილი და ძლიერი სისხლდენა. საშვილოსნო გაიჟღინთა სისხლით, მან საათნახევარი მოანდომა კლინიკაში მოსვლას, სისხლდენა გრძელდებოდა, ამიტომ აუცილებელი გახდა სასწრაფო ოპერაციული ჩარევა.

მე ჩემს პრაქტიკაში ბევრი მქონია ასეთი შემთხვევა და უმეტესობა დამთავრებულია ქისტერესკოპიით (საშვილოსნოს ამოღება).

საკვერცხის ამოღება უკავშირდება ჩატარებულ ოპერაციას, პირველი ოპერაცია რომ არ გაკეთებულიყო არც მეორე ოპერაცია დასჭირდებოდა ალბათ. მე ასე მგონია ცოტ-ცოტას ჟონავდა სისხლი, ამიტომ ჟონავდა დრენაჟიდან, დაინია ჰემოგლობინმა, მაჯა აჩქარებული იყო

124-128 წთ-ში, გახდა საჭირო ამ სისხლდენის მიზეზის პოვნა.

ინფორმაციული თანხმობის მიღება პაციენტისგან აუცილებელია, მაგრამ როცა ეს შეუძლებელია კომისიური წესით სამ ექიმს შეუძლია დაადასტუროს ეს მდგომარეობა და მიიღოს გადაწყვეტილება ოპერაციის შესახებ თანხმობის გარეშე.

მედიცინა არ არის იურისპრუდენცია ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია. როცა მძიმეა შემთხვევა ექიმი იღებს გადაწყვეტილებას, როგორ მოიქცეს ამ სიტუაციაში. მთავარია რომ პაციენტი გადარჩეს.

მე პირადად ზოგჯერ გამომიყენებია ზოგჯერ არა, ზოგჯერ გაამართლა, ზოგჯერ არა. მსუბუქ შემთხვევებში, შეიძლება ყველა ღონისძიება გამოვიყენოთ რაც პროტოკოლშია მითითებული, მძიმე შემთხვევაში, ოპერაციული ჩარევა საუკეთესო გამოსავალია, რათა პაციენტი გადარჩეს“.

23. ზემოღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ ჰოსპიტალიზაციის პროცესში არ გაენია ადეკვატური – პროტოკოლთან შესაბამისი მკურნალობა და არც მოსალოდნელი შედეგის შესახებ ყოფილა ინფორმირებული.

24. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მიუთითა, რომ სარჩელი დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, თუმცა საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე მოპასუხე ფაქტობრივად დაეთანხმა იმ ფაქტობრივ ნაწილს, რომ მოსარჩელისგან (მისი ოჯახის წევრისგან) ინფორმირებული თანხმობა არ მიღებულა და მას მართლაც არ ჩატარებია მკურნალობის ყველა ელემენტი სრულად; კერძოდ, საქმის მთავარი სხდომის მიმდინარეობისას მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტებები იმგვარად წარმოაჩინა, რომ პროფესიონალი ექიმების შეფასებით კონკრეტულად ამ ყველა მეთოდის გამოყენება არ იყო არანაირი შედეგის მომცემი დროის დაკარგვის თვალსაზრისითაც, რის გამოც პრიორიტეტი მიენიჭა ადამიანის სიცოცხლეს და მოხდა პაციენტისთვის სიცოცხლის შენარჩუნება. ხოლო ასეთ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში ვერ მოხერხდებოდა პაციენტის ან მისი ოჯახის წევრის ინფორმირება და თანხმობის მიღება.

25. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მატერიალური ზიანის – 67 333 ლარისა და მორალური ზიანის – 20 000 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

26. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გა-

საჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

27. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს მატერიალური ზიანის – 67 333 ლარისა და მორალური ზიანის – 20 000 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ (სარეზოლუციო ნაწილის 1.1. 1.2 და 2 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 10 000 ლარის გადახდა დაეკისრა;

28. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვეს.

28.1. I კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაზიარებული ექსპერტის დასკვნა, სახელმწიფო სამედიცინო რეგულირების სააგენტოს დასკვნას ეწინააღმდეგება რომელმაც დარღვევა, სწორედ პროტოკოლის მოთხოვნათა უარყოფის გამო დაადგინა.

კასატორის მითითებით, მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა. ექიმის მიერ რთული სიტუაციის მართვის პროტოკოლის გადახვევა, პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე, ნებისმიერ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგოა.

მიყენებული ფიზიკური და მორალური ტანჯვა იმგვარი ხასიათის ხელყოფაა რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად აქცევს. მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მომავალში ბავშვს ვერ გააჩენდა, რამაც დათრგუნა და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მორალური ზიანის სახით განსაზღვრული თანხა კი, კიდევ უფრო ამძაფრებს მის მორალურ მდგომარეობას.

28.2. მეორე კასატორის მტკიცებით, პაციენტის ინფორმირებულობის სტანდარტის დარღვევა მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შეიძლება გახდეს, როდესაც აღნიშნულმა მას ზიანი მიაყენა. განსახილველ შემთხვევაში, საშვილოსნო მართებულად ამოიჭრა, შესაბამისად, არც მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი არ არსებობდა.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 6 მარტის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თა-

ნახმად, საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადანყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან მოპასუხე მხარის საკასაციო საჩივარს დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვას უარი.

30. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, ნაწილობრივ დასაბუთებულია.

31. სსკ-ის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დანესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიყენებული თავისუფლება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

32. სსსკ-ის მე-4 მუხლით მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადანყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს.

33. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 1007-ე მუხლის შინაარსზე და განმარტავს, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრული ოთხი წინაპირობის არსებობას მოითხოვს: უნდა დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის და ბრალი. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინა-

ნალმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დანესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი (საქმე №ას-1124-1044-2017, 30.07.2018წ.).

34. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დანესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა, ქირურგიული ოპერაცია და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1. სამედიცინო საქმიანობის მიზანი მიღწეული არ არის (აღამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და 2. მედიცინის მუშაკის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს. სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს არამართო მის აქტიურ მოქმედებებს, არამედ უმოქმედობასაც.

ამ ტიპის დელიქტებში, როგორც წესი, არ არის პირდაპირი კანონსაწინააღმდეგო ქმედება. მარტივად, სამედიცინო დელიქტი არის სამედიცინო ზრუნვა ან მკურნალობა, რომელიც არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტს და ზიანს აყენებს პაციენტს. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო პერსონალის (ექიმის) მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი.

35. პაციენტს აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი მომსახურება და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომსახურება მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს (უფლება ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების სტანდარტების დაცვაზე). პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგული პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

36. რაც შეეხება პაციენტის უფლებას უსაფრთხოებაზე, იგი პრაქტიკულად მოიცავს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების სტანდარტების დაცვასა და პრევენციულ ღონისძიებებზე უფლებებს. ყველას აქვს უფლება განთავისუფლდეს იმ საფრთხეებისაგან, რომლებიც განპირობებულია ჯანდაცვის სამსახურების ცუდი ფუნქციონირებით, საექიმო გულგრილობით, სამედიცინო შეცდომებით და ხელი მიუწვდებოდეს სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობაზე, რომელიც აკმაყოფილებს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს (ნუნუ კვანტალიანი, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სა-

მოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2012 წ., გვ. 94-96).

37. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამონვეულია: პაციენტის უფლებების დარღვევით; მცდარი სამედიცინო ქმედებით.

38. სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს არა მარტო მის აქტიურ მოქმედებებს, არამედ, უმოქმედობასაც.

39. პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ იკვეთება. ასეთ შემთხვევებში საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერება და ყურადღებია ნობა გამოიხატება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმინევით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულებაში.

40. მკურნალობის (ქირურგიული ოპერაცია ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვა) შედეგად გამონვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამონვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამონვეული უნდა იყოს მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციისას) დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა (ქირურგიული ოპერაცია) სწორადაა წარმართული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას (შდრ. იხ. სუსგ-ები: საქმე №ას-1046-966-2017, 20.07.2018წ.; საქმე №260-244-11, 27.06.2011წ.; №ას-1800-2019, 20.02.2020წ.).

41. „მცდარი საექიმო ქმედების“ განმარტება მოცემულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვე-

პუნქტში და გულისხმობს ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა.

42. საექიმო შეცდომად მიიჩნევა ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებები (ქირურგიული ოპერაცია), რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა. ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტს მართლზომიერად და უშეცდომოდ უმკურნალებს, იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანმდევ უარყოფით შედეგზე. ამდენად, ექიმის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო მეცნიერების სტანდარტებიდან გადახვევა (სუსგ საქმე №1268-1526-09, 25.05.2010წ.).

43. აღნიშნული კატეგორიის დავებში პაციენტს ეკისრება, როგორც ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენისა და გაცხადების ვალდებულება, აგრეთვე მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ მკურნალობისას (ქირურგიული ჩარევისას) შეცდომა დაუშვეს. თუ მისი განმარტებები არ დადასტურდება, მაშინ სამკურნალო შეცდომა მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არ დამტკიცდება. ასევე, პაციენტმა უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დანესებულების ვალდებულების დარღვევას (იხ.: სუსგ საქმე №ას-111-111-2018, 11.05.2018წ., 78).

44. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს ვალდებულებაა, სწორად მიმართოს მტკიცებითი საქმიანობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მან საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ სადავო და უდავო ფაქტები უნდა გამოიჯნოს ერთმანეთისგან. სადავო ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესიც სწორედ აქ ვლინდება. სასამართლომ, როგორც საპროცესო საქმიანობის წარმმართველმა სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გაანაწილოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციას. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პროცესუალური წესი მოცემულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მითითებული ნორმა საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლთან კავშირით იმ დასკვნის საფუძველს ქმნის, რომ მხარეს, რომელიც სასამართლოს მიმართავს კონკრეტული მოთხოვნით, აწევს როგორც ამ

მოთხოვნის საფუძვლად არსებული ფაქტების მითითების, ასევე – მათი დამტკიცების, ანუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი. როგორც წესი, ფაქტის მითითებისა და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურსამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს – სანინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი.

45. ქირურგიული ოპერაციის დროს სამედიცინო შეცდომის, წარმოქმნილი ზიანისა და მათ შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა სწორედ მოსარჩელის/პაციენტის მტკიცების ტვირთია, განსახილველ შემთხვევაში მან შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის წარმატებული რეალიზება, კერძოდ:

45.1. დადგენილია რომ 2018 წლის 6 აპრილს მოსარჩელემ მოპასუხე კლინიკაში გაიკეთა საკეისრო კვეთა, ამოყვანილ იქნა მკვდარი ნაყოფი.

45.2. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა, რა დროსაც მოხდა მისთვის ჯერ საშვილოსნოსა და შემდეგ მარჯვენა საკვერცხის ამოკვეთა.

45.3. მოსარჩელის მტკიცებით, მას მოპასუხე კლინიკაში გაენია არასრული მკურნალობა (დადგენილი სახელმწიფო პროტოკოლისგან განსხვავებული, არასრულყოფილი მეთოდებით), რის გამოც მას დროულად ვერ შეუჩერეს სისხლდენა და ამოკვეთეს საშვილოსნო და შემდეგ მარჯვენა საკვერცხე. მოპასუხის ამ ქმედებით მას წაერთვა შვილოსნობის უნარი.

45.4. დადგენილია ისიც, რომ პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა „სამედიცინო მომსახურების განევაზე“, სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება.

45.5. ასევე დადგენილია, რომ საკითხის შესწავლა-გამოკვლევის მიზნით, მოსარჩელემ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიმართა.

45.6. შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

1. არ იქნა ნაცადი ორგან-შემანარჩუნებელი ტაქტიკა (შესაკუმში საშუალებები + პროსტაგლანდინები);

2. საშვილოსნოს მაგისტრალური სისხლძარღვების გადაკვანძვა;

3. „ხ“ ლინჩის ნაკერი საშვილოსნოზე.

პაციენტს ოპერაციის შემდეგ განუვითარდა შინაგანი სისხლდენა და უნდა დასმულიყო რელაპარატომიის საკითხი, თუმცა ექიმების მიერ გამოორიცხა შინაგანი სისხლდენა და რელაპარატომია არ გაკეთდა 23 საათამდე“.

45.7. უდავოა, რომ მოსარჩელისთვის განეული სამედიცინო დახმარების ხარისხის თაობაზე სააგენტოს პროფესიული განვითარების საბჭოს 2019 წლის 17 აპრილის №5 სხდომაზე სამედიცინო ცენტრის ექიმებისთვის – ო-ე ს-ძე (სერტ. „მეანობა-გინეკოლოგია“), ლ. ჯ-ძე (სერტ. „მეანობა-გინეკოლოგია“) და ზ. კ-ძე (სერტ. „მეანობა-გინეკოლოგია“), წერილობითი გაფრთხილების გამოცხადება დადგინდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირების მიერ არ გასაჩივრებულა.

45.8. იმავე შინაარსის დარღვევაზეა საუბარი სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექიმ-სპეციალისტთა (მეანობა-გინეკოლოგია) დ. გ-სა და თ. ჭ-ას მიერ პაციენტისათვის განეული სამედიცინო დახმარების ამსახველი დოკუმენტაციის ექსპერტულ ანალიზში. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ოპერაცია ნაწარმოებია სწრაფად, ორი მსხვილი კალიბრის ვენის მობილიზაციის შემდეგ. მუცლის ღრუში – სისხლით გაჟღენთილი საშვილოსნოს კედლები-საშვილოსნო-პლაცენტარული აპოპლექსია, ანუ კუველერის საშვილოსნო, რომელიც წარმოადგენს საშვილოსნოს ატონიის მიზეზს. თანამედროვე მიდგომით (up-to-date), ესეთ შემთხვევაში მენეჯმენტი გამომდინარეობს ორგან-შემანარჩუნებელი ტაქტიკიდან:

1. შესაკუმში საშუალებები+პროსტაგლანდინები;
2. საშვილოსნოს მაგისტრალური სისხლძარღვების გადაკვანძვა;
3. B-ლინჩის ნაკერი საშვილოსნოზე.

როგორც ისტორიიდან ჩანს არცერთი ეს მეთოდი ნაცადი ოპერაციის მსვლელობაში არ იყო და ვინაიდან სისხლდენა გრძელდებოდა-გადაწყდა საშვილოსნოს ამპუტაცია მიღებთან ერთად 06/04.2018; 18:00სთ.

პაციენტს ოპერაციის შემდეგ განუვითარდა შინაგანი სისხლდენა, რაზეც მიუთითებს სისხლიანი გამონადენი დრენაჟიდან - (1500- 1600...), 18:00 საათამდე, დაბალი ჰემოგლობინის მაჩვენებლები, მიუხედავად დიდი რაოდენობით სისხლის და სისხლისშემცველების გადასხმისა. ამ ეტაპზე ჩვენი აზრით უნდა დასმული ყოფილიყო რელაპარატომიის საკითხი, რომელიც მიუხედავად პაციენტის მძიმე მდგომარეობისა არ გაკეთდა 23:00საათამდე.

45.9. საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმაც დაადასტურა ზემოაღნიშნული პროტოკოლით მკურნალობის მნიშვნელობა, თუმცა, აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მათი სრულად გამოყენება შედეგს ვერ გამოიღებდა, შესაბამისად, უპირატესობა პაციენტის სიცოცხლეს მიენიჭა.

46. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მოსარჩელის მკურნალობის პროცესში თანამედროვე სამედიცინო მიდგომით გათვალის-

ნინებული და კონკრეტული სამედიცინო დიაგნოზით დასაშვები ორგანოშემანარჩუნებელი ტაქტიკა (შესაკუმში საშუალებები + პროსტაგლანდინები; საშვილოსნოს მაგისტრალური სისხლძარღვების გადაკვანძვა; ბლინჩის ნაკერი საშვილოსნოზე) ოპერაციის მსვლელობისას არ გამოყენებულა.

47. ექიმ-გინეკოლოგი თ. ა-ას სამედიცინო შეფასებაში მართალია, მითითებულია, რომ მკურნალი ექიმების მიერ მიღებული იყო სწორი გადაწყვეტილება, პაციენტის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად თუმცა, შეფასება არ შეიცავს მსჯელობას დადგენილი პროტოკოლით გათვალისწინებული მკურნალობის მეთოდების სრულად გამოყენებით, კონსერვატიული, ორგანოშემანარჩუნებელი ინტერვენციები რატომ არ უნდა გამოყენებინათ და რატომ იქნებოდა იგი არაეფექტური პაციენტისათვის; ან რა იყო მათი გამოყენების დაუძლეველი დამაბრკოლებელი გარემოება, როდესაც დადგენილი პროტოკოლი ამ მეთოდების გამოყენებას მსგავს შემთხვევაში პრიორიტეტულად ითვალისწინებს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას მისი სუბიექტური ხასიათიდან გამომდინარე არ იზიარებს.

48. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კლინიკური მკურნალობის პროცესში სწორედ იმ ფაქტის გათვალისწინებით, როცა საქმე ადამიანის ჯანმრთელობასა და სრულყოფილ მკურნალობას ეხება, დაუსაბუთებელია, მკურნალობის/ქირურგიული ჩარევის პროცესში იმგვარი გადაწყვეტილების მიღება, რომლის ფარგლებშიც მიზანშეწონილად ჩაითვლება ორგანოშემანარჩუნებელი ყველა მეთოდის უგულებელყოფა/გარიცხვა. მით უფრო იმ მოცემულობით, როცა კლინიკისთვის ცნობილი იყო მოსარჩელის ავადმყოფობის მიმდინარეობა, რომლის ფარგლებშიც ჩატარებული საკეისრო კვეთის შემდგომ არ მოხდა სათანადო მეთოდების გამოყენება სრულყოფილად, არ დაისვა შინაგანი სისხლდენის დიაგნოზი და ოპერაციის შემდეგაც მოსარჩელეს მთელი დღის განმავლობაში ჰქონდა სისხლდენა.

შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ საშვილოსნოს ამოკვეთა უშედეგო აღმოჩნდა და სისხლდენა მხოლოდ მარჯვენა საკვერცხის ამოკვეთის შემდეგ შეწყდა.

49. ამდენად, კლინიკის ექიმთა მიმართ გამოცხადებული დისციპლინური სახდელი-წერილობითი გაფრთხილება, მიუთითებს სამედიცინო შეცდომაზე (პროტოკოლით დადგენილი წესის დარღვევაზე) და ადასტურებს მოსარჩელის მკურნალობის პროცესში მოპასუხის პერსონალის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის ფაქტს. ამასთან, თავად დამდგარი შედეგი მიუთითებს პაციენტის მკურნალობის პროცესის იმგვარ არასათანადო მართვაზე, რომლის შედეგად

დაც მოხდა პაციენტისათვის ბიოლოგიურად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოს საშვილოსნოსა და მარჯვენა საკვერცხის ამოკვეთა.

50. საწინააღმდეგოს მტკიცება მოპასუხეს ევალეზობდა. კლინიკამ კი, ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, საქმეში სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო. სახელდობრ, სააპელაციო სასამართლოში დაკითხულმა მონმეებმა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ვერ დაადასტურეს დადგენილი პროტოკოლით გათვალისწინებული მკურნალობის მეთოდების სრულად გამოყენებით, კონსერვატიული, ორგანოშემანარჩუნებელი ინტერვენციები რატომ არ უნდა გამოეყენებინათ და რატომ იქნებოდა იგი არააფექტური პაციენტისათვის, ან რა იყო მათი გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოება, როდესაც მსგავს შემთხვევაში დადგენილი პროტოკოლი ამ მეთოდების გამოყენებას ითვალისწინებს.

51. ამდენად, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ კლინიკამ ვერ დაადასტურა, რომ ადეკვატური, პროტოკოლის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით მკურნალობის სრულად ჩატარების შემთხვევაში, ობიექტურად შეუძლებელი იქნებოდა დამდგარი მძიმე შედეგის თავიდან აცილება.

52. დადგენილია, რომ სამედიცინო პერსონალის მოქმედება გამოიხატა აუცილებელი, შესაბამისი გულისხმიერებისა და წინდახედულების დარღვევაში, პროტოკოლით დადგენილი მეთოდების არასრულად გამოყენებაში, რამაც მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუარესება გამოიწვია. მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა, სახეზეა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგობასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად მოსარჩელისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი კომპენსაციის სახით ექვემდებარება ანაზღაურებას მოპასუხის მხრიდან. ვინაიდან, უდავოა, რომ მოსარჩელემ დაკარგა შვილის გაჩენის უნარი, ხოლო სუროგაციის გზით შვილის გაჩენა დაკავშირებულია საკმაო ოდენობის თანხებთან, რომელიც მის მიერ შესწავლილ იქნა შესაბამის დანებსებულებებში და რომლის ჯამური ღირებულება – 67 333 ლარია.

53. მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების გათვალისწინებით მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურებასაც ითხოვს.

54. სსკ-ის 413-ე მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით; სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 19.1 მუხ-

ლის შესაბამისად, პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვევისგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ („გ“ ქვეპუნქტი), ასევე, დიაგნოზისა და სავარაუდო პროგნოზის თაობაზე („ზ“ ქვეპუნქტი).

ამავე კანონის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამედიცინო მომსახურების განწვევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნარობის ან გაცნობიერებული გადანწყვეტილების მიღების უუნარობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა. ინფორმირებული თანხმობა წინ უძღვის სამედიცინო მომსახურების განწვევას.

55. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე იმსჯელა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. აღნიშნული მოთხოვნა მსჯელობის საგანი იყო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც (მდრ: საროშვილი-ბოლქვაზე საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №58240/08, 19 ივლისი, 2018 წელი). აღნიშნული დავა შედარებით განსხვავებული ფაქტობრივი მოცემულობით ხასიათდება, თუმცა, გადანწყვეტილება საინტერესოა მორალური ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმის გამოყენება-განმარტების თვალსაზრისით.

56. არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის დროს ეროვნული სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით. ამ საკითხში უზენაეს სასამართლოს დამკვიდრებული აქვს პრაქტიკა: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზეა დამოკიდებული“ (იხ. №ას-866-816-2015, 12 თებერვალი, 2016წ.; №ას-95-90-2013, 14.06.13წ.; №ას-594-562-2015, 6.11.2015, №ას-797-940-2015, 10.09.2015წ.).

57. კანონმდებელი არ ადგენს ცალკეულ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, არამედ ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ინდივიდუალობის და თავისებურების გათვა-

ლისწინებით უნდა გადაწყდეს. ერთ-ერთ საქმეში (იხ. სუსგ №ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018 წელი), საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, როდესაც ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია“. ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ იმ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება. სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია (იხ.სუსგ №ას-979-940-2014, 10 სექტემბერი, 2015 წელი).

58. სსკ-ის 413-ე მუხლის საკანონმდებლო მოწესრიგება მიზნად ისახავს შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრუ-

ლი ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

59. საკაცაო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მოიცავს სპეციალურ თავს „თანხმობა“, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების განწესის პაციენტის თანხმობის მიღების პირობები. ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო ეთიკის ერთ-ერთი პრინციპის – „პაციენტის ავტონომიის“ პატივისცემის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია. „პაციენტის ავტონომია“ – ესაა პაციენტის უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საკითხი. აუცილებელია, რომ ინფორმირებული თანხმობა: წინ უსწრებდეს ნებისმიერ ჩარევას სამედიცინო მომსახურების განწესის და ბიოსამედიცინო კვლევის წარმოებისას; იყოს თავისუფალი (გამორიცხული უნდა იყოს ნებისმიერი სახის ზეწოლა); იყოს გააზრებული, რისთვისაც პაციენტს ან კვლევის სუბიექტს წინასწარ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ჩარევის შესახებ. (იხ. დამატებით: ქირურგიული ჩარევის შესახებ ინფორმირებული თანხმობა, ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, №3, 2017, 103-105.).

60. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22.1 მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების განწესის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი ქმედუუნარობის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უუნარობის შემთხვევაში, ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა. ინფორმირებული თანხმობა წინ უძღვის სამედიცინო მომსახურებას. ინფორმირებული თანხმობა გულისხმობს, რომ პაციენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ფლობდეს სრულ ინფორმაციას ყველა შესაძლო (როგორც სახარბიელო, ისე არასახარბიელო) გამოსავლის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ სამედიცინო მანიპულაციასთან, იმისათვის, რომ პაციენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება. (იხ. დამატებით: ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისათვის ავტორთა კოლექტივი, ფონდი „ღია საზოგადო-

ება საქართველო“).

61. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველო კანონის 22.1 მუხლის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების განევის აუცილებელი წინაპირობაა პაციენტის ინფორმირებული თანხმობის მიღება. ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად კი, პაციენტს უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტი გულისხმობს კლინიკის ვალდებულებას, მიაწოდოს პაციენტს ობიექტური და შინაარსობრივად ამომწურავი ცნობები, რომელიც ჩამოყალიბებულია აღქმადი, გასაგები და მისაღები ფორმით. პაციენტის აღნიშნული უფლება დაცულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტით, როგორცაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (მე-8 მუხლი), ასევე, „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (მე-5 მუხლი), პაციენტის ინფორმირებული თანხმობა არ განიხილება, როგორც უზრალო ნების გამოვლენა, არამედ როგორც პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის შესაძლებლობას, გააკეთოს ნებაყოფლობითი და გაცნობიერებული არჩევანი დაგეგმილი სამედიცინო ჩარევის თაობაზე.

62. ამავდროულად, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ინფორმაციისა და განმარტების ვალდებულების სრულფასოვან შესრულებაზე, ეკისრება კლინიკას. სწორედ მის ხელთ არის ბერკეტი იმისა, რომ შექმნას სარწმუნო მტკიცებულებები ინფორმირების ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად. ადამიანის/პაციენტის თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე კლინიკა ვალდებულია პაციენტს აცნობოს ყველა იმ არსებითი ფაქტის შესახებ, რომლებიც აუცილებელია ამ უკანასკნელის თანხმობის მისაღებად, რადგან მხოლოდ ინფორმირებულ პაციენტს შეუძლია გადანყვიტოს, ჩარევას დაექვემდებაროს თუ არა და ამაზე თანხმობის გაცემა სურს თუ არა (იხ. დამატებით: ფ. ბაქრაძე, „მტკიცების ტვირთის განაწილება სამედიცინო დავებში“, სამართლის მიმოხილვა №3, 2018, 89).

63. განსახილველ შემთხვევაში პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა „სამედიცინო მომსახურების განევაზე“, სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება.

64. აღსანიშნავია, ევროპული სასამართლოს გადანყვიტილება საქმეზე VC სლოვაკეთის წინააღმდეგ (VC v. Slovakia), სადაც სასამართლომ პაციენტის არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. ამავე გადანყვიტილებაში მითითებულია, რომ სამედიცინო ჩარევა მომჩივანის სათანადო ინფორმაციის მიწო-

დებისა და მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩატარდა. სხვაგვარად რომ ითქვას, პაციენტს არ ჰქონდა შესაძლებლობა სამედიცინო ჩარევის ხასიათი და მისი გვერდითი მოვლენები გაეცნობიერებინა, ფაქტობრივად მას არ ჰქონდა სხვა გზა გარდა სამედიცინო მანიპულაციის ჩატარებას დასთანხმებოდა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პაციენტის ინფორმირებული თანხმობა საჭირო იყო მისი ფიზიკური და მორალური ავტონომიის დასაცავად.

65. ასევე, აღნიშვნის ღირსია საქმე CASE OF Y.P. v. RUSSIA. პაციენტი ჩიოდა, რომ მას სამშობიარო საავადმყოფოს ექიმებმა თანხმობის გარე ჩაუტარეს სტერილიზაცია, რაც არ იყო აუცილებელი მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ორ წელიწადში როდესაც ქალბატონმა მეუღლესთან ერთად გადაწყვიტა შვილის გაჩენა, შეიტყო, რომ დაორსულება შეეძლო მხოლოდ „ინ ვიტრო“ განაყოფიერების გზით. ეროვნულმა სასამართლომ მომჩივანის საწინააღმდეგოდ მიიჩნია, რომ არსებობდა სამედიცინო საფუძველი – გახეხილი საშვილოსნო, რის გამოც, იყო ძლიერი სისხლდენის საშიშროება. ექიმებმა მოახდინეს საშვილოსნოს მილების სტერილიზაცია შემდგომი ორსულობის აღსაკვეთად. თუმცა, სტრასბურგის სასამართლომეს ჩარევა არ მიიჩნია აუცილებელ ზომად, რადგან პაციენტის სიცოცხლის გადარჩენას არ ემსახურებოდა. ამიტომ დაირღვა ევროპის კონვენციის მე-8 მუხლი.

66. სხვა დავებში ევროპულმა სასამართლომ გარდაუვალი სამედიცინო აუცილებლობის გარეშე უნებართვო სტერილიზაცია ჩათვალა პაციენტის უფლებაში ჩარევის ისეთ ზომად, რომელიც არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მომჩივნები მიეკუთვნებოდნენ მონყვლადი მოსახლეობის ჯგუფს (ბოშები) და იმყოფებოდნენ რეპროდუქციული ცხოვრების ადრეულ ეტაპზე.

67. საკითხი საგულისხმოა მტკიცების ტვირთის განაწილების კუთხითაც, რადგან გადაუდებელი აუცილებლობის ისეთ შემთხვევებში, როცა გამორიცხულია სამედიცინო ჩარევამდე ინფორმირებული თანხმობის მიღება, კლინიკას ეკისრება როგორც სამედიცინო ჩარევის გადაუდებლობის, ისე გონივრული და წინასწარ განჭვრეტადი თანმიმდევრული მოქმედებების მტკიცების ტვირთი.

სამედიცინო დანებსებულების მიერ საკუთარი მოვალეობის დარღვევის დადასტურებისას პაციენტს წარმოეშობა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (იხ. ბიჭია მიხეილი, გაგუა ილონა, „პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე გამოწვევები პრაქტიკაში“, თსუ-ს „სამართლის ჟურნალი“, №1, 2024, 40).

68. რაც შეეხება პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არარსებობის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, საკასაციო

პალატას მიაჩნია, რომ სსკ-ის 413-ე მუხლის განმარტებით, პაციენტის ინფორმირებულობის სტანდარტის იმგვარი დარღვევა, რომელმაც შესაძლებელია ჯანმრთელობისადმი ვნება გამოიწვიოს, მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობაც შეიძლება გახდეს.

69. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელეს მოპასუხე სამედიცინო დანესებულების მიერ ჩატარებული არასრული მკურნალობის პროცესში მიაღწა მორალური ზიანი, მით უფრო იმ საბოლოო შედეგის გათვალისწინებით, რომ რეალურად მისი სიცოცხლე დადგა რისკის ქვეშ, ამასთან, ჩატარებული ოპერაციის შედეგად მან საერთოდ დაკარგა შვილოსნობის უნარი.

70. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ამ უკანასკნელს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს – 20 000 ლარის ანაზღაურება.

71. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მეორე კასატორმა სასამართლოს ვერ წარუდგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია იმ უმნიშვნელოვანესი გარემოების გასაქარწყლებლად, რომ დადგენილი პროტოკოლით გათვალისწინებული მკურნალობის მეთოდების სრულად გამოყენებისას, კონსერვატიული, ორგანოშემანარჩუნებელი ინტერვენციები დაუშვებელი, არაეფექტური და პაციენტის სიცოცხლისთვის სახიფათო იყო; ან რა იყო მათი გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოება, როდესაც მსგავს შემთხვევაში დადგენილი პროტოკოლი უპირველესად ამ მეთოდების გამოყენებას ითვალისწინებს. ეს გარემოება მოპასუხის საკასაციო საჩივარს აცლის წარმატების საფუძველს.

72. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

73. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

74. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარ-

ჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამდენად, მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. შპს „დ.ს.ს.ც-ს“ მ. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს მატერიალური ზიანის – 67 333 ლარისა და მორალური ზიანის – 20 000 ლარის ანაზღაურება.
5. შპს „დ.ს.ს.ც-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
6. შპს „დ.ს.ს.ც-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 6 986.64 (2 619.99+4 366.65) ლარის გადახდა;
7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge